გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
პარასკევი, 18 ნოემბერი, 2005 წელი.
№268 (5301)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## ქალაქში უჩინმაჩინი „მკვრელი" დადის



დედაქალაქის ქუჩებში ახალი შინაარსის პლაკატები კვლავ გამოჩნდა. „მოკლულია 22 წლის გიგი", „თიკო 16 წლის მოკლეს", „დათუნა 30 წლის მოკლეს"...

როგორც კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა კობა სუბელიანმა განაცხადა, პლაკატების გამკვრელთა ვინაობის დასადგენად, ისინი წუხელ, გვიან ღამით, რუსთაველის გამზირზე გავიდნენ. ერთ-ერთი ბანერის გაკვრისას მათ შეამჩნიეს უცნობი პირები, რომლებმაც გაქცევა მოახერხეს.

სუბელიანის თქმით, მისთვის უცნობია ამ პირთა ვინაობა და ვარაუდის დონეზე საუბარი არ სურს.

პლაკატები, რომლებიც ქალაქში მკვლელის შესახებ იუწყებოდნენ, თბილისის ქუჩებში პირველად გუშინწინ გამოჩნდნენ.

საინტერესოა, ვინ არიან ეს უჩინმაჩინი „მკვრელები" და დღეს-ზვალ რა სიურპრიზს შემოგვთავაზებენ?

## მეცნიერებათა აკადემია, ქართულ-სომხური კულტურული მეტოქეობა და „ქვათა ღაღადი"



იხ. მე-2 გვ.

## კანონსაც უხეშად არღვევენ და ადამიანთა უფლებებსაც

პრესითაც ბევრი იწერება და ტელევიზიითაც გადაიცემა იმ განუკითხაობისა და დარღვევების შესახებ, რაც დაკავშირებულია მომხმარებელთა უფლებების აბუჩად აგდებასთან, მაგრამ ამის გამოსწორებას საშველი არ დაადგა.



იხ. მე-3 გვ.

◎ ინფორმაცია

### სამიტი საქართველოს დელეგაციის გარეშე დაიწყო

სანკტ-პეტერბურგში დსთ-ს პარლამენტის თავმჯდომარეთა სამიტი ქართველი დეპუტატებისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გარეშე დაიწყო.

ქართულმა დელეგაციამ რუსეთში გამგზავრებაზე მას შემდეგ განაცხადა უარი, რაც გაირკვა, რომ რუსეთი საქართველოს პარლამენტის წევრს გივი თარგამაძეს რუსეთის ვიზას არ აძლევდა. სამიტზე დასწრების გარდა, იგეგმებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის შეხვედრები მის სომეხ კოლეგა ბაღდასარიანთან, რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარესთან ბორის გრიზლოვთან, რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე სერგეი მირონოვთან.



ამას გარდა, დაგეგმილი იყო ნინო ბურჯანაძის დასწრება ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ მიძღვნილ სამიტზე, ასევე ერთობლივ პრესკონფერენციაზე, რომელიც დსთ-ს პარლამენტის თავმჯდომარეთა სამიტის შემდეგ გაიმართება.

გუშინ, სანკტ-პეტერბურგში დარიგდა საქართველოს პარლამენტის სპეციალური განცხადება, რომელშიც ქართველი პარლამენტარები გივი თარგამაძისთვის რუსეთის ვიზის გაუცემლობას აპროტესტებენ.

### მხოლოდ ერთ საკითხზე შეთანხმდნენ

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის სხდომა სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში გუშინ, გამთენიისას დასრულდა.

კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას განცხადებით, შეხვედრა ფაქტობრივად უშედეგოდ, პრაქტიკულად, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე დასრულდა.

— ერთადერთი, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ ის არის, რომ კონფლიქტის ზონაში კვლავ გაგრძელდება ეუთოს სარეაბილიტაციო პროექტები, — აღნიშნა ხაინდრავამ.

გუშინვე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ლიუბლიანადან ვენაში, ეუთოს შტაბ-ბინაში გაემგზავრება.

### თბილისის მერი წყალმომარაგების სისტემით დაინტერესდა

თბილისის მერი გიგი უგულავა „თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობასთან ერთად გუშინ არაგვის ხეობაში იმყოფებოდა, სადაც წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

კომპანია „თბილწყალკანალი" ნატახტრის, მისაქციელის, საგურამოს სათავე-ნაგებობებზე, სატუმბო სადგურებსა და წყალგამშვებ გვირაბებზე გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს ახორციელებს.

დედაქალაქის მერმა პირველ რიგში ზაჰესში არსებული წყალგამტარი გვირაბი დაათვალიერა, რომელიც ერთი დღით დაიხურა. ამის გამო კი სასმელი წყლის მიწოდება შეუწყდა გლდანის, მუხიანის, ავჭალის და გლდანულას დასახლებებს.

მერმა ასევე მოინახულა მისაქციელისა და საგურამოს სათავე-ნაგებობები.

ინტერპრესნიუსი

◎ პრეზიდენტი შიდა ქართლში

## ჩვენ ვმუშაობთ!

უმუშევრობა დღეს ჩვენი ერთ-ერთი მთავარი უბედურებაა, მაგრამ ამ უბედურებასაც ხომ უნდა ჰქონდეს ბოლო?! ჰოდა, აგერ, ქარელის რაიონის დაბა აგარაში ყველაზე ძნელ წლებშიც კი არ გაჩერებულა ადგილობრივი შაქრის კომბინატი, ქარხნის მილებიდან გამუდმებით ამოისვეტება ბოლი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომბინატი მუშაობს. ქართულ შაქარს, რომელზეც მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდება, ქვეყნის ყველა კუთხეშიც აგზავნის და — ქვეყნის გარეთაც.

ეკონომიკის მთავარი ძალა მთავრობა და პარლამენტი, პოლიტიკოსები ან ოპოზიციის მოჭიკჭიკე ორატორები კი არა, ბიზნესია, უწინარესად, მცირე ბიზნესი და, რა თქმა უნდა, ისინი, ვინც ამ ბიზნესს აცოცხლებს. სწორედ აგარაში მოღვაწე გოჩა ზასოხოვია ერთ-ერთი ასეთი ბიზნესმენი.

მან დააპურა აგარის ასობით ოჯახი, როცა შაქრის კომბინატი განაახლა და გააფართოვა. ახლა კიდევ ხილის გადამამუშავებელი საწარმო! დაბაში რომ სკოლები რემონტდება, ჩინებული საჭიდაო დარბაზი რომ აშენდა, შაქრის კომბინატის საჩუქარია დაბის მცხოვრებთათვის.

ყველაფერი ეს გუშინ ნახა და დაათვალიერა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

ყველგან, სადაც კი მივიდოდა, მოსახლეობა — დიდი და პატარა ყვავილებითა და ღიმილით ხვდებოდა პრეზიდენტს.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

## როგორ უნდა ფინანსდებოდეს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო?

„სარჩენი" „მარჩენალის" ნება-სურვილს კანონმდებლობით შეეწინააღმდეგება



მარეგულირებელი კომისიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შემთხვევაში დიდია კომისიის დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე

იხ. მე-3-6 გვ.

## საქართველოს პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი პოლიციას კანონის დარღვევისკენ მოუწოდებენ

იხ. მე-2 გვ.

◎ პანორამა

ისრაელის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ირანი საფრთხეს უქმნის მის ქვეყანას. „ყოვლად მიუღებელია, როცა გაეროს წევრი-ქვეყანა აცხადებს, რომ სურს სხვა სახელმწიფოს განადგურება", — აღნიშნა მოშე კაცავმა. „ჩვენ არ ვართ ირანის მტრები და არ ვუქმნით მას საფრთხეს, ჩვენ არ გვსურს ირანისთვის დარტყმის მიყენება. ამიტომ, ჩვენ განსაკუთრებით გვატკინა გული აჰმადინეჯადის მიერ გაკეთებულმა ასეთმა განცხადებამ", — თქვა შემდეგ მან.

* * *

სამი კვირის განმავლობაში მიმდინარე უწესრიგობათა შედეგად, პარიზის რეგიონში ზარალმა 200 მილიონი ევრო შეადგინა. სენატში გამართულ მოსმენაზე გამოსვლისას ილ-დე-ფრანსის რეგიონული საბჭოს თავმჯდომარემ ჟან-პოლ იუშონმა აღნიშნა, რომ „სწორედ პარიზის რეგიონის ტერიტორიამ განიცადა ყველაზე დიდი მატერიალური ზარალი, თუმცა, მორალური ზარალი ამაზე გაცილებით უფრო დიდი იყო".

## გერმანია საყოველთაო არჩევნების შემდეგ



იხ. მე-5-6 გვ.

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაზე საუბარი არა მარტო იმით არის გამოწვეული, რომ ამ ქვეყანამ საქართველოს, დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ფასდაუდებელი დახმარება გაუწია, არამედ იმითაც, რომ გერმანია იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ცნო მისი დამოუკიდებლობა დე იურედ და თბილისში გახსნა საელჩო.

### ნანა ღვინეფაძე

კიდევ რას ვუიდით ნეტავი, — რით გავამზითვოთ შვილები?!

როდემდე ვიყოთ ნატრული, როდემდე ვიყოთ მშივრები?!.

იხ. მე-4 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## „საქართველოს არ სჭირდება გაბოროტებული რუსეთი"

საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანამ, რომელიც მიმდინარე წელს დაიწყო, მაინც ვერ დაუახლოვა ერთმანეთს მოსკოვი და თბილისი, „ვრემია ნოვოსტეის" საკუთარ კორესპონდენტთან მიხეილ ვიგნანსკისთან საუბრის დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი შეეხო ორი ქვეყნის ურთიერთობაში არსებულ მთავარ პრობლემებს.

— ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ გაკეთებული განცხადება და რუსეთის ბაზების გატანის დაწყება გახდა მიმდინარე წელს მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობაში უმთავრესი მოვლენა. რა იქნება მომავალში?

— ბაზების გატანის პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა. ახლა მზადდება ხელშეკრულება, რომელმაც უნდა განამტკიცოს მიღწეული შედეგები. ამის თაობაზე, ამ დღეებში ტელეფონით ისაუბრეს ვლადიმერ პუტინმა და მიხეილ სააკაშვილმა. რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აქამდე არ არის ხელმოწერილი შეთანხმება ბაზების შესახებ. სააკაშვილმა უპასუხა, რომ ჩვენ დავასრულეთ ყველა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურა და ახლა ველით, თუ როდის გააკეთებს ამას რუსეთიც. უკანასკნელი მონაცემებით, ახლა მიმდინარეობს ამ დოკუმენტის დახვეწა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. პუტინმა განაცხადა, რომ დაინტერესდება პროცესის დაჩქარებით.



იხ. მე-2 გვ.

მოგისმინეთ!

## თამაზ გამყრელიძე:

# მეცნიერებათა აკადემია, ქართულ-სომხური კულტურული მეტოქეობა და „ქვათა ღაღადი"

ქართველებსა და სომხებს შორის ისტორიულად არსებული მეგობრული კავშირებისდა მიუხედავად, ამ ურთიერთობათა დამახასიათებელი თავისებურება ყოველთვის იყო ერთგვარი „მეტოქეობა" კულტურულ სფეროში; უძველესი დროიდან მოყოლებული ქართველთა კულტურული მემკვიდრეობის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშებს ჩვენი სომეხი კოლეგები ისტორიულად ყოველთვის სომხური კულტურის ნაყოფად მიიჩნევდნენ და ამას საქვეყნოდ აცხადებდნენ, ხანდახან საისტორიო წყაროებში გარკვეული „კორექტივების" შეტანითაც.

გავიხსენოთ თუნდაც ჩვენი უძველესი ორიგინალური ქართული დამწერლობის სომეხთა განმანათლებლის — **მესროპ მაშთოცის** მიერ შექმნის ყბადაღებული განცხადებები, ანდა ტაო-კლარჯეთის ჩვენი უბრწყინვალესი არქიტექტურული ძეგლების სომხური ხელოვნების ნიმუშებად გამოცხადება, რაც სულ ახლახან აისახა კიდეც მოსკოვში გამოცემულ **„რუსულ მართლმადიდებლურ ენციკლოპედიაში"**; ქართველთათვის ეგზომ სათაყვანებელ **ჯვრის მონასტერშიც** ჩვენი სომეხი კოლეგები „სომხურ კვალს" ხედავენ... და ყველაფერი ეს ძველთაგანვე მოდის, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ისტორიული მონაცემები ყოველივე ამის წინააღმდეგ ღაღადებენ, მიუხედავად **დიდი ილიას** კვალდაკვალ ქართველი მეცნიერების მტკიცებებისა ამგვარი შეხედულებების საწინააღმდეგოდ.



ეს „კულტურული მეტოქეობა" ჩვენს შორის დღემდე გრძელდება და ადვილი გასაგებია, თუ რა ემოციებს გამოიწვევს ჩვენს სომეხ კოლეგებში შეტყობინება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთი დარტყმით შესაძლებელი ნგრევისა და გამოშიგნვის შესახებ მისი წიაღიდან კვლევითი ინსტიტუტების გამოყვანის შედეგად, მაშინ როდესაც „სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია" იქ ჩატარებული რეფორმის შედეგად როგორც კვლევითი ინსტიტუტების გამაერთიანებელი მთლიანი და მონოლითური სახელმწიფო ორგანო ჩამოყალიბდა, ისევე როგორც, სხვათა შორის, „აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია".

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის დამაარსებლები ყოველთვის იდგნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის წინა ხაზზე, დღესაც აქტიურად იბრძვის ქართულ მართმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად ჩვენი მეცნიერული და საზოგადოდ კულტურული მონაპოვრის დაცვისა და შემდგომი განვითარებისთვის. მაგრამ სომეხ კოლეგებთან კულტურულ სფეროში მეტოქეობასა და პაექრობას ჩვენ წავაგებთ, თუ ჩვენი აკადემიური ინსტიტუტები დაიქსაქსება, თუ ისინი დაკარგავენ ერთმანეთთან სამეცნიერო კავშირებს და საბოლოოდ დაიშლებიან. ასეთ შემთხვევაში კი ჩვენ ჩვენი მეცნიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად პაექრობაში ველარ გვიშველის „ქვათა ღაღადი" და ველარაფერს მოვიმოქმედებთ სხვადასხვა ჯურის „კულტურული მეტოქეების" მოსაგერიებლად; ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, ვაღიაროთ ჩვენი უსუსურობა და პერსპექტივაში ჩვენი სრული კულტურული მარცხი. ეს იქნებოდა დანაშაული ჩვენი ქვეყნის, ჩვენი შთამომავლობის წინაშე...

III სექტორი

# საქართველოს პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი პოლიციას კანონის დარღვევისკენ მოუწოდებენ

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს პრეზიდენტის და შინაგან საქმეთა მინისტრის იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას ეხება.**

10 ნოემბერს ვანო მერაბიშვილმა საქართველოს პარლამენტში სამთავრობო საათზე განაცხადა: „ამ ტრიბუნიდან ვბრძანებ, მოვუწოდებ საქართველოს პოლიციის შემადგენლობას — არავითარ შემთხვევაში არ აგიკანკალდეთ ხელი, თუ დავინახავთ, რომ საფრთხე ექმნება პოლიციელის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ტერიტორიულ მთლიანობას, გამოიყენეთ იარაღი და მოახდინეთ კრიმინალთა ლიკვიდაცია".

შინაგან საქმეთა მინისტრის ეს განცხადება თითქმის ყოველდღიურად მოდის სისრულეში, ვინაიდან ყოველდღიურად იზრდება პოლიციელის მიერ სპეციალური ოპერაციების დროს მოკლული ადამიანების რაოდენობა.

ზემოაღნიშნულ განცხადებაში შინაგან საქმეთა მინისტრმა უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი, რომლის მიხედვითაც, „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა". მისი ამ განცხადებით ირღვევა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლი: „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება". მინისტრმა აგრეთვე დაარღვია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის პრინციპები, საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, პოლიციის შესახებ კანონი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიესალმება სამართალდამცავების აქტიურ ბრძოლას დამნაშავეობის წინააღმდეგ, თუმცა, აქვე მივუთითებთ იმ აუცილებლობას, რომ ეს უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოსთვის სავალდებულო საერთაშორისო აქტების მოთხოვნათა ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიუღებლად მიიჩნევს პრეზიდენტისა და მინისტრის უკანონო განცხადებებს და მოუწოდებს პარლამენტს, განახორციელოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ფუნქცია — გააკონტროლოს აღმასრულებელი ხელისუფლება და მკაცრად შეაფასოს საქართველოს პრეზიდენტისა და შინაგან საქმეთა მინისტრის უკანონო განცხადებები, რომლებიც აშკარად უბიძგებენ სამართალდამცავ ორგანოებს კანონის დარღვევისაკენ.

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**

ფაქტი

# ვინ იტაცებს ბუნებრივ აირს?

**კომპანია „თბილგაზის" გაკოტრების მმართველმა გია გვიჩიანმა ბუნებრივი აირის დამტაცებელი მსხვილი კომპანიები დაასახელა.**

**როგორც გვიჩიანმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ბუნებრივი აირის დამტაცებელი მსხვილი კომპანიების დასახელებას იგი არასდროს მოერიდება.**



— ეს კომპანიები პრივილეგიებით ვერ ისარგებლებენ. საგანგაშოა, როცა პრესტიჟულ საწარმოებს არ ერიდებათ გაზის ქურდობა. დღეს, კომპანია „თბილგაზმა" რესტორან „წისქვილში" ბუნებრივი აირის მოპარვის ფაქტი დააფიქსირა. დღესვე, ბუნებრივი აირი ჩაეჭრება ორ პრესტიჟულ რესტორანს — „კარიბჭესა" და „კოლხეთს", აგრეთვე სასტუმრო „ძველ მეტეხს".

ბოლო სამ თვეში გამოვავლინეთ ბევრი საწარმო და ორგანიზაცია, რომლებიც ათეულობით ათასი ლარის ბუნებრივ აირს იპარავენ. გაზის დატაცების ფაქტები აღმოჩენილია და შესაბამისად, დაჯარიმებული არიან შემდეგი რესტორნები — „ამბასადორი", „მალიბუ", „პიკნიკი", „ტავერნა", „ალაზანი", „სარაჯიშვილი", „იმერეთი" და „მირაჟი". აგრეთვე დაჯარიმებულია 13 პურის ქარხანა, მსხვილი კომპანიები — შპს „არაგვი", შპს „მტკვარი", „ბროკერ პეტროლი", კაზინო „ფლამინგო", საცურაო აუზი „დელფინი", მეფრინველეობის ფაბრიკა „თელეთი — 21" და სხვა, — განაცხადა გვიჩიანმა.

მისივე თქმით, სექტემბერსა და ოქტომბერში საწარმოებს ბიუჯეტის სასარგებლოდ 900 ათას ლარზე მეტის გადახდა დაეკისრათ.

ინფორმაცია

## ვლადიმერ ჩხიკვიშვილი გულწრფელად წუხს

საქართველოში რუსეთის ფედერაციის ელჩის ვლადიმერ ჩხიკვიშვილის განცხადებით, სამწუხარო ფაქტია, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პეტერბურგში დსთ-ს ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეების სამიტს ვერ ესწრება.

როგორც ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა გუშინ, საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრ გელა ბეჟუაშვილსა და საქართველოში აკრედიტებული დიპკორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, რუსეთში ქართველ პოლიტიკოსთან არანაირი „შავი სია" არ არსებობს და შესაბამისად, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე აღნიშნულ სიაში ვერ მოხვდებოდა. ელჩის თქმით, თარგამაძეზე რუსეთში შესასვლელი ვიზის გაუცემლობა „გაურკვევლობასთან და ტექნიკურ პრობლემასთან" იყო დაკავშირებული.

საქართველოში რუსული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის თქმით, ქართული მხარის სურვილის შემთხვევაში, რუსეთი მზად იყო, თარგამაძისთვის ვიზა მიეცა. ამდენად, ელჩი გამოთქვამს მწუხარებას, რომ ქართველმა პარლამენტარებმა და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ ვერ შეძლეს სანკტ-პეტერბურგში ჩასვლა და დსთ-ს ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეთა სამიტზე დასწრება.

## ბალცეროვიჩი და ბენდუქიძე „შეიბნენ"...



პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ლეშეკ ბალცეროვიჩი საქართველოში სამუშაო ვიზიტის დროს სახელმწიფო მინისტრს რეფორმების კოორდინაციის საკითხებში კახა ბენდუქიძეს შეხვდა.

შეხვედრას საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ღლონტი და საბჭოს მდივანი გურამ აბაშიძე დაესწრნენ. მხარეებმა ისაუბრეს საქართველოში ფისკალურსა და პრივატიზაციის სფეროებში მიმდინარე რეფორმებსა და სახელმწიფოს მცირე როლზე ეკონომიკის მართვის პროცესში.

სახელმწიფო მინისტრსა და პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტს შორის საბანკო თემატიკაზე საუბრისას პოზიციები გაიყო. კახა ბენდუქიძემ აღნიშნა, რომ საბანკო ზედამხედველობის სამსახური საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა გამოეყოს, რასაც ლეშეკ ბალცეროვიჩი კატეგორიულად არ დაეთანხმა. პოლონელი სტუმრის განცხადებით, ეროვნული ბანკის სისტემაში საზედამხედველო სამსახურის არსებობა ქვეყნის ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ელემენტია. მან ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ზედამხედველობის სამსახურები ცენტრალური ბანკების სისტემაში შედიან.

ბენდუქიძესთან შეხვედრის შემდეგ, ლეშეკ ბალცეროვიჩი სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლებსაც შეხვდა და მათ კითხვებს უპასუხა.

## ლეიბორისტები ეროვნული თანხმობის დეკლარაციას ხელს არ აწერენ

საქართველოს ლეიბორისტული პარტია „ეროვნული თანხმობის დეკლარაციას" ხელს არ მოაწერს. ამის შესახებ გადაწყვეტილება გუშინ, პარტიის სამდივნომ ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ მიიღო.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, ლეიბორისტები სააკაშვილის რეჟიმთან ხელს მხოლოდ ერთადერთ დოკუმენტზე მოაწერენ, ეს დოკუმენტი კი პრეზიდენტის გადადგომას, არსებული ხელისუფლების შეცვლას და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას უნდა შეეხებოდეს.

ნათელაშვილის თქმით, ქვეყანაში ეროვნული თანხმობა მხოლოდ მაშინ იქნება, როცა არსებული ხელისუფლება სახელმწიფოს სათავეში აღარ იქნება და ქვეყანას დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება ეყოლება.

## სერგეი ბაღაფშს ცუდი წინათგრძნობა აქვს



აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შემთხვევაში საომარი მოქმედებების განახლებას პროგნოზირებს.

ამის შესახებ, სერგეი ბაღაფშმა გუშინ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ევროპული ოფისის დირექტორის მოადგილესთან უდო იანცთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

მისივე თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ყოველწლიურად ზრდის სამხედრო ბიუჯეტს, არმიის წვრთნასა და აღჭურვაში კი დასავლეთის ქვეყნები და აშშ აქტიურად ეხმარება, საქართველოს პარლამენტის მიერ კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება ყოვლად დაუშვებელია და ეს ომისკენ მიმავალი გზაა.

ბაღაფში უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს სამხედრო ძალებში მიმდინარე პროცესებს და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სამხედრო რიტორიკით გაჯერებულ განცხადებებს ყურადღებას არ აქცევს.

**ინტერპრესნიუსი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## საქართველოში უყურებენ მულტფილმებს მიშას შესახებ

**„202" კერძო ქართულმა ტელეკომპანიამ დაიწყო მულტსერიალის ჩვენება, რომლის მთავარი გმირია სკოლის მოსწავლე მიშა, გარეგნულად ძალზე რომ წააგავს ქვეყნის ამჟამინდელ პრეზიდენტს.**

სერიალს ეწოდება „დარდუბალა-2". „ორი" იმიტომ, რომ იყო კიდევ უბრალოდ, „დარდუბალა" — ძალზე წარმატებული სერიალი, რომლის მთავარი პერსონაჟი გაჭრილი ვაშლივით წააგავდა ედუარდ შევარდნაძეს. იმ სერიალს ეთერში გადასცემდნენ ორი წლის განმავლობაში — აწ უკვე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში. ეს იყო ედუარდ შევარდნაძის, როგორც ყოვლისმცოდნე ვეტერანი-პოლიტიკოსის შესახებ მითის გაქარწყლების პირველი



მცდელობა. ბევრს მიაჩნია, რომ ამ სერიალმა უდიდესი როლი შეასრულა ხელისუფლების წინააღმდეგ მოსახლეობის დარაზმვის საქმეში. ახლა სხვა ხელისუფლებაა და „დარდუბალაც" უკვე მეორე ნომრით გამოდის.

სერიალში მოვლენები ვითარდება სასკოლო კლასში, რომლის მოწაფეებიც გარეგნულად გვანან ცნობილ პოლიტიკოსებს, საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს. მთავარი გმირი — მულტიპლიკაციური სააკაშვილი — ცეკვავს რევს ნახევრად გაშიშვლებულ გოგონებთან ერთად.

„დარდუბალა-2" უაღრესად ოპოზიციურია — სააკაშვილი იქ არაფრით არ არის იმაზე უფრო სიმპათიური, როგორც თავის დროზე გამოჰყავდათ შევარდნაძე.

მოწაფე-მიშა თანდათანობით იხვეჭს ავტორიტეტს და ხდება ლიდერი. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ როგორ განვითარდება შემდგომში სიუჟეტი. თუმცა, ავტორები გვპირდებიან, რომ არ მოვიწყენთ. „დარდუბალაში" მრავლად არის პირადული, სუფთა პერსონალური მომენტი. „202" არხის დირექტორი და მულტსერიალის იდეის ავტორი ამჟამად საპყრობილეში იმყოფება. მას ბრალად ედება ის, რომ ცდილობდა გამოეძალა 100 ათასი დოლარი პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატისთვის, რის სანაცვლოდაც აღარ გაუშვებდა ტელეეთერში ფილმს, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებას ეძღვნებოდა. თვით არხის თანამშრომლებს მიაჩნიათ, რომ მათი დირექტორი გახდა კარსმომდგარი დიქტატურის მსხვერპლი. ასეა თუ ისე, ინტერესი ახალი სერიალისადმი, დიდია. ხელისუფლებაზე მწვავე პაროდია ყოველთვის იპოვის თავის მაყურებელს.

**თენგიზ აბლოთია,**
**„ბი-ბი-სის" რუსული სამსახური**

# „საქართველოს არ სჭირდება გაბოროტებული რუსეთი"

(პირველი გვერდიდან)

**— სააკაშვილმა პუტინი ერთხელ უკვე მოიწვია თბილისში. ეს მოწვევა დადასტურდა?**

— დიახ, დადასტურდა. მიმაჩნია, რომ ვიზიტი სერიოზულად უნდა მოვამზადოთ. არა მგონია, რომ ეს მოხდეს მიმდინარე წლის დამლევამდე, როგორც ამას წინათ ვარაუდობდნენ.

**— ეს ვიზიტი უკავშირდება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ახალი ყოვლისმომცველი ხელშეკრულების ხელმოწერას?**

— რუსეთის მხარე მართლაც უკავშირებს საქართველოში პრეზიდენტის ვიზიტს ამ მომენტს. მაგრამ, ჩემი აზრით, „დიდი" ხელშეკრულების გარეშეც შეიძლება შეიქმნას ხელსაყრელი ნიადაგი პუტინის ჩამოსვლისთვის. მთავარია, იგი ადგილზე დარწმუნდეს, რომ საქართველო რუსეთის მეგობარი ქვეყანაა. ჩვენ გვაქვს საკუთარი ეროვნული ინტერესები, რომლებიც ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

**— და მაინც, ბაზების გატანის პროცესის დაწყებამ რატომ ვერ შეიტანა გარდატეხა ორი ქვეყნის ურთიერთობაში?**

— არ ვიცი, ვინ სვამს ასე საკითხს: დაიწყება ბაზების გატანა და მაშინათვე ყველაფერი მოგვარდება. ჩვენ ბაზების გატანის საკითხს არ განვიხილავდით რუსეთთან ურთიერთობის ქვაკუთხედად. სხვათა შორის, ოპოზიცია ამას ყოველთვის მსაყვედურობს. ბაზების გატანის საკითხი ადრე თუ გვიან, მაინც გადაწყდებოდა.

ორი ქვეყნის ურთიერთობაში არსებულ პრობლემებში მთავარ როლს ასრულებს რუსეთის პოზიცია საქართველოს კონფლიქტების მიმართ. სამწუხაროდ, ჩვენი აზრით, რუსეთში ჯერჯერობით ვერ შეუგნიათ, რომ არსებობს ისეთი ვარიანტი, როცა ყველა მხარეს შეუძლია ღირსეულად გამოვიდეს შექმნილი ვითარებიდან. ასეთი სცენარი არსებობს! მწამს, რომ საბოლოო ანგარიშით, აქამდე მივალთ, მაგრამ მოგვიწევს დიდი სირთულეების გადალახვა და პოლიტიკური მსხვერპლის გაღება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მხარეებს შორის დამყარდეს ურთიერთგაგება: კონფლიქტების მოწესრიგების პროცესი მომგებიანი უნდა იყოს ყველა მხარისთვის. ჩვენ ვცდილობთ, ეს შევაგნებინოთ რუსეთსაც.

**— მაგრამ, განა არ ცდილობს საქართველო რუსეთის გამოდევნას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგების პროცესიდან? პარლამენტმა ხომ უკვე წაუყენა ულტიმატუმი რუსეთის სამშვიდობო ძალებს.**

— საქმე რუსეთის შეცვლას არ ეხება. საქმე ეხება იმას, რომ არსებული ფორმატების პირობებში, ჩვენ უკვე მრავალი წელია ვერ ვახერხებთ საგრძნობი შედეგების მიღწევას. ამ ფორმატებმა უკვე ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობა. ამიტომ, ჩვენ გვჭირდება ახალი იდეები, ახალი მოთამაშეები. დღეს რუსეთი არ არის მოტივირებული მოწესრიგების პრობლემებზე. მაშასადამე, უნდა შევქმნათ ასეთი მოტივაცია. ყველასთვის აშკარაა, რომ რუსეთი თვითონ აკეთებს ყველაფერს იმისთვის, რათა გამოდევნოს საკუთარი თავი ამ პროცესიდან. ეს ხდება იმიტომ, რომ არ არსებობს საქართველოს მიმართ ჩამოყალიბებული ღია, საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული პოლიტიკა.

რუსეთი და საქართველო თანდათანობით გახდნენ ორი „შავი ხვრელის" ორი პროვინციის მძევლები. აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა ორი სახელმწიფოს და, საერთოდ, რეგიონული ურთიერთობა, ფაქტობრივად, ჩიხში მოაქციეს. თუ რუსეთისთვის ხელსაყრელია „გაყინული" კონფლიქტების რეჟიმი, როგორც საქართველოზე ზემოქმედების მძლავრი იარაღი, ეს სადღეისოდ არსებობს, მაგრამ უკვე აღარ იარსებებს ხვალ ან ზეგ. მაშინ, რუსეთი აღმოჩნდება დაზარალებული, თავისი ინტერესების თვალსაზრისით.

**— დეკემბერში კიევში გაიმართება ახალი ორგანიზაციის „დემოკრატიული არჩევანის ქვეყნების" პირველი ფორუმი. რუსეთი არ არის მიწვეული ამ ღონისძიებაზე?**

რამდენადაც ვიცი, ასეთი მიწვევა არსებობს. უკვე დადასტურებულია, რომ ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საქართველოს პრეზიდენტები. წარმოდგენილი იქნება შეერთებული შტატების დელეგაციაც. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრება პოსტსაბჭოურ სივრცეში, რისი მაგალითებიც იყვნენ თავის დროზე უკრაინა და საქართველო. ეს მნიშვნელოვანი ფორუმია და რუსეთმა მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს. ძლიერი, დემოკრატიული, ცენტრალიზებული რუსეთი შეესაბამება ჩვენს ინტერესებს. ჩვენ არ გვჭირდება გაბოროტებული, დეზინტეგრირებული რუსეთი.



**— ხშირად ყოფილა ასეთი რამ: თბილისი მიმართავს ვაშინგტონს ან ბრიუსელს იმისთვის, რომ რაღაც-რაღაცეები თქვას მოსკოვის გასაგებად.**

— გეთანხმებით, რომ არანორმალურია, როცა ჩვენ გვჭირდება შუამავლები. რუსეთს რომ გამოეჩინა შესაბამისი პოლიტიკური ნება, ჩვენ მორიგებებს მივაღწევდით მრავალ საკითხში ისე, რომ არ დავურღვევდით მყუდროებას არც ევროპელებს და არც ამერიკელებს.

**— ნუთუ საქართველოს ბრალი არაფერში მიუძღვის?**

— ჩვენც გვქონდა შეცდომები. ქვეყნის წინა ხელმძღვანელობა, ჩემი აზრით, „ეთამაშებოდა" ხან რუსეთს, ხან ევროპას და ხან შეერთებულ შტატებს. მაგრამ არასდროს მკაფიოდ არ გამოუხატავს თავისი ინტერესები. ახლა ჩვენ ვახორციელებთ ღია პოლიტიკას. არავისთან არ ვაპირებთ თამაშს.

**— თუ მოხდება პოზიტიური ძვრები, მოსთხოვს საქართველოს მთავრობა პარლამენტარებს რუსი მშვიდობისმყოფლების გაყვანის საკითხის გადავადებას?**

— თუ ჩვენ ვიგრძნობთ, რომ მხარს უჭერენ ჩვენს პოლიტიკურ გეგმას, მათ შორის, მოლაპარაკებათა მოძველებული ფორმატის შეცვლისა და სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ოპერაციის, აფხაზეთში მშვიდობისმყოფელთა მანდატის გადასინჯვისა და სამშვიდობო ოპერაციის კომპოზიციის საკითხებში, ჩვენ განვუცხადებთ პარლამენტარებს, რომ არსებობს ცისფერჩაჩქნიანთა გაყვანის შესახებ გადაწყვეტილების გადადების ან გადასინჯვის საბაბი. ჯერჯერობით კი ვამზადებთ სამოქმედო გეგმას, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელშიც ხაზგასმულია, რომ სამშვიდობო ძალებმა სამხრეთ ოსეთი უნდა დატოვონ 10 თებერვლის შემდეგ, აფხაზეთი კი — 1 ივლისის შემდეგ.

**— თბილისში ამ ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა ჯორჯ ბუშის ქუჩა. მაგრამ, ვლადიმერ პუტინის ქუჩა, ალბათ, კიდევ კარგა ხანს არ იქნება.**

— ბუშის ქუჩა, ეს სიმბოლიკაა. დიდ პოლიტიკაში მრავლად ნახავთ ასეთ სიმბოლიკებს. რაც შეეხება პუტინის ქუჩას, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ ამისთვის, საჭიროა მონდომება რუსეთის მხრიდანაც. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ფორმულა, თუ როგორ დავაკმაყოფილოთ ყველას, და რაც მთავარია, რუსეთის ინტერესები. მაგრამ, თუ რა იგულისხმება ამ ინტერესებში, ამას, მოსკოვი არ გვეუბნება. რა ინტერესი შეიძლება იყოს იმაში, რომ მოსკოვი აიარაღებს აფხაზებს და ოსებს? ადვილი მისახვედრია, რომ ეს არის ჩვენზე ზემოქმედების მექანიზმი, თუმცა, რუსები გვარწმუნებენ, რომ ეს ასე არ არის. მაშ, რაშია საქმე? ამაზე არაფერს გვეუბნებიან.

ერთადერთი, რასაც მივხვდი, არის ის, რომ რუსეთს არ სურს საქართველოში იხილოს ნატოს ბაზა. ამაში შეიძლება დავინახო ლოგიკა, იმის მიუხედავადაც კი, რომ მაქვს ჩემი კონტრარგუმენტები. და ჩვენ ვცდილობთ, დავაკმაყოფილოთ რუსეთის ეს პოზიცია. რადგან რუსეთში მიაჩნიათ, რომ ასეთი ბაზა საფრთხეს შეუქმნის მათი ქვეყნის ეროვნულ უშიშროებას, ჩვენ ვცდილობთ, ეს საფრთხე მინიმალური გავხადოთ.

**— თუ აღმოიფხვრა ტერორისტული საფრთხე პანკისის ხეობაში? საქართველოში ჩამოდიან რუსი ემისრები, რათა ჩეჩენ ლტოლვილებს შესთავაზონ სამშობლოში დაბრუნება...**

— ჩვენ თავის დროზე ლტოლვილები მივიღეთ, გავუკეთეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო. და ამის გამო, მრავალი უსიამოვნებაც შეგვხვდა. დაბრუნების საკითხი ყველა ლტოლვილის პირადი არჩევანია. ჩვენ მათ აქედან არ ვაგდებთ. რუსეთის წარმომადგენლებს შეუძლიათ დაარწმუნონ ისინი, რომ შეიძლება შინ დაბრუნება. ეს ნორმალური პროცესია, ზედმეტი დრამატიზების და პოლიტიზების გარეშე.

**— საქართველო არ მალავს, რომ სურს ნატოში გაწევრიანება. მოუგვარებელი კონფლიქტები ხომ არ შეუშლის ამას ხელს?**

— არ უნდა შეუშალოს. მიგვაჩნია, რომ სწორედ ნატოში ინტეგრაციის გზით შეძლებს საქართველო კონფლიქტებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. ნატო მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ შეუქცევადი გავხადოთ დემოკრატიულ რეფორმათა პროცესი. ჩემი აზრით, სავსებით რეალურია, რომ საქართველო 2008 წელს შევიდეს ნატოში.

**„ვრემია ნოვოსტეი", 17 ნოემბერი.**

◉ მესამე სექტორი

# არავითარი ავტონომია, ჯავახელი სომხები ქართული ენის შესწავლაზე ოცნებობენ

**არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა კავშირები, ცენტრის მსგავსად რეგიონებშიც უხვად იქმნება. ზოგი მათგანი მხოლოდ დასახელებაა, ზოგიერთის სახელის ნიღბით კი გაურკვეველ საქმიანობას აწარმოებენ, ზოგს სჯერა, რომ ამ გზით ხალხის სასიკეთოდ რაღაცას მიაღწევს. სწორედ ბოლო კატეგორიას მიეკუთვნება ორგანიზაცია, რომლის წარდგენა ორიოდე დღის წინათ მოხდა.**

ასოციაცია „ჯავახეთის მოქალაქეთა ფორუმი" აგვისტოში უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის დახმარებით დაარსდა. დამფუძნებლები არიან სამოქალაქო საზოგადოების 20-ზე მეტი ორგანიზაცია, დაახლოებით 200 ადამიანი, რომლებიც რეგიონში არსებულ ყველა ეროვნულ ჯგუფს წარმოადგენენ. არიან სომხები, ბერძნები, ქართველები, რუსი დუხობორები, სხვადასხვა ეთნო-რელიგიური კონფესიის წარმომადგენლები. ფორუმის წევრებს, — ადგილობრივ მოსახლეობას — საშუალება ექნებათ გამოხატონ თავიანთი აზრი მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, შეიმუშაონ პოლიტიკური რეკომენდაციები, შეადგინონ პროექტები რეგიონის კეთილდღეობისათვის. ასოციაციაში შექმნილია მუშა ჯგუფები, რომლებიც დაკავებული არიან რეგიონში არსებული ისეთი მწვავე პრობლემებით, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, სოფლის მეურნეობა, განათლება, ენის საკითხები, ინფრასტრუქტურა და ა. შ. იმუშავებენ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის საკონსულტაციო პროცესის გაძლიერებაზეც. ასოციაციის თავმჯდომარე არმენ დარბინიანის განცხადებით ისინი მჭიდროდ ითანამშრომლებენ რეგიონის ხელისუფლებასთან, ქვეყნის მთავრობასთან, საკითხების მოგვარებისას მათი მხარდაჭერის იმედი აქვს, ფინანსური დახმარებისთვის კი საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავენ: — ჩვენ ვიქნებით ხიდი უბრალო ადამიანებსა და ხელისუფლებას შორის, რათა არსებულ ვითარებაზე რეალური ინფორმაცია მიეწოდებოდეს ორივე მხარეს, რადგან დღეს ჯავახეთში არის სრული საინფორმაციო ვაკუუმი. ჩვენ არ ვართ პოლიტიკური ორგანიზაცია და არც გავხდებით — აცხადებს დარბანიანი.



ცნობილი ფაქტია, რომ უმეტესად სომხებით დასახლებული ჯავახეთის რეგიონი ეთნო-პოლიტიკური დაძაბულობის ერთ-ერთი შესაძლო კერაა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 2007 წლისთვის დაგეგმილი 62-ე რუსული ბაზის გაყვანა, რომელიც სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს მოსახლეობის დიდ ნაწილს, ქმნის რეგიონალური პრობლემის გაღრმავების რისკს. სწორედ ამიტომ, ფორუმის წევრები შეეცდებიან რეგიონში ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის საკონსულტაციო პროცესის გაძლიერებას, რათა ქვეყნის მთავრობამ გაიგოს იმ პრობლემების შესახებ, რაც ჯავახეთის მოსახლეობას აწუხებს და დაეხმაროს მათ მოგვარებაში.

არაერთხელ გვსმენია: ჯავახეთში მცხოვრები სომხები უარს ამბობენ ქართული ენის სწავლაზე, არ სურთ რუსული ბაზის გასვლა, ავტონომიას მოითხოვენო. პარლამენტარი ვან ბაიბურთი გვარწმუნებს, რომ ასეთ განცხადებებს ჯავახეთში მხოლოდ ერთეულები აკეთებენ და მათ ამაში ვიღაც-ვიღაცეები ფულს უხდიან. მოსახლეობის უმრავლესობის განწყობა კი საპირისპიროა. რეგიონში ამგვარი მოთხოვნების არსებობას ასოციაციის თავმჯდომარეც უარყოფს და ამბობს, რომ ჯავახეთის მოსახლეობაში ქართული ენის შესწავლა სურთ, ოღონდ ამისთვის რაიმე ქმედითი მეთოდი უნდა გამოინახოს, რადგან პედაგოგი, რომელსაც სომხებით ან აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში მიავლინებენ, სომხურ თუ აზერბაიჯანულ ენას აუცილებლად უნდა ფლობდეს, სხვაგვარად მოსწავლეებთან კონტაქტი შეუძლებელია. ბაიბურთის აზრით კი ხელისუფლებამ დაახლოებით 700.000 ლარი უნდა გამოყოს, რათა დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებმა ქართული ენა კარგად შეისწავლონ. მათი უმრავლესობა ქართულს სკოლის დამთავრების შემდეგ ეუფლება, რის გამოც უგვიანდებათ უმაღლესებში ჩაბარება. მისი აზრით, ენის შესწავლისას დაძალება დაუშვებელია, ამისთვის იქაურ მოსახლეობას სტიმული ესაჭიროება. ფორუმის წევრები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ჯავახეთის რეგიონმა იგრძნოს ცენტრალური ხელისუფლების თანადგომა, უმთავრესი მათთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, ეს პრობლემა კი ბაიბურთის აზრით, გზების მშენებლობით მოგვარდება. ასეთ შემთხვევაში იქნებ ჯობდა ხელისუფლებას გზების შეკეთება ჯავახეთიდან დაეწყო, რადგან თბილისის ქუჩების მოასფალტებას ჩვენი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ნამდვილად არ უმოქმედია.

**ლელა ცქიტიშვილი**

◉ გვწერენ

# თქვენმა ყურადღებამ გული გაგვითბო

**ორი წელია, თქვენი გაზეთის ფურცლებზე სრულიად საქართველო ეცნობა მთის მკაცრ კლიმატურ პირობებში მცხოვრებ აჭარის მთიანეთის — ხულოს რაიონის მცხოვრებთა ყოველდღიურ პრობლემებს, მათ აწმყოსა და წარსულს, ცხოვრების წესსა და ტრადიციებს.** წლეულსაც, ჟურნალისტმა ელგუჯა ლებანიძემ შემოიარა ჩვენი სოფლები, ავიდა ზღვის დონიდან 2800 მეტრზე მდებარე ხიხანის ციხეზე, რათა პატივი მიეგო მის დამცველთა წმინდა სულებისათვის. ხიხანის ციხე ხულოელებისათვის საუკუნეების განმავლობაში სულისა და გრძნობის სალესი ქვაც იყო და მომავლის რწმენაც.

სიყვარულით, სითბოთი აღსავსე რეპორტაჟებმა, მართლაც რომ, „გული გაგვითბო და უკეთესი მერმისის მომლოდინე მთიელებს იმედის სხივი ჩაგვისახა". რაიონის მოსახლეობის სახელით რედაქციას და ბატონ ელგუჯა ლებანიძეს გულითად მადლობას მოვახსენებთ იმ სიხარულისთვის, ამ ნარკვევების გამოქვეყნებით რომ მოგვანიჭეთ. ვიტოვებთ იმედს, რომ, რადგანაც ჟურნალისტმა „გული ჩვენს მთებში დატოვა", თქვენს გაზეთში მომავალშიც აისახება რაიონის გამრჯე ადამიანების ცხოვრება:

**უღრმესი პატივისცემით
ტარიელ აბულაძე,
ხულოს რაიონის გამგებელი.**

◉ მომხმარებელს აბუჩად იგდებენ

# კანონსაც უხეშად არღვევენ და ადამიანთა უფლებებსაც

**პრესითაც ბევრი იწერება და ტელევიზიითაც გადაიცემა იმ განუკითხაობისა და დარღვევების შესახებ, რაც დაკავშირებულია მომხმარებელთა უფლებების აბუჩად აგდებასთან, მაგრამ ამის გამოსწორებას საშველი არ დაადგა.**

ამჯერად მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ასოციაციამ შეისწავლა დედაქალაქში საზკვების ობიექტებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მდგომარეობა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ვითარება კვლავ საგანგაშოა.




უპირველესად რაც თვალში მოგვხვდა, ის არის, რომ საზკვების ობიექტებში კვლავაც იყენებენ გაუმართავ გამზომ ხელსაწყოებს (სასწორი, გირები და სხვა), რომლებზეც ძნელად ან თითქმის არ იკითხება დამღა, ისინი დადგენილ ვადებში არ მიაქვთ დასამოწმებლად. ვერ გაარკვევ, როგორი წესით წარმოებს მომხმარებელთან ანგარიშსწორება — წინასწარი გადახდით, კერძის არჩევის შემდეგ გადახდით თუ სადილის შემდეგ გადახდით; მომხმარებელი ვერ იღებს ინფორმაციას კერძების და სხვა ნაწარმის, ალკოჰოლური სასმელების ჭურჭლის მოცულობის, ულუფის წონის შესახებ; მომსახურე პერსონალს არ აქვს სანიტარიული წიგნაკები, სისტემატურად არ გადიან სამედიცინო შემოწმებას, არ ტარდება მომუშავეთა სანიტარიული ცოდნის ამაღლების ღონისძიებანი; იმის გამო, რომ მენიუში არ არის მითითებული ულუფის წონები, ვერ გაიგებ, ეძლევა თუ არა მომხმარებელს საკვები პროდუქტები სრული ზომითა და წონით; მომხმარებელთან ანგარიშსწორება არ ხდება საკასო-საკონტროლო აპარატის მეშვეობით ან ანგარიშის შესაბამისად, არ გაიცემა ქვითარი; ობიექტების მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს სამუშაოს, მომსახურების, წარმოების ლიცენზია, სერტიფიკატი და დადგენილი წესით გავლილი რეგისტრაცია; ძნელი დასადგენია, მზადდება თუ არა კერძები იმ რაოდენობით, რომ მათი რეალიზაცია მოხდეს მკაცრად განსაზღვრულ ვადებში, ხომ არ იყენებენ წინა დღით დარჩენილ დაკეპილ ხორცს, მაკარონს, საწებელას, ბურღულს, დაჭრილ სალათებს, ძეხვეულს, ბოსტნეულს და სხვა პროდუქტებს, ინარჩუნებენ თუ არა კერძები საჭირო ტემპერატურას, იყენებენ თუ არა საწყაო ხელსაწყოებს ცხიმის, არაჟნის, საწებლის, გარნირების, წვნიანი კერძების გაცემისას და ა.შ. საზოგადოებრივი კვების პროდუქციის თითოეულ პარტიას არ აქვს ხარისხის დამადასტურებელი მოწმობა, დამამზადებელი საწარმოს დასახელება, დამზადების თარიღი და მისი რეალიზაციის საბოლოო ვადა. იმის გამო, რომ ობიექტების უმეტესობას არ აქვს ვადაგასული პროდუქციის აღრიცხვის ჟურნალი, ვერ ხერხდება პროდუქციის რეალიზაციიდან ამოღების, წარმოების შეწყვეტის თარიღის დადგენა.

აქ კიდევ ყველაფერი ვერ ჩამოვთვალეთ, რამაც შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მომხმარებლის ჯანმრთელობას და სიცოცხლესაც კი.

მაგრამ, სად ხდება ყოველივე ეს? იკითხავს მკითხველი და სამართლიანადაც, ამჯერად მხოლოდ იმ საზკვების ობიექტებს ჩამოვთვლით, რომლებიც ადგილზე ვნახეთ და შევისწავლეთ. ესენია ინდმეწარმეების — „ბიჭია დემეტრაშვილის" (ჯავახეთის ქ. № 44), „დავით წიკლაურის" (თ. შეშელიძის 90), „ჯემალ კბილაშვილის" (ქერჩის № 6), „დალი ზარიძის" (იპოლიტე-ივანოვის № 123) „ვახტანგ ოდიშელიძის (თ. შეშელიძის 6) ობიექტები, შპს „სამგორი-93" (შოთა ლაშხი), შპს „თაბორი" (პირველი კლასის რესტორანი, შეშელიძის 22, აკაკი ალავიძე), სს„პირამიდა", „გივის დუქანი" (ფეიქრების 21, გივი ჩოლოგაური), შპს „განახლება — 92", „სალხინო" (შეშელიძის 4, ირაკლი კუპატაძე), ლუდის ბარი „მერაბ მჭედლიძე" (მეტრო სარაჯიშვილის მიმდებარე ტერიტორია), სახინკლე „ვარძია" (ცოტნე დადიანის 2), საოჯახო სამზარეულო „ირაკლი მეტრეველი" (გურამიშვილის 64) და სხვები.

დარღვევებთან ერთად საზკვების ზოგი ობიექტის მფლობელი უხეშობასაც არ ერიდება. მაგალითად, ლუდის ბარის „მიმინოს" ადმინისტრატორმა ნიკოლოზ დოჭვირმა ქვა ააგდო და ასოციაციის ექსპერტებს გურამ ილურიძესა და გურამ შანიძეს კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვების უფლება არ მისცა. უფლება რომ გვაქვს, ეს კანონში ჩაწერილია, მაგრამ მისი შეუსრულებლობის უფლება რომ არავის აქვს, ამის გაგება რატომღაც არ სურთ, რაზეც, სამწუხაროდ, პასუხს არავინ სთხოვთ.

თუმცა, ყველაფერი მუქ ფერებში რომ არ გამოგვივიდეს, აქვე უნდა დავასახელოთ ცალკეული საზკვების ობიექტები და მათი ხელმძღვანელები, რომლებიც პატივს სცემენ კანონებს, მომხმარებლებს, საკუთარ პროფესიონალიზმს. ასეთებს მიეკუთვნებიან შპს „შაორი" (ნოდარ გვიმრაძე), საკონდიტრო საცხობი „სასკოლო კვების კომბინატი" (ნოდარ მრევლიშვილი), ხინკლისა და პელმენის საამქროები „დარიალი" (ბეგლარ ავსაჯანიშვილი), შპს „ლინა" (ვლადიმერ ჩირგაძე), რომლებსაც დაცული აქვთ სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, მოწესრიგებული აქვთ დოკუმენტაცია, მომხმარებელს აწვდიან ხარისხიან პროდუქციას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთები მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელია. დედაქალაქის ასობით საზკვების ობიექტი კი, რბილად რომ ვთქვათ, თავმინებებულია და რაც და როგორც მოეპრიანებათ, იმას აკეთებენ. ამით ისინი არა მარტო არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს ქმნიან, მომხმარებელთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლესაც აშკარა საშიშროებას უქმნიან.

**ლევან ბაღდავაძე,
საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი.**

◉ ინფორმაცია

## სოფლის მასწავლებლებს და ექიმებს ჯარში გაიწვევენ

**სოფლების** მასწავლებლები და ექიმები, სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან სამუშაო ადგილების მიზეზით ველარ განთავისუფლდებიან.

ეს მას შემდეგ განხორციელდება, რაც საქართველოს პარლამენტი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებებს მიიღებს. თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს პარლამენტს აღნიშნულ კანონში ცვლილების პროექტი წარუდგინა, რომლითაც გააუქმა ის ნორმა, რომ სოფლის მასწავლებლები და სოფელში მომუშავე ექიმები სამხედრო სამსახურში გაწვევას არ ექვემდებარებოდნენ.

როგორც თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა მამუკა კიკალიშვილმა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე აღნიშნა, სოფლების მასწავლებლებისა და ექიმებისათვის, რომელთაც უწევდათ სამხედრო სავალდებულო სამსახური, გადავადება ხორციელდებოდა.

ეს ნორმა საქართველოს პარლამენტმა 1997 წელს მიიღო, რომელიც გარკვეულ წილად მკვდარ ნორმად ითვლება, ამიტომაც თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა, ეს „მკვდარი" ნორმა კანონიდან ამოეღო.

## აფხაზური მხარე ოთხმხრივ შეხვედრაზე არ გამოცხადდა

**გალის** რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გუშინ მორიგი ოთხმხრივი შეხვედრა უნდა შემდგარიყო. თუმცა, აფხაზური მხარე მოლაპარაკებაზე არ გამოცხადდა.

ქართული მხარის წარმომადგენლის, სამშვიდობო ძალების სარდლის ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, შეხვედრაზე აფხაზური მხარის გამოუცხადებლობის გამო, მხარეებმა მხოლოდ ურთიერთკონსულტაციური საუბარი გამართეს. აქედან გამომდინარე, ქართულმა მხარემ ვერ მოახერხა აფხაზური მხარისთვის გადაეცა საკუთარი მოთხოვნა, გალის რაიონში ბოლო დროს გახშირებული ადამიანის გატაცებასთან დაკავშირებით. კერძოდ, შეხვედრაზე უნდა განხილულიყო გალის რაიონის რამდენიმე სოფელში ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებზე მოქალაქეების აფეთქების და რამდენიმე გატაცების ფაქტი, რომელთა დროსაც დაზარალდნენ ქართველი ეროვნების მოქალაქეები.

## გალში 60 000 დევნილი დაბრუნდა?

**აფხაზეთის** თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება გალის რაიონში დაბრუნებულ დევნილთა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ეგიდით აღწერის დაწყებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს.

ამის შესახებ, აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ევროპული ბიუროს შტაბბინის დირექტორის მოადგილე უდო იაცემთან და საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარ ნავიდ ჰუსეინთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.



შეხვედრაზე მხარეთა წარმომადგენლებმა გალის რაიონში დაბრუნებულ დევნილთა აღწერასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები განიხილეს. აფხაზური მხარის მტკიცებით, 1999 წლის გაზაფხულიდან, ანუ აფხაზური მხრიდან დევნილთა დაბრუნების პროცესის ცალმხრივად დაწყების შემდეგ, გალის რაიონში 60 ათასი დევნილი დაბრუნდა.

## დისტრიბუტორებმა 3000 ლარი მიითვისეს

**ფინანსური** პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს თანამშრომლებმა გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ტყიბულის სერვისცენტრის ხუთი დისტრიბუტორი დააკავეს.

როგორც ინტერპრესნიუსს ფინანსურ პოლიციაში განუცხადეს, დაკავებულებს ბრალად მოქალაქეებისგან აკრეფილი თანხის მითვისება ედებათ. მთლიანობაში თანხის ოდენობა სამი ათას ლარს შეადგენს.

აღნიშნული დანაშაული კომპანიის კომერციული უსაფრთხოების სამსახურმა მოიძია და ფინანსურ პოლიციას შეატყობინა. სისხლის სამართლის საქმე „მითვისების" მუხლით აღიძრა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მათ 2-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

## სამართლებრივი ოლიმპიადის ჯერი დადგა



**უზენაეს** სასამართლოში სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართალში მეოთხე ეროვნული ოლიმპიადა იწყება. ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიასთან დაკავშირებით დღეს ერთობლივი პრესკონფერენცია ჩაატარეს „აშშ-ის იურისტთა ასოციაციის", საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და „საქართველოს იურისტ-სტუდენტთა ასოციაციის" წარმომადგენლებმა.

როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა განაცხადა, ეროვნულ-სამართლებრივი ოლიმპიადა საქართველოში დღემდე განხორციელებულ პროექტთაგან უმნიშვნელოვანესია, რადგან ოლიმპიადის საშუალებით ახალგაზრდა იურისტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენის უნიკალური საშუალება ეძლევათ. მისივე თქმით, მსგავსი ოლიმპიადა საქართველოში მეოთხედ ტარდება და სტუდენტებს პროცესში მონაწილე მხარეების - ადვოკატების, პროკურორების და მოსამართლეების როლის გათავისების საუკეთესო შანსს აძლევს.

ოლიმპიადა მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება. მასში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები 15 დეკემბრამდე უნდა წარადგინონ. 18-21 დეკემბერს სტუდენტები ტესტირებას გაივლიან. 11 თებერვლიდან ოლიმპიადის პირველი ტური დაიწყება, 11-12 მარტიდან კი მეორე ტური. სპეციალური ჟიური გამარჯვებულებს 20 მარტს დაასახელებს.

◉ გვეხმაურებიან

# როგორ უნდა ფინანსდებოდეს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო?

## „სარჩენი" „მარჩენალის" ნება-სურვილს კანონმდებლობით შეეწინააღმდეგება

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" წლევანდელი 29 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა სტატია „სარჩენი მარჩენალის ნება-სურვილს შეეწინააღმდეგება?!", რომელშიც გამოხატულია ავტორის თვალსაზრისი ჩვენს ქვეყანაში 7-8 წლის წინათ შექმნილი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიების საქმიანობის შესახებ. იგი სავსებით ობიექტურად უჭერს მხარს ასეთი ორგანოების არსებობას და დამოუკიდებლობას, არამართლზომიერად მიაჩნია მარეგულირებელთა გაუქმება და მათი ფუნქციების სხვა უწყებებისთვის გადაცემა, რის შესახებაც, სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებში არც თუ იშვიათად არის საუბარი.**

სტატიის ძირითადი თემა მარეგულირებელი ორგანოების დაფინანსების საკითხია. ავტორს მიზანშეუწონლად მიაჩნია მათი ე.წ. „რეგულირების საფასურით" დაფინანსების არსებული პრაქტიკა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სარჩენი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო" წინ ვერ აღუდგება მარჩენალი კომპანიების ნებასურვილს და , ამდენად, ვერც „დამოუკიდებელი" იქნება. მისი აზრით, მარეგულირებელი ორგანოს შენახვის ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაიფაროს.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სტატიის სათაურში გამოტანილი სიტყვები „სარჩენი" და „მარჩენალი" ერთობ უხეიროდ შერჩეული ტერმინებია. მარეგულირებელ კომისიას არაფერი სჭირს ვინმეს სარჩენი. რეგულირების საფასური, რომელიც ლიცენზიატმა („მარჩენალმა") კომისიის ბიუჯეტში უნდა ჩარიცხოს, ის თანხაა, რომელიც კანონის თანახმად ტარიფში შედის მის მიერ გაწეული ხარჯების ზევით და, რომელსაც მომხმარებელი იხდის, ხოლო მარეგულირებელმა კომისიამ („სარჩენმა") იგი სავსებით კანონიერად დაიმსახურა მის მიერ გაწეული მომსახურებისთვის.

მარეგულირებელი ორგანოს დაფინანსების საკითხი, მართლაც, უშუალო კავშირშია მის დამოუკიდებლობასთან. ჭეშმარიტად, დამოუკიდებელ ორგანოს, ცხადია, დაფინანსებაც დამოუკიდებელი უნდა ჰქონდეს. ადრე, როცა მართვის ფუნქცია ყველა სფეროში მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო, სწორედ ის აფინანსებდა შესაბამის ორგანიზაციებს. მას შემდეგ კი, რაც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები ჩამოყალიბდნენ, შესაბამისი ქვეყნების მთავრობათა დიდმა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ კომისიებისთვის ფინანსური დამოუკიდებლობაც მიენიჭებინა.



მარეგულირებელი კომისიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შემთხვევაში დიდია კომისიის დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე, რაც ესოდენ აუცილებელია მისი ნორმალური მუშაობისთვის. საკუთარი ბიუჯეტი განსაკუთრებით საჭიროა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების კომისიებისთვის, სადაც, სახელმწიფო ბიუჯეტის სიმწირისა და არასტაბილურობის გამო, მარეგულირებელ ორგანოებს საშუალება არ აქვთ, მოიზიდონ კომპეტენტური და ავტორიტეტული სპეციალისტები.

„რეგულირების საფასურით" დაფინანსების შემთხვევაში კანონმდებლობა „სარჩენს" შესაძლებლობას აძლევს, საჭიროების შემთხვევაში, შეეწინააღმდეგოს „მარჩენალის" ნება-სურვილს. კერძოდ, ზემოაღნიშნულ სტატიაში მოხსენიებული ე.წ. „ჩარჩო-კანონის" თანახმად, მარეგულირებელი კომისიის მუშაობაში საჯაროობის დაცვა აუცილებელია, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში ყველა მიღებული გადაწყვეტილება ბათილია. მაშასადამე, მოქმედებს ისეთი მექანიზმი, რომელიც მარეგულირებელი ორგანოს სხდომების საჯაროობას და საკითხის გადაწყვეტაში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას ითვალისწინებს. აქ სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევა, შეიძლება ითქვას, გამორიცხულია. თუკი ასეთი მაინც მოხდება, საკითხი გასაჩივრდება და სასამართლოში გადაწყდება. სახელმწიფო დაფინანსების დროს კი საეჭვოა, რომ ეს მოხდეს.

სხვათა შორის, ასეთივე წესით საჯარო სხდომაზე განისაზღვრება რეგულირების საფასურის სიდიდე, რომელიც შემდგომ იუსტიციის სამინისტრომ უნდა დაამტკიცოს.

ცენტრალიზებული პოლიტიზებული რეგულირების პირობებში საკითხის გადაწყვეტის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია, რომ საქმე მომხმარებლების ზეწოლაში გადაზრდილიყო; ეს კი ხელისუფლებისგან პოპულისტური გადაწყვეტილებების მიღების საფრთხეს შექმნიდა, რის შედეგად, შესაძლებელი გახდებოდა რეალური საფუძვლის გარეშე ტარიფების შემცირება, ამით კი ლიცენზიატებისა და მთლიანად დარგის ეკონომიკური ინტერესები შეილახებოდა. დამოუკიდებელი რეგულირება კი ასეთ შემთხვევას გამორიცხავს. მარეგულირებელი ორგანოს მოვალეობაა, ყველა კომპეტენტური მხარის მიერ წარმოდგენილი დასაბუთების შეფასება და საზოგადოების სასარგებლოდ საბაზრო ეფექტურობის პრინციპის გამოყენება. ცენტრალიზებული, პოლიტიზებული რეგულირების დროს კი არსებობს საშიშროება, რომ პოპულისტური პოლიტიკური გავლენა არასათანადო ზეწოლას მოახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე მაშინაც კი (მაგ., არჩევნების დროს), როდესაც მსგავსი პოლიტიკური გავლენა ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში ვერც ქვეყანა და, მაშასადამე, ვერც ბიუჯეტი ყოველწლიურად მილიონობით ლარით ვერ გაიზრდება, რის შესახებაც სტატიაშია მითითებული. პირიქით კი შეიძლება მოხდეს. სწორედ პოლიტიკური მოსაზრებების საფუძველზე ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებამ გამოიწვია საბჭოთა ცენტრალიზებული ეკონომიკის ნგრევა.

ბუნებრივი მონოპოლიების მარეგულირებელი ორგანოების დაფინანსება მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ხდება ამ სფეროს საწარმოებიდან ე.წ. „რეგულირების საფასურის" გადახდის ხარჯზე. იგი მიზნობრივი დანახარჯია და თავისი შინაარსით, როგორც ამას ხშირად ამბობენ, არ წარმოადგენს გადასახადის ნაირსახეობას. დაფინანსების დონე კი ისეთი უნდა იყოს, რომ მან შეძლოს კომისიის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა. რეგულირების საფასური თავისი ეკონომიკური არსით და მიზნობრივი დანიშნულებით, არსებითად განსხვავდება როგორც სახელმწიფო გადასახადების, ასევე მოსაკრებლებისაგან.

რეგულირების საფასური ნაწილობრივ მომსახურების (მაგ. ლიცენზიების გაცემა) საზღაურია (ამით იგი ემსგავსება მოსაკრებელს), ნაწილობრივ — სარეგულირებელი სფეროს და მასში შემავალი კომპანიების სისტემური მართვის სპეციფიკური ფუნქციების საზღაური (მაგ. ტარიფების რეგულირება, სექტორში ნორმატიული აქტების შემუშავება). თუმცა ფუნქციები არსებითად განსხვავდება აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების (მაგ. სამინისტროს) მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული მართვისაგან.

გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან რეგულირების საფასური იმითაც განსხვავდება, რომ თვით რეგულირება პრაქტიკულად უწყვეტი პროცესია და მან უნდა დააბალანსოს დარგის შიდა ბაზარი, შექმნას და აკონტროლოს შესაბამისი კომპანიების ეფექტური საქმიანობის პირობები, შეიტანოს ბუნებრივ მონოპოლიებში კონკურენციის ელემენტები, ამასთან, საფასურის ნაწილი პირდაპირ იხარჯება ლიცენზიატებისთვის აუცილებელი სახელმძღვანელო დოკუმენტების მომზადებაზე, გამოკვლევების ჩატარებაზე და ა.შ.

იხ. მე-6 გვ.

ლიტერატურული საუბრები

# ხელოვნური ქართულის წერა, როგორც იქნა, წარსულს ჩაბარდა...

გვესაუბრება ზაზა ბურჭულაძე



*დაიბადა 1972 წელს თბილისში. 1996 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.*

*ავტორია 7 წიგნისა: „გაფრინდინელა" (მერანი. მოთხრობები); „იმედის იქითა მხარე" (მერანი, ლექსები); „ჯადო" (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. მოთხრობები); „ლბილი სევდის დედა" (საარი. კინო-პოემა); „ძაღლური ცხოვრება" (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. მოთხრობები); „გაფრინდინელა" (დიოგენე. რომანი); „იხვის ტოლმა" (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. რომანი).*

*მიღებული აქვს ლიტერატურული ჯილდოები: „PEN-მარათონი — 2002" — გენერალური სპონსორის სპეციალური პრიზი; 2003 წელს ლიტერატურულ კონკურს „საბას" ლაურეატია — მოთხრობების კრებულთა ნომინაციაში გამარჯვებულია; „PEN-მარათონი — 2004"-ის ლაურეატია;*

*ამჟამად ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ალმანახის „ახალი თარგმანების" მთავარი რედაქტორია.*

1. რას ფიქრობთ XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?
2. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს?
3. რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?
4. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?
5. რაზე მუშაობთ ამჟამად?

●**რაიმე** განსაკუთრებულ ტენდენციებს ვერ ვამჩნევ. ვფიქრობ, ქართული ლიტერატურა ბუნებრივი და უკვე აპრობირებული, ასე ვთქვათ, ევოლუციური გზით ვითარდება. ისე კი, ძირითადად და ჯერჯერობით, მაინც ნატურალიზმი მძლავრობს ქართულ პროზაში. ასეთი ტექსტების კითხვა ჩემთვის, ცოტა არ იყოს, მოსაწყენია, რადგან ვფიქრობ, რომ მწერლისა და ლიტერატურისთვის, საბოლოოდ მთავარი არა იმის აღწერაა — რაც მოხდა (და ხდება), არამედ იმისა — რაც შეიძლებოდა მომხდარიყო (და მოხდეს).

●**დოსტოევსკი**, გოგოლი, ვაჟა-ფშაველა, ჯავახიშვილი, ბორხესი, მარკესი, ... რომელი ერთი გავიხსენო. ყველამ თავისი წილი „აგური" დადო იმ „სახლის" მშენებლობაში, სადაც ამჟამად „ვცხოვრობ".

●**ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის** „პატარა პრინცი".

●**მოსახდენი** უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც: ბოლო-ბოლო ქართული ლიტერატურული ტექსტიც გათავისუფლდა მეოცე საუკუნეში ეგზომ პოპულარული, გ. რობაქიძისა და კ. გამსახურდიასეული ღვლარჭნილ-ზეპათეტიკურ-ჩუქურთმოვანი ენობრივი მარწუხებისგან, ანუ ე. წ. — „თავანკარა და ტაო-კლარჯული" ქართულისგან. ქორბუდა ირმებზე, მიუვალ ჭიუხებზე, მღელვარე ზვრებზე და ვაზის ფოთოლზე შეყოვნებულ ცვრებზე ხელოვნური ქართულით წერა, როგორც იქნა, წარსულს ჩაბარდა. თუმცა არის იშვიათი, „მოჰიკანური" გამონაკლისები, რაც ჩემში ირონიული თანაგრძნობის მეტს ვერაფერს იწვევს.

●„**წითელი** და დაწინწკლული სოკოები" — ასეთი სათაური აქვს რომანს, რომლის წერა ათი წლის წინათ დავიწყე და დღემდე ვაგრძელებ. პარალელურად ვამუშავებ ქალაქურ რომანს „მკვდრების ქალაქი", რომელიც 90-ანი წლების თბილისსა და იმდროინდელ ბატალიებს შეეხება. უახლოეს მომავალში ვაპირებ გამოვცე ახლახან დასრულებული მიკრორომანი „უზარმაზარი ბაზარი" და მოთხრობათა კრებული, სადაც შევა ცხრა ახალი მოთხრობა. ასევე ვმუშაობ კინოსცენარზე „თევზისმჭამელი", რომლის ეკრანიზებას აპირებს რეჟისორი გია დიასამიძე.

მოკლედ, წერას ვყავარ ატანილი.

**ჩაიწერა**
**თამარ შაიშმელაშვილმა**

## ბესო ხვედელიძე

# მტრედები



**განა** ძნელია, მთელი დღე იარო ქუჩაში და შენიანს არავის გადაეყარო? ვიღაცამ მითხრა — ეგეთი დღეები თითქმის არ არსებობენო. სადაც სიტყვა „თითქმის" გამოერია, იქ ყველაფერი შესაძლებელია. მე კიდევ ასეთ თითქმის—დღეებს მივეჩვიე. გახშირდნენ ამ ბოლო დროს, ძალიან გახშირდნენ. ან მე გავუცხოვდი ზედმეტად. იმასაც ვგრძნობ, რომ ეგეთი დღეები სხვანაირად მზრდიან და მაწყნარებენ. მეც სულ მათ მოლოდინში ვარ. დადარაჯებული. ვიღვიძებ თუ არა, მაშინვე ვამოწმებ — უებარი ხერხი მასწავლა აბომ, ჩვენმა მეეზოვემ: „ტრედი ფანჯარაში არ გეჯდეს, ის დღე კვდარია." ჩემი საწოლი კი ზუსტად ფანჯარასთან დგას. ფანჯარას გარე რაფა აქვს. ჰოდა, ალიონზე თუ რაფაზე მტრედები არ დამიხვდნენ, ესე იგი, ეგაა — ის დღე აუცილებლად მარტოობაში ჩაივლის.

ძალიან ადრე კი, კარგად მახსოვს, დღეები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბევრ—მტრედებიანი იყო. აქეთ მე ვიწექი, იქით თამარა, შუაში — ლუკა და ისიც ორივეს ერთდროულად და თანაბრად გვათბობდა. „ჩემი პაწაწო რადიატორი." — ეფერებოდა თამარა. მტრედები გვაღვიძებდნენ. მტრედები ქუჩას კენკავდნენ. მტრედები სახლების აივნებს ეტანებოდნენ. მტრედებიანი დროშები თვალში გვხვდებოდნენ. ყველგან მტრედები იყვნენ.

აბოს ნათქვამი დავიხსომე. თამარასაც ვუთხარი. თამარა აბოს ქოქოლას აყრის და პროფესიას უწუნებს.

„რა იცის მაგან?!... შენც უგდებ ყურს პროფესორს!..."

„ეზოს დაგვა ხომ იცის?" — ვიცავ მე აბოს.

„ეზოს დაგვა ყველამ იცის!"

„მიდი, დაგავე!" — ვეუბნები და პირზე წყალს ვისხამ. თამარა ჩაის ადუღებს. მერე ასხამს.

„რა ქენი... აღარ მორჩი რომანს?" — მეკითხება საუზმისას შემრიგებლურად.

„ჯერ სადაა..." — ვბურტყუნებ ჩემთვის და ფანჯარას გავყურებ.

„ნელი ხარ აი... ნელი..." — ოხრავს თამარა და ჩაიში სამ კოვზ შაქარს იყრის.

„ნელიც ხარ და ბონდღოც!" — ვამბობ და ეზოს ჩავცქერი. მტრედები არ ჩანან. არსად. არც ცაში, არც ძირს, არც ხეებზე, არც აივნებზე.

„რატო არ არიან მაშინ?" — ვკითხულობ ხმამაღლა.

„ვინა?"

„მტრედები... არსად."

„ერთი შენც მოგცლია!" — ამბობს თამარა და ჩაის სვამს.

მე სკამს ვუბრუნდები და თამარას შევყურებ. ისევ ლამაზია თამარა, მაგრამ ისე ველარ, როგორც ადრე. თმაში ჭაღარა ძაფები. მოღლილი სახისკანი, თითები ხომ... თითები საერთოდ. არადა, სწორედ თითები იყო, რითაც ადრე თამარა ჩემთვის დაიწყო... სულ ადრე, ინსტიტუტში, კანისფერი მანიკურები რომ ესვა და თითები ჰქონდა თლილზე თლილი, თხელზე თხელი. ახლა — ველარ. თითებიც დაიღალნენ. დროისგან ალბათ.

„ლუკასგან არაფერი ისმის, რა ხანია..." — ამბობს თამარა მძიმედ და მაგიდის ალაგებას იწყებს.

„ტელევიზორში რას ამბობენ?..." — ვიძაბები.

თამარა ოხრავს და აბლაბუდას აჰყურებს.

„აღარ დამთავრდა ეს დაწყევლილი..."

თვალებში ვცდილობ შევხედო. მზერა დავიჭირო. ადრე, თამარას თვალებიც სულმუდამ უბრწყინავდა. ახლა ისინიც ველარ. თითქოს ფერიც გადაუვიდა თვალებიდან. თაფლისფერი გაუიაფდა. ეგეც ალბათ დროის ბრალია. თვალებქვეშ კი სიმუქეებია. კუთხეებთან — ნაოჭები. მქრქალი, მაგრამ მაინც ნაოჭები.

„ვერც ვიძინებ..."

მე ისევ ფანჯარას გავყურებ.

„ყველაფერი კარგად იქნება, თამრო... აგერ ნახავ."

„ჩვენ კი ვნახავთ..." — ამბობს ნაღვლიანად და ჩემი გადაბრეცილი სახის შემხედვარე იქვე დუმდება. ეზოდან ასფალტის ფხოჭნის ხმა მესმის. აბოა ალბათ, მაგრამ დილით მტრედები რომ არ იყვნენ?..

„სიზმარში ვნახე გუშინ..." — ამბობს თამარა. „არა... ვიტყუები... კი არ ვნახე, ვითომ ტელეფონი რეკავდა სიზმარში... დიდხანს... ვერ ვპოულობდი სად იდგა... მერე ძლივს მივაგენი..."

„სად იყო?"

„საპურეში."

ტანში მცრის.

„მერე?"

„მერე ავიღე და ლუკა იყო... ვითომ პატარა იყო... ტვინის შერყევა რო დაემართა, გახსოვს?"

თავს მძიმედ ვაქნევ.

„ა, იმხელა."

„მეორე კლასში." — ვაკონკრეტებ მე.

„და შენზე მკითხა, დაამთავრაო?"

ისევ ფეხზე ვდგები და ფანჯარას ჩავყურებ. ასეც ვიცოდი — ვიღაც სტაფილოსფერჟილეტიანი ბებრუხანა ფხოჭნის ეზოს.

„გავივლი მე..." — ვამბობ და გარეთ გასასვლელად ვემზადები.

„დარჩენილიყავი... დაგემთავრებინა... ყველაფრისთვის იცლი..." — იწყებს თამარა. „რაა მაგ ბოდიალში?"

„ტვინი!" — ვუტრიალდები თამარას მკაცრად. მერე ქუდს ვიხურავ და გავდივარ.

ქუჩაში თითქმის არავინაა. მტრედები მით უმეტეს. ხალხიც და მანქანებიც კანტიკუნტად.

ცოტას გავივლი. მერე სოკოდან მოვყლუპავ. მერე ისევ გავივლი. სანაპიროსკენ ჩავუხვევ. მდინარის მხარეს გადავალ. ყროლის სუნი. ვსუნთქავ ღრმად. ვჩერდები. მოაჯირს იდაყვებით ვეყრდნობი. წამით მეჩვენება, რომ მდინარე დგას და დანარჩენი ყველაფერი მიდის, მათ შორის მეც. მდინარის იქითა მხარეს მეთევზეები. მდინარის ზედაპირი გაზეთების ბინძური ნახევებით მოფარული.

* * *

**ადრე**, მე და ლუკა ზუსტად ამ ადგილას ჩამოვდიოდით ხოლმე. უფრო საღამოსკენ. ლუდს, თევზსა და შავ პურს ვიღებდით. ძველ გაზეთსაც ვიყოლებდით სახლიდან. ვიციცქნებოდით. ლუკა უკულმართ სადღეგრძელოებს იგონებდა და ვიცინოდით.

მერე ერთხელ, ლუკამ ძალიან სხვანაირად მითხრა:

„მა, ერთი გოგო შემიყვარდა ძალიან!" — და მეც გული ამიფანცქალდა.

ვიცოდით, მეც და თამარამაც, ადრე ბევრთან რომ დაძვრებოდა. ვისგან აღარ ვიგებდით, მაგრამ ასე არასდროს უთქვამს. არც ისე. არც თამარასთვის. კრინტიც არ დასცდენია.

დიდხანს ვფიქრობდი, რა მეკითხა. სიტყვებს ვეძებდი. მერე ყველაზე უბრალო დამცდა:

„ვინაა?" — და ლუკაც ამის გაგონებაზე უცნაურად დაღონდა. თან მოიღრუბლა და აბორგდა. მერე ნიკაპი აუკანკალდა და ძლივს ამოთქვა:

„ბოზია."

იმ დღეს მეტი აღარაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის. ამ თემაზე ხმაც არ ამოგვიღია მთელი სამი კვირა. იმის მერე აღარც ლუდის დასალევად ჩამოვსულვართ აქ. თამარას რას ვეტყოდი.

სამი კვირის მერე მოიყვანა სახლში და გაგვაცნო. ჩუმი და ლამაზი გოგო აღმოჩნდა. სახით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. უცხოს და—ძმები ეგონებოდა.

ჩაი დავლიეთ. თამარამ ამაყი სახით საოჯახო ალბომი გადმოიღო და გოგოს დაათვალიერებინა. მერე შეკითხვები დაუსვა. გოგო ყველაფერზე მორჩილად პასუხობდა და თამარას თვალს ვერ უსწორებდა. ლუკაც იქვე იყო — გარინდული და აწითლებული.

„როგორ უხდებიან ერთმანეთს!..." — მითხრა თამარამ საღამოს.

„როგორც მსაჯი და სვისტოკი." — ვთქვი მე და ჩემს ოთახში შევედი.

გული მიფართხალებდა.

კიდევ სამი კვირის შემდეგ სასწრაფოს გამოძახება დაგვჭირდა. ლუკას გულის შეტევა ჰქონდა. თამარა მთელ ეზოზე კიოდა. ძლივს დავაწყნარეთ. მერე საავადმყოფოს ფოიეში ვიდექით. თამარას თავი ჩემს მკერდზე მოესვენებინა. მე თავზე ვეფერებოდი.

„რატო მოუვიდა... ამ ასაკში... რა დროს მაგის ეგ იყო..." — ქვითინებდა თავისთვის.

რა უნდა მეთქვა.

ყოველდღე მივდიოდით. ლუკა ნაღვლიანი და აფითრებული გვხვდებოდა. მთელი კვირა არაფერს ჭამდა. ღამით ნახევარ საათს თუ ჩათვლემდა და ყვირილით იღვიძებდა. ხან მე ვუთევდი, ხან თამარა.

„მა, ეგრე ღრმად არსად შემიტოპია..." — მითხრა მეშვიდე ღამეს. „ყველაფერი გავეცი... ეგრე არასდროს უტკენინებიათ... რატო ხდება მა, ეგრე?" — თვალები აცრემლებული ჰქონდა.

„ვერა ხვდები?" — შევეკითხე და ბალიში შევუსწორე.

„ნწ..." — გადააქნია თავი ლუკამ და სავსემთვარიან ფანჯარას გახედა.

„ცოტაც მოიცადე." — ვუთხარი მე.

ოცდაერთ დღეში გამოწერეს. სახლში ტაქსით წამოვიყვანეთ. თამარა წინ იჯდა. უკან მე და ლუკა. შევატყე, რომ მანქანის ყოველ, სულ მცირე დამუხრუჭებაზეც კი იძაბებოდა და ფითრდებოდა.

„სიარულს გადავეჩვიე..." — თქვა მანქანიდან რომ გადავდიოდით.

აქეთ—იქიდან ხელმკლავი გამოვდეთ და ფრთხილად ავიყვანეთ ულიფტო სახლის კიბეებზე. უცებ დაიღალა. სახლში რომ შევედით, გაიბადრა. სახეზე ალმურისმაგვარმაც წაჰკრა.

თამარა სამზარეულოში გავარდა და სუფრის გაშლას შეუდგა. ჩვენ ფანჯარასთან ვიდექით და ეზოს ჩავყურებდით. აბოს ცოცხი ეჭირა და გამეტებით იქნევდა.

„ქალები შემეზიზღება..." — დასცდა ლუკას.

„ცოტაც მოიცადე..." — გავუმეორე მეორეჯერ პაუზის შემდგომ.

* * *

**მთელი** თვე არ გასულა ლუკა სახლიდან. ძირითადად იწვა. არც ტელევიზორისთვის შეუხედავს. წიგნებს კითხულობდა ან ჭერს ასცქეროდა და ფიქრობდა. ერთი—ორჯერ ამხანაგებიც მოუვიდნენ და ბედად მაინცდამაინც მაშინ, თამარა რომ არ იყო — რომ ყოფილიყო, ვიცი, არ შემოუშვებდა. ბოთლით არაყი მოიტანეს და თვითონ დალიეს. თან ხორხოცობდნენ. ლუკას ართობდნენ. ლუკა ნაღვლიანად იღიმებოდა და ეტყობოდა, გონებით სულ სხვაგან იყო.

„რატო აღარ ეკარება არავინ..." — შფოთით მკითხა თამარამ ერთ-ერთ საღამოს. „აღარავინ ურეკავს... ადრე სუ ტელეფონზე იყო ჩამოკიდული..."

„დრო ჭრილობებს უშუშებს... ისინიც აცლიან... მაშ რისი მეგობრებია..." — ვუპასუხე და თამარას თავზე ხელი გადავუსვი.

„თავი დამანებე ერთი შენი ფილოსოფიით!" — ამიკრა ხელი თამარამ და კარტოფილის თლა განაგრძო. მე მხრები ავიჩეჩე და წყალი დავლიე.

„ხორცს ველარ შევჭამ!" — გამოაცხადა მეორე დილით ლუკამ.

ერთდროულად შევხედეთ. თვალები ანთებული ჰქონდა.

„რატო შვილო... კბილები გინდა ნაადრევად დაგცვივდეს?" — შეიცხადა თამარამ.

„სიბრძნის!" — მოუჭრა ლუკამ და თავისთან ჩაიკეტა.

მეორე დღეს, შუადღით, ჩემთან შემოვიდა. ვწერდი, მაგრამ მისი ნაბიჯები მაინც ვიცანი. კაი ხანს მედგა ზურგსუკან. მერე ჩაახველა და მეც გავხედე. ფერი მოსვლოდა. თვალები კიდევ უფრო ანთებოდა.

„რა მოხდა?"

„დავურეკე..." — თქვა ჩურჩულით და მივხვდი, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად გაიღიმა.

„რაო?" — შევეკითხე დიდი პაუზის შემდეგ და დავიძაბე.

„არაფერი... მოვუხადე... მადლობა..."

„უხდიან ბოდიშს... და არა მადლობას." — შევუსწორე მე.

„ჰო... მადლობა ვუთხარი."

„რისთვის?"

„გზაზე დაყენებისთვის!" — თქვა ლუკამ და კიდევ ერთხელ გაიღიმა. „დიდი ადამიანი ყოფილა."

„თუ ქალი?" — ჩავეძიე მე.

„ქალი." — დააქნია თავი ლუკამ და ჩამოჯდა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

„აწი ხომ იცი?" — შევეკითხე ერთბაშად ამსუბუქებული.

ლუკა კაი ხანს ფიქრობდა. მერე შემომხედა.

„შენნაირი მინდა ვიყო..." — აუკანკალდა ნიკაპი და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.

ძლივს შევიკავე თავი. მერე შუბლზე ხელი გადავისვი და ცხოვრებაში მესამედ ვუთხარი:

„ცოტაც მოიცადე."

შემდეგ დილას კიდევ უფრო ანთებული გამოვიდა თავისი ოთახიდან. მე და თამარა სამზარეულოში ჩაის ვსვამდით. თან ტელევიზორს შევცქეროდით. ვიღაც ახალგაზრდები მღეროდნენ.

„დე, მარხვა როდის იწყება?" — დაახეთქა ლუკამ პირდაპირ.

თამარას კინაღამ ლუკმა გადასცდა.

„რათ გინდა, დედა გენაცვალოს, ისედაც გამხდარი ხარ..."

ლუკამ მე გადმომხედა.

„ორშაბათიდან." — ვუთხარი მე და ჩაი მოვსვი.

ლუკამ წამით შეხედა ტელევიზორს. მერე ისევ ჩვენ გადმოგვხედა.

„ამათი ფარისეველი დედა მოვტყან!" — გამოსცრა კბილებიდან და თავი ტელევიზორისკენ გადააქნია. თამარამ ყურებზე ხელისგულები აიფარა. მე გამეღიმა. ლუკა ოთახიდან გავიდა.

* * *

**აღდგომაზე** მე და ლუკამ კვერცხები დავურტყით ერთმანეთს. ჩემი გატყდა. მივაწოდე. ნახევარი შეჭამა და დარჩენილი უკან გამომიწოდა.

„არ შეიძლება." — ვუთხარი მე და ის ნახევარიც მიირთვა.

„აგერ პასკაც ჭამე, დედიკო." — მოეფერა თამარა და ლოყაზე აკოცა.

მერე ღვინო დავლიეთ. ცოტ—ცოტა. ლოყები აგვიფერადდა. თამარა აქეთ—იქით დაფაცურობდა.

„უნდა წავიდე... წასვლა მინდა..." — გამენდო უცებ ლუკა და ბედნიერი მზერით ამომხედა.

„სად წასვლა?" — ვერ მივხვდი მე.

„ომში..."

„საად?"

„ყველაფრის თავიდან დაწყება..." დავდუმდი.

„... თუ გადავრჩი, მღვდელი გავხდები..."

აღარაფერი მითქვამს.

„დედაშენი გაგიჟდება..." — გადავუჩურჩულე საღამოსკენ.

ლუკას გაეღიმა.

„სიმართლეს ვეტყვი... და არაფერიც არ მოუვა." — თქვა ფიქრის შემდეგ.

„მე რომანს დავწერ." — წამომცდა უცებ ჩემდაუნებურად. „დაგახვედრებ..."

„რაზე?" — დაინტერესდა ლუკა.

„შენზე." — ვუპასუხე თამამად და მხარზე ხელი პირველად გადავხვიე.

* * *

**უმტრედებო** დილები მომიმრავლდა. ვერაფერს ვხვდები. აბოც სანუგეშოს ვერაფერს მეუბნება: „ეგეთი ქალაქებიც არი... ტრედი არ იცის..."

„მერე რა ხდება იქ?"

„არაფერი... ყველა თავისთვისაა."

რომანს ველარაფრით ვამთავრებ. გაჭედილი ვარ. სულ უფრო ხშირად ჩავდივარ მდინარესთან. ის ისევ ისეთია. ყროლიანი. გაზეთების ბინძური ნახევებით ზედაპირმოფარული. იქით მეთევზეები. აქეთ მე და ყოველ ჩასვლაზე წამიერი შეგრძნება, რომ ეს მდინარე კი არა, ყველა დანარჩენი მიდის, ჩემთან ერთად. ნელა და ზოზინით.

თამარა სულ უფრო ხშირად ბუზღუნებს და დღითი დღე ავდება. უჭირს მარტოს. მე რომანისკენ ვარ. ლუკასი არაფერი ისმის და არავინ იცის, როდის დაბრუნდება. თამარას რაღა დარჩენია. სერიალები, ტელეფონი, მეზობლები, დაქალები, ნათესავები... მაინც არ ჰყოფნის. ლუკა ენატრება და ვერც თავისთვის ვერ უპატიებია და ვერც ჩემთვის.

„რატო გაუშვი?!"... „რატო გავუშვი?!"... „რატო გავუშვით?!"

ამ სიტყვებით შემოდის ყოველ დილით ჩემთან და ღამენათევს მაფხიზლებს.

„თითონ წავიდა." — ვცდილობ დავაწყნარო. ლოგინის კიდეზე ჩამომჯდარს ზურგზე ხელისგულს ვუსვამ. თამარა გველნაკბენივით იწევს და ფეხზე დგება.

„ცივი ხარ..."

მე მტრედების რაფისკენ ვატრიალებ თავს. რაფაზე ორი, დედალ—მამალი მტრედი ზის. ერთმანეთს ნისკარტებით ეალერსებიან. სწრაფად ვიცვამ.

„თითისტოლა ბავშვის ჭკუაზე ვინ დადის, ვინ?!... რამე რო მოუვიდეს?..." — ბოლო სიტყვებს ჩურჩულით ამბობს თამარა და გაბზარული შემომცქერის.

„ვინაა თითისტოლა?!... არაფერიც არ მოუვა!..." — ვამბობ და გავდივარ.

ეზოში აბო მხვდება. ჟანგიანი ღიმილით. გარს მტრედები ახვევია. ღუღუნით დაბაჯბაჯებენ და ეზოს მტვერს კენკავენ.

„ამბავია." — ამბობს აბო და ცოცხის ტარის ბოლოზე იდაყვჩამოყრდნობილი მტრედებს გადაჰყურებს.

„რა ამბავი?"

„სვოი დღე იქნება, აბო არ ვიყო!"

ქუჩაში გავდივარ. ყველგან მტრედებია. მტრედები ქუჩას კენკავენ. მტრედები სახლების აივნებს ეტანებიან. მტრედებიანი დროშები თვალში მხვდებიან. ხალხიც ბევრი. მანქანებიც.

„ვა, ბასა, შე ძველო!" — ნაცნობებია. მხარზე ხელის ტყაპუნი. მოკითხვები. „სად ხარ, აღარ ჩანხარ..." „ბიჭი როგორაა... ისევ აფრენს?"... „გამხდარხარ აი..." „თამარა რასა იქმს?"... „წეერ ისევ?"... „შენცა ხარ, საქმე გიშოვია."... „ვა, ბასა, ვბერდებით ჯიგარო?" „ქვეყანა შენდება, ბასიკ, ხალხი კეთდება, შენ კიდე..." „ვა, ამას ვის ვხედავ, ტო!" „ე, ბასა, გახსოვს ადრე?"

მე ყველაფერი მახსოვს და ვერაფერს ვერ ვივიწყებ. რაა რო დასავიწყებელი? მახსოვს, როგორ არა — თამარას თითები კანისფერი მანიკურებით. მისი ღიმილი. მერე შეხვედრები. სეირნობები სანაპიროზე. მერე ქორწილი. ლუკა. ბავშვის ტირილები ღამღამობით. ნევროზები. ლუკას ბაღი. სათამაშოები. სკოლა. არეულობა. შიმშილი. სიბნელე. სიცივე. მე ყველაფერი მახსოვს. მე და ლუკას ლუდის სმაც მახსოვს მდინარის ამ მოაჯირზე. აი ზუსტად აქ რომ ვიდექით ხოლმე. აგე ეს ჭადარი. ლუკა უკულმართ სადღეგრძელოებს რომ იგონებდა და ვიცინოდით. ის დღეც მახსოვს. სხვანაირი ლუკა. ნიკაპის კანკალი. სიყვარული. ყველაზე დიდი და ლამაზი მისთვის. განბილებაც. გულის შეტევაც. მერე მოშუშება. სულის მოშუშება და სინათლე. სინათლე, რომელიც ლუკას იმ ჩუმმა და ლამაზმა გოგომ აჩუქა. განა სიყვარულით? — პირიქით — ხელისკვრით. ღალატით. შემოლაწუნებით. მახსოვს. მე ყველაფერი მახსოვს. ლუკა რომ მიხვდა, დიდი ტანჯვის მერე რომ ყველაფერს მიხვდა, მთელ თავის წარსულს რომ მიხვდა, ისიც მახსოვს. რომ ინანა, ისიც. მე აწიც მეხსომება ყველაფერი. რა დამავიწყებს. ერთ სიტყვასაც. წერტილსაც. მძიმესაც კი. ლუკას დაბრუნებაც მეხსომება. კარზე მისი ზარი მეხსომება. უკვე სხვანაირი. ჩემი გულის ფართხალიც მეხსომება. თამარას გულის წასვლაც. მერე ხვევნა—კოცნა. წვერებიანი ლუკა. სულყველაფერი ყოველთვის მეხსომება. ლუკას სისხვანაირე მეხსომება. სიდინჯე. სხვა შუქი თვალებში. სიბრძნე. ყველაფრისთვის მზადმყოფი და დაუზარელი ლუკა მეხსომება.

წვერს თუ გაიპარსავს ლუკა, მაშინ მდინარეზე ჩავალთ და ისიც გაიხსენებს, მასაც სულ ეხსომება ის ბოლო დღე და ეს პირველი.

წვერს თუ გაიპარსავს ლუკა და მდინარეზე ჩავალთ, მაშინ ავიღებთ ისევ თევზს, შავ პურს, ლუდს და სახლიდან თამარას გამოტანებულ ძველ გაზეთსაც გავფენთ მოაჯირზე.

წვერს თუ გაიპარსავს ლუკა და მდინარეზე ჩავალთ და ავიღებთ ისევ თევზს, შავ პურს, ლუდს და სახლიდან თამარას გამოტანებულ ძველ გაზეთსაც გავფენთ მოაჯირზე, მაშინ ლუკა ჩვეულებრივ სადღეგრძელოებს მოიგონებს და მაინც ვიცინებთ.

„მა, უკვე ოცდაცამეტის ვარ..." — მეტყვის მერე.

გამეღიმება. გამეღიმება მთელი სხეულით. სიტყვების ძებნა სულ არ დამჭირდება. თვითონ ლუკა მეტყვის:

„აწი ჩემგან კაცის მეტი აღარაფერი გამოვა."

ირგვლივ კი ალბათ ბევრი, ბევრი თოლიები იქნებიან და, რა თქმა უნდა, მტრედებიც. მდინარეც ალბათ სხვანაირი იქნება. მდინარე, რომელიც შუადღისკენ ტანსაცმელშემოძარცულ, პლასტმასის ხელფეხდამძვრალ მანეკენებს ჩააცურებს. უამრავს ალბათ. არავის ეცოდინება საიდან, და ჩვენთან ერთად მაინც მთელი ქალაქი მოაჯირზე იქნება გადაყუდებული.

ტელევიზიებიც მოვლენ კამერებით. იქნება განსჯა, კამათი, ვარაუდები.

„ძველი თეატრი დაიწვაო." — იტყვის ალბათ ერთი.

„რა უნდა თეატრში მანეკენებს." — შეიცხადებს ალბათ მეორე.

„კინოს იღებენ მგონი..." — დაასკვნის ალბათ მესამე და ეს კინოც ალბათ ასე დამთავრდება:

მე და ლუკა ერთად ვბრუნდებით სახლში. გზაში მტრედებია. ყველგან მტრედები. მანქანებზე, ხეებზე, აივნებზე. შევდივართ ეზოში. იქ აბოა განუყრელი ცოცხით და ირგვლივ მტრედებით. გაგვიღიმებს. მხრებს აიჩეჩავს და ჩვენი ფანჯრისკენ აიხედავს. ჩვენც იქით გაგვექცევა მზერა.

თამარა ფანჯრის რაფაზე მობაჯბაჯე მტრედებისთვის პურის ნაფხვენების დაყრით იქნება დაკავებული, თან ღიმილით ჩამოგვაცქერდება.

„დაბრუნდნენ, აი!" — ჩამოგვძახებს და აბოც დაეთანხმება:

„დაბრუნდნენ, მაშ..."

◉ ხმა სულისა

## ნანა ღვინეფაძე

# ბოლო რვეულიდან



### სასოწარკვეთა

...ვინ მოთვლის
ახალ ხანაში
ვის სწყურია და
ვის შია...
წარსულში დარჩა
ოცნება,
მომავალი კი
ნისლშია!..
ვინ მოუშუშებს
ქვეყანას
საბედისწერო იარას, —
თუ მოვესწრებით,
რომ რუსი
შეელეოდეს იარაღს...
. . . . . . . . . . . . .
ვინ მოთვლის
საქართველოში
ვის სწყურია და
ვის შია...
ოცნება დარჩა
წარსულში,
მომავალი კი
ნისლშია!..

2005 წ. მარტი

### ჩვენ რად გვინდა „მადნეული"?!.

ესეც გავყიდეთ, —
„ქისაში"
ხომ ჩავიყარეთ
ფეტვი...
ჩვენი შავი ქვაც
ოქროა, —
ოქრო ხომ
მეტისმეტი!..
კიდევ რას ვყიდით
ნეტავი, —
რით გავამზითვოთ
შვილები?!
როდემდე ვიყოთ
ნატრული,
როდემდე ვიყოთ
მშივრები?!.
. . . . . . . . . . . . .
კიდევ რა დაგვრჩა?!
ქისაში რომ ჩავიყაროთ
ფეტვი?!
ჩვენი შავი ქვაც
ოქროა, —
ოქრო ხომ
მეტისმეტი!..

2005 წლის გიორგობისთვის 2

* * *

მეც ამინდივით
ვიცვლები, —
გავლეწე ჩემი
კალო და, —
ზღვა რომ ზღვა არის,
ისიც კი
საცრემლედ არა
კმაროდა!..
მომიახლოვდა დაისი, —

მეც მიყვარს
ჩემი მთა-ბარი,
მაგრამ მართმევენ
სამშობლოს,
აღარ გვიშველის
დარანი...
აღარ გვიშველის
კლდე-ღრეში
გადახიზვნა და დამალვა, —
დავრჩებით
უმიწაწყლონი
ნიფხავ-ჰერანგის
ამარა...
დამიჭკნა ვარდის
ბუჩქნარი, —
იმრა დედ-მამის
საფლავი...
იმათაც ხომ
შესცივდებათ,
აგერ, კარზეა
ზამთარი...
. . . . . . . . . . . . .
მომიახლოვდა დაისი,
გავლეწე ჩემი კალო და,
ზღვა რომ ზღვა არის,
საცრემლედ,
ისიც კი არა კმაროდა!..

2005 წ. ღვინობისთვის 2

### ძაღლის აღსარება

კი, შეგაბეზრეთ თავი
ყმუილით, —
ბოღმისგან ლამის
კვლავ მგლებად ვიქცეთ...
მაგრამ ჩვენ თუ არ
ვიყეფეთ ხოლმე,
ვინ გაგაღვიძებთ?!.
საღათას ძილით დაიძინებდით,
თავს ფიქრით აღარ
დაიმძიმებდით!
ამასობაში მტერი
გამდიდრდა, —
გული იჯერა
მარცვით და ყვლეფით,
ამიტომ ვიკლებთ
ქვეყანას ყეფით!..
ერთგულები ვართ
როგორც იობა, —
უჩვენოდ ვერ ძლებს
კაცობრიობა, —
ეს აღსარება
ნუ დაგამძიმებთ.
თუ დაგემინათ
საღათას ძილით, —
მამლის ყივილი
ვერ გაგაღვიძებთ!..
. . . . . . . . . . . . .
ერთგულები ვართ
როგორც იობა,
მაგრამ დაყრუვდა
კაცობრიობა!..

2005 წ. ღვინობისთვის 9

◉ ლიტერატურული მოზაიკა

## საფრანგეთი

# დოქტორი ფროიდი – მოგზაური

**ორმოცი წლის შემდეგ ზიგმუნდ ფროიდს (1856-1939) მოგზაურობა შეუყვარდა. ყოველ ზაფხულს — 1895-1923 წლებში — რამდენიმე კვირას საზღვარგარეთ ატარებდა. ფროიდმა იმოგზაურა ამერიკაში, ინგლისში, ჰოლანდიაში, იტალიაში, საბერძნეთში და ყოველთვის ოჯახს უგზავნიდა წერილებსა და ღია ბარათებს. ახლახან ისინი დაიბეჭდა წიგნში „გული სამხრეთისაკენ გვეძახის", რომელიც ფრანგულმა გამომცემლობა „ფაიარმა" დასტამბა.**



400-ზე მეტგვერდიანი ტომი გამოცემულია ყველა აკადემიური სტანდარტის მიხედვით: წინასიტყვაობით, შენიშვნებით, ბიბლიოგრაფიითა და სახელების მითითებით. წიგნის მეორე ღირსებაა ილუსტრაციების უზარმაზარი რაოდენობა: ფოტოსურათები, გეგმები, გრავიურები.

ტომში შევიდა 56 წერილი და 189 ღია ბარათი. მასალების შერჩევის შემდგენლები ხელმძღვანელობდნენ ამოცანით: წარმოეჩინათ ფროიდი აბსოლუტურად მოულოდნელი კუთხით — როგორც მხიარული და სიცოცხლის მოყვარე ადამიანი.

ჩვეულებრივ ფროიდს მოგზაურობაში თან ახლდნენ ძმა, ექვსი შვილიდან რომელიმე ან ცოლისდა მინა, იშვიათად — ცოლი მარტა: სუსტი ჯანმრთელობის გამო ამჯობინებდა ზაფხული სოფელში გაეტარებინა, სწორედ მის სახელზეა გამოგზავნილი წერილებისა და ღია ბარათების უმრავლესობა. ისინი მთავრდება უცვლელი მინაწერით: „დამიკოცნე პატარა ეშმაკუნები". წერილებში ფროიდი წარმოგვიდგება სულ სხვა სახით, რომელიც სრულებით არ ჰგავს იმ ადამიანს, ფსიქოანალიზის ფუძემდებლად რომ მიგვაჩნია.

ფროიდი წერს არა იმდენად ღირსშესანიშნაობებზე, რამდენადაც ამინდზე, საჭმელზე, საყიდლებზე, უმნიშვნელო საგზაო ფათერაკებზე. წიგნი მთავრდება მოგზაურობით რომში — ქალაქში, რომელიც შემდეგ ფროიდს მრავალჯერ დასიზმრებია.

◎ გენერალისიმუსის გზა

კოჩკენ საქტანოევი

# სტალინის შემდეგ

პირველი ნაწილი

**დაადგინეს:**

**1. გაირიცხონ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობისა და საკ. კპ (ბ) წევრობისაგან, არ გადაეცენ სასამართლოს, საქმე გადაეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.**

**2. დაევალოს კომისიას სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, მიქოიანისა და ეჟოვის შემადგენლობით, შეიმუშაონ რეზოლუციის პროექტი დღეს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.**

**კომისიის თავმჯდომარე**

**ა. მიქოიანი.**

იმავე დღეს, 1937 წლის 27 თებერვალს, ბუხარინი და რიკოვი დააპატიმრეს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მათ ბრალდებანი წაუყენა. 1938 წლის 13 მარტს დილაადრიან კი ისინი დახვრიტეს.

სტალინი გაუნძრევლად ერთ ადგილზე იდგა, მძიმე ფიქრებში ჩაფლული, სინანულისა თუ სიბრალულის გრძნობა სულს უღრღნიდა. საოცარი არსებაა ადამიანი. არავის შესწევს უნარი, გაუგოს უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანს. ამიტომაც არ არსებობს ამ ცხოვრებაში სიმართლე. როდესაც ბუხარინის ბედი ბეწვზე ეკიდა, ეჟოვმაც, ბუდიონიმაც, იაკირმაც, კოსარევმაც და სხვებმაც ადვილად მოითხოვეს დახვრეტა. ერთი წელიც არ გასულა, თვით კოსარევი დახვრიტეს, სამი თვის შემდეგ იგივე ბედი ეწია იაკირსაც.

სხვათა შორის, იაკირის შესახებ. მან ციხიდან სტალინს მისწერა. სტალინმა წერილი რომ წაიკითხა, ბუდიონი და ვოროშილოვი იხმო. ორივენი დანიშნულ დროზე გამოცხადდნენ. სტალინი სევდიანად ბოლთასა სცემდა, ხელთ დიდი ხნის ჩამქრალი ჩიბუხი ეჭირა. გრძელ მაგიდასთან ერთ-ერთ სკამზე მოლოტოვი იჯდა. მათ მისალმებაზე სტალინმა მოღუშულმა უპასუხა, თავისი მაგიდიდან ფურცელი აიღო და წარმოთქვა:

— იაკირის წერილია ჩემ სახელზე. აი რას წერს:

**„ჩემო თანამოსაგრე მეგობრებო, რომლებთან ერთად ოდესღაც ვიბრძოდი, მოაღწევს კი თქვენამდე ჩემი სიკვდილისწინა ხმა?! თქვენ კარგად იცით, რომ მეფის დროს სიკვდილით დასჯა მომისაჯეს და გადასახლებულიც ვყოფილვარ. ძალიან გთხოვთ, ერთხელ კიდევ გამოიძიოთ ჩემი საქმე, შეამოწმოთ, განიხილოთ. როგორც ჩანს, ჩვენ შორის დუშმანი ჩადგა და ერთმანეთს გვაპირისპირებს. მე უდანაშაულო დამნაშავე ვარ. თუ არ შეგიძლიათ დამეხმაროთ, მაშინ ჩემ ოჯახს გაუწოდეთ შემწეობის ხელი“.**



სტალინმა წერილი ვოროშილოვისა და ბუდიონის წინ დადო და თქვა:

**— იაკირი... თქვენი კადრია, თქვენი აღზრდილია. როგორც გადაწყვეტთ, ისეც იქნება...**

ვოროშილოვმა თვალი გადაავლო წერილს და იქვე, ზედ მიაწერა: **„პოლიტიკური კახპა!“** და გაბრაზებულმა თავისი ხელმოწერა დასვა. გვერდით ბუდიონმა წააწერა: **„ძაღლს — ძაღლური სიკვდილი!“** და ასევე ხელი მოაწერა.

იაკირი დახვრიტეს, ბუდიონი კი სასწაულებრივ გადაურჩა დაპატიმრებას. ვოროშილოვი რომ არა, სტალინს მისი სიბრალულის წერილის წაკითხვაც მოუწევდა. ეჟოვი კი? ვინ მოთვლის, პირველი კატეგორიის სანქციაზე ნებართვის რამდენი თხოვნა წარუდგინა მან სტალინს ბოლო ორი წლის განმავლობაში? და აი, ეს ცეცხლმფრქვეველი ურჩხული ცრემლს ღვრის ცინდალივით მისსავე ციხეში. იგი დახვრეტის ღირსია. ნუთუ მაშინაც ვერ მიხვდება თავის სიმდაბლესა და საძაგლობას, როდესაც აშკარად იგრძნობს სიკვდილის ცელის გალესილ პირს? არა! ვერაფერს გაიგებს მისი გაყინული ტვინი! ეჟოვი სულელია! ლორია! გონებაჩლუნგია!

წინა ოპოზიციონერების ლიკვიდაციისას, განსაკუთრებით ეჟოვის დროს, ბევრ ადგილზე ძლიერად დამახინჯდა და დაირღვა საბჭოთა კანონები, რის შედეგად ათასობით უდანაშაულო დაისაჯა.

შორეული ყირგიზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლოცმანოვი რეგვენი ეჟოვის მარჯვენა ხელი აღმოჩნდა... საოცარია, სადამდე მივიდა ეს ლოცმანოვი — 1938 წელს ყირგიზეთის რესპუბლიკაში მოაწყო სოციალისტური შეჯიბრება მილიციის განყოფილებათა შორის, თუ ვინ მეტ მემარჯვენე ტროცკისტსა და ჯაშუშს დახოცავდა! მილიციის რომელი განყოფილებაც მეტს დაიჭერდა და დაპატიმრებულთ აიძულებდა ჩადენილი დანაშაულის აღიარებას, მიიღებდა თვიურ და კვარტალურ პრიზებს, ჯილდოებსა და პრემიებს. განა ამაზე მეტი სისულელე შეიძლება? ამიტომაც განაჩენები გამოჰქონდათ უდანაშაულო ადამიანებისთვის. კარგი, ეს წარსულის ამბავია. არა მარტო ლოცმანოვის მსგავსმა კაცუნებმა, არამედ იაგოდამ ეჟოვთან ერთად, აქ, მის გვერდით, თავიანთი უკუსაქმეებით დიდი ზიანი მიაყენეს მის ავტორიტეტს...

ამ აზრამდე რომ მივიდა, სტალინმა სიძულვილი იგრძნო და გადაწყვიტა კარგ რამეებზე ეზრუნა. რაღა დასამალია და, თავის დროზე, თვითონაც ცდებოდა. მაგრამ ბოლო ათი წლის მანძილზე, უფრო სწორად, 1929 წლიდან 1939 წლის ჩათვლით, ქვეყანაში ხომ დიადი ცვლილებანი მოხდა, ადგილი ჰქონდა დიად განვითარებას. თუ 1929 წელს, როდესაც ორმოცდაათი წლისა იყო, მან საბოლოოდ დაამარცხა ტროცკი, 1939 წელს კი, სიცოცხლის 60 წლისთავზე, საბოლოოდ ძირფესვიანად ამოგლიჯა ტროცკიზმის სარეველა ბალახის ნაშთები. XVII ყრილობის შედეგები კვლავაც ეხსომება ხალხს, გონებიდან ვერ ამოიღებს, იმიტომ რომ 1966 დელეგატიდან 1108 რეპრესირებულ იქნა. ბევრია ეს თუ ცოტა? რა თქმა უნდა, ბევრია. მომავალმა თაობამ შეიძლება ბრალი დამდოს. მაგრამ ეს ბრალმდებელნი რომ ჩემ ადგილზე ყოფილიყვნენ, თუ მართლაც სოციალიზმის დაცვას მოინდომებდნენ, შესაძლოა ჩემსავით მოქცეულიყვნენ, გაეკეთებინათ ის, რასაც მე ვშვრებოდი. იმიტომ, რომ სხვა გზა არ არსებობდა, არც შეიძლება ყოფილიყო. ხოლო რეპრესიები — განა პროვოკაცია არ არის? ამავე დროს ისინი თავისებური რევოლუციებია!

სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინათ სტალინმა სიზმარი ნახა — ტროცკის ჭადრაკს ეთამაშებოდა. ორ პარტიაში გაიმარჯვა, მესამე წააგო. იგი მეფის ამარა დარჩა, ტროცკის პაიკები მთელ დაფაზე ბატონობდნენ და კუთხიდან კუთხემდე დევნიდნენ მარტოხელა მეფეს! სტალინს სიზმრების არ სჯეროდა, არანაირ მნიშვნელობას არ აძლევდა მათ, მაგრამ ამ სიზმარმა ჩააფიქრა. იგი არასდროს არავის თავის პირადულზე არ ესაუბრებოდა, მაგრამ ეს სიზმარი ხუმრობითა თუ ნახევრად სერიოზულად მოლოტოვს უამბო. მოლოტოვი, მისთვის დამახასიათებელი ჩვეულებით — ვიდრე იტყოდა, სათქმელს აწონ-დაწონიდა, ჯერ დუმდა.

— კარგი სიზმარია... — და განმარტა: — როგორც შენ სიზმარში იყო, ორჯერ დაამარცხე ტროცკი. ერთხელ — თვით ტროცკი. მეორედ — თავის მოწაფეებთან — კამენევთან და ზინოვიევთან ერთად. შენი წაგება — ეს არის ის, რომ იგი ჯერ კიდევ არ დაგვიწყებია.

სტალინს მოეწონა მოლოტოვის პასუხი:

— გინდა თქვა, რომ საჭირო იყო ტროცკის ალაგმვა? უფესვო ხე თვითონვე გახმება. ფესვები უკვე ამოგლეჯილია!..

მოლოტოვი მიჩუმდა. სტალინი ადგილიდან წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა.

— სოციალიზმს მსოფლიოში ჰყავს ორი შეურიგებელი მტერი: ტროცკიზმი და ფაშიზმი, — მიუბრუნდა მოლოტოვს, — ადრე თუ გვიან ფაშისტები თავს დაგვესხმებიან. ამას წყალი არ გაუვა! თუ სიზმარს დავუჯერებთ, ჩემი მეორე მოგება ნიშნავს ფაშიზმზე გამარჯვებას, ტროცკიზმი ისედაც დღეებს ითვლის. ხოლო მესამე პარტია, ტროცკიმ რომ მომიგო, მე ასე მესმის... — სტალინი მჭიდროდ მიუახლოვდა მოლოტოვს, თანაც თითოეულ სიტყვას მარცვალ-მარცვალ წარმოთქვამდა. **— ვიდრე ცოცხალი ვარ, კორდონიდან ლანძღვა-გინებას არ დაიშურებენ, ხოლო სიკვდილის შემდეგ, როგორც ჩანს, არც ჩვენი ხალხი დამინდობს...**

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 257-262, 265-267.**

◎ გლობუსი

# მმრბმლი რკინის ქალოზას მპირმზა

## გერმანია საყოველთაო არჩევნების შემდეგ



**გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაზე საუბარი არა მარტო იმით არის გამოწვეული, რომ ამ ქვეყანამ საქართველოს, დემოუკიდებლობის პირველ წლებში, ფასდაუდებელი დახმარება გაუწია, არამედ იმითაც, რომ გერმანია იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ცნო მისი დამოუკიდებლობა დე იურედ და თბილისში გახსნა საელჩო. ორი ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობაზე მომავალში ბევრი დაიწერება. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ქართველი მეცნიერები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ საქართველო-გერმანიის ახალი კავშირების ისტორიული ფურცლების ჯეროვანი შევსებისთვის, რაც მომავალი თაობებისათვის ორი ქვეყნის კეთილი თანამშრომლობის მისაბაძი მაგალითი იქნება.**

გერმანიის ფაქტორი უმნიშვნელოვანესია თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. დიდია ამ ქვეყნის როლი ევროკავშირში. გერმანია-საფრანგეთის მეგობრული და პრაგმატული ურთიერთობები, ევროკავშირის ქვეყნებში, განსხვავებული და თვითმყოფადი პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობებს იძლევა. ამერიკასთან მიმართებაში ევროკავშირის ძველი წევრები გერმანია-საფრანგეთის მეთაურობით თავს თავდაჯერებულად გრძნობენ, მაშინ, როდესაც ახალი წევრები აღმოსავლეთ ევროპიდან, ვაშინგტონისადმი თითქმის უპირობო მორჩილებას გამოხატავენ.

ევროკავშირის პოლიტიკური სამზარეულო ერთობ რთული და წინააღმდეგობებით სავსეა, რაც ნაკლებად უწყობს ხელს ევროპის ინტეგრაციის პროცესების დაჩქარებას. მხოლოდ გაერთიანებულ, ერთ მუშტად, მტკიცედ შეკრულ ევროპას, შეუძლია წერტილი დაუსვას ერთპოლუსიანი მსოფლიოს არსებობას, რაც კარგად ესმით ვაშინგტონში. ამიტომაც მოქნილი დიპლომატიის წყალობით, ის ცდილობს საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენოს ევროპის სახელმწიფოთა შორის დროდადრო წარმოქმნილი უთანხმოებები.

გერმანული ფაქტორი ანგარიშგასაწევია გაეროს რეფორმირების პროცესშიც. გერმანია მაქსიმალურად ცდილობს ამ ორგანიზაციაში საკუთარი პოზიციების გაფართოებას. მისი დიდი ხნის სურვილია გახდეს გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი.

1990 წელს საბჭოთა კავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის მიერ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე გაერთიანებული გერმანია, ევროპისა და მსოფლიოს უსაფრთხოების გარანტად იქცა. ამ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრება მსოფლიოს საზოგადოებრიობაში ყოველთვის იწვევდა და იწვევს უდიდეს ინტერესს.

მიმდინარე წლის ზაფხულიდან დაწყებული საყოველთაო ყურადღების ცენტრშია მოქცეული გერმანიის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. გეგმისდა მიხედვით საყოველთაო არჩევნები 2006 წლის შემოდგომით უნდა გამართულიყო, მაგრამ ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიაში ჩატარებულმა არჩევნებმა ძირფესვიანად შეცვალა მმართველი კოალიციისა და კანცლერ გერჰარდ შრიოდერის გეგმები. პირველად 39 წლის შემდეგ, ამ ფედერალურ მიწაზე გაიმარჯვა ოპოზიციურმა ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა. ჩრდილო რეინ-ვესტფალია გერმანიის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მხარეა 18 მილიონი მოსახლით და განვითარებული მრეწველობით. საერთო ჯამში ამ მიწაზე სოციალ-დემოკრატების დამარცხება უტოლდება უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში გერმანიის 5 მიწაზე დამარცხებას. ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიაში გამარჯვებით ოპოზიციამ ერთობ გაიუმჯობესა მდგომარეობა გერმანიის ბუნდესტაგში. მის ფედერალურ პარლამენტის მიწათა პალატაში 69 ხმიდან 43 გაუჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ოპოზიცია მმართველი კოალიციის — სოციალ-დემოკრატებისა და მწვანეების მიერ შეტანილ კანონპროექტებს ნებისმიერ დროს დაბლოკავდა.

შექმნილ რთულ ვითარებაში კანცლერ შრიოდერს ორი გამოსავალი რჩებოდა — გადადგომა ან პრეზიდენტ ჰორსტ კიოლერისთვის ვადამდელი არჩევნების დანიშვნის თხოვნა. შრიოდერმა მეორე გზა აირჩია და ჩაერთო საკუთარი ხელისუფლების, პარტიის და პოლიტიკური იმიჯის გადარჩენისათვის უმწვავეს ბრძოლაში.

სოციალ-დემოკრატები იმედოვნებდნენ, რომ ოპოზიცია შემოდგომამდე ვერ შეძლებდა ისეთი სამომავლო სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას, რასაც მხარს დაუჭერდა გერმანიაში ამომრჩეველი. საქმე ეხება ეკონომიკური რეფორმების შედეგების გამოსწორებას, სადაც თავი იჩინეს შეფერხებებმა. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით უმუშევრობამ 5 მილიონს გადააჭარბა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

გარდა ამისა, მმართველი კოალიცია ოპოზიციის მხრიდან კანცლერის პოსტზე ანგელა მერკელს (ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე) კანცლერ შრიოდერთან შედარებით სუსტ კონკურენტად მიიჩნევდა.

ქრისტიან-დემოკრატებმა მიიღეს სოციალ-დემოკრატების გამოწვევა და წარმატებითაც დაასრულეს არჩევნები. მომავალ კვირას გერმანიის ბუნდესტაგი, გერმანიის ისტორიაში პირველად ანგელა მერკელს, ქალს, აირჩევს კანცლერად. ამ მოვლენით განსაკუთრებით გახარებულია გერმანიის აღმოსავლეთის მიწები, საიდანაც არის გერმანიის მომავალი კანცლერი. „ანგელა მერკელის შეჩერება შეუძლებელია“ — ასე წერდა ტიურინგის ერთ-ერთი გაზეთი წინასაარჩევნო ბრძოლაში ჩართული ქალბატონის მიმართ. მისი წარმატების საიდუმლოებას ზოგიერთი პოლიტოლოგი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბადებას მიაწერს. „ვინც ბავშვობიდან კარგად შეისწავლა კომუნისტურ საზოგადოებაში არსებული ჭეშმარიტება, რომ სახლში ის ილაპარაკო, რასაც სკოლაში არ ლაპარაკობ, კარგად აქვს შესისხლხორცებული თვითგადარჩენის ტექნიკა. ასეთები გაცილებით ძლიერები არიან, ვიდრე გერმანიის დასავლეთში მყოფი მამაცი პოლიტიკოსები“ — წერდა გაზეთი. ქვემო საქსონიის პრესა ყოველგვარი ირონიის გარეშე აღნიშნავდა: „ისწავლო საბჭოთა კავშირისგან, ნიშნავს ისწავლო გამარჯვება“.

იხ. მე-6 გვ.



# აშშ და სამხრეთ კორეა ფხენიანისგან განიარაღებას მოითხოვენ

**შეერთებული შტატების და სამხრეთ კორეის პრეზიდენტებმა განაცხადეს, რომ მათთვის მიუღებელია ბირთვული იარაღის მქონე ჩრდილოეთ კორეა, თუმცა, აღნიშნეს, რომ საჭიროა მოლაპარაკების გაგრძელება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ირგვლივ წარმოქმნილი კრიზისის დიპლომატიური გზით მოგვარებისთვის.**

სამხრეთ კორეის ქალაქ კიონჯუში გამართული მოლაპარაკების შემდეგ ჯორჯ ბუშმა და რო მუ ჰენმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება, რომელიც მიეძღვნა მოლაპარაკების შედეგებს. ორივე მხარემ ხაზი გაუსვა, რომ ვაშინგტონს და სეულს გააჩნიათ ერთიანი პოზიცია ფხენიანის ხელისუფლებაზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენის საკითხებში.

ეს ფრიად საგულისხმოა, რადგან წინათ შეერთებულ შტატებს და სამხრეთ კორეას სხვადასხვაგვარად განუმარტავთ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენების — როცა სეული, პრინციპში, შემრიგებლური ტაქტიკის მომხრე იყო, ვაშინგტონი თავის პოზიციას გაცილებით უფრო მკაცრად აფიქსირებდა.

ამჯერად პრეზიდენტებმა განაცხადეს, რომ ისინი ვერ შეურიგდებიან, თუ ჩრდილოეთ კორეა გახდება ბირთვული იარაღის მფლობელი ქვეყანა, თუმცა, აღნიშნეს, რომ ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას მშვიდობიანად, დიპლომატიური გზებით. მხარეებმა ხაზი გაუსვეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროგრესის მიღწევას ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის შესახებ ექვსმხრივი მოლაპარაკების დროს, რომელშიც ზემოაღნიშნული სამი ქვეყნის გარდა, მონაწილეობენ ასევე ჩინეთი, რუსეთი და იაპონია. აქაც შეინიშნება განსხვავება, რადგან სამხრეთ კორეა და ჩინეთი წინათ აცხადებდნენ, რომ სავსებით აკმაყოფილებდათ კონსულტაციების მიმდინარეობა.

პუსანში გამართული მოლაპარაკების მონაწილეებს არაფერი უთქვამთ იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება დაემუქროს ფხენიანს იმ შემთხვევაში, თუ ამ პრობლემის მოგვარების დიპლომატიური მეთოდები ვერ მოიტანს სასურველ შედეგს. ბუშმა კვლავ განაცხადა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს ფხენიანი შეერთებული შტატებისგან ელექტროენერგიის წარმოებისთვის განკუთვნილ ატომურ რეაქტორს, თუ შეწყვეტს ბირთვულ სამუშაოებს.

თუმცა, პრეზიდენტმა ბუშმა ჩრდილოეთ კორეის შესახებ უფრო მკაცრი განცხადებებიც გააკეთა ამჟამინდელი ტურნეს დროს. მაგალითად, იაპონიაში ყოფნისას ბუშმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას უწოდა იზოლირებული და ჩამორჩენილი ქვეყანა.

# ირანში ურანის ახალ პარტიას ამდიდრებენ



**როგორც მაგატესთან დაახლოებული უცხოელი დიპლომატები იტყობინებიან, ირანმა დაიწყო მუშაობა ურანის ახალი პარტიის კონვერსიისთვის. ურანის მადნის გამდიდრების ციკლს თეირანი განაგრძობს იმის მიუხედავად, რომ შეერთებული შტატები და ევროპის კავშირი ყოველმხრივ ცდილობენ აიძულონ ირანი, შეწყვიტოს სამუშაოები ამ სფეროში.**

ირანის ხელისუფლება კვლავ უარყოფს ყოველგვარ მტკიცებულებას იმის თაობაზე, თითქოს ბირთვულ სფეროში საქმიანობას ჰქონდეს რაიმე სამხედრო მიმართულება, და აცხადებს, რომ ამ სამუშაოებს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი ენერგეტიკული ხასიათი აქვს. თეირანს ზურგს უმაგრებს მოსკოვი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ეხმარებოდა ირანს ბუშერში ატომური სადგურის მშენებლობაში.

ახლა მთავარი საკითხია ის, თუ როგორია ურანის გამდიდრების დონე. მცირედ გამდიდრებული ურანი გამოიყენება ატომური ელექტროსადგურის სათბობის წარმოებისთვის, უხვად გამდიდრებული ურანი კი, შესაძლებელია გამოიყენონ ბირთვული იარაღის მასალის სახით.

ურანის მადნის კონვერსია წინ უძღვის მისი გამდიდრების პროცესს და თავისთავად ვერ ქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ მიღებული მასალა. და მაინც, როგორც დიპლომატიური წრეების წყაროებმა განაცხადეს ფრანს პრესის სააგენტოსთან ინტერვიუში, კონვერსიის ამჟამინდელი რაუნდის შემდეგ ირანს შეუძლია მიიღოს იმ რაოდენობის ურანის გაზისებრი ჰექსაფლიუორიდი, რომელიც საკმარისი იქნება 10 ბირთვული ქობინის დასამზადებლად.

მაგატეს საინსპექციო კომისიებთან დაახლოებულმა დიპლომატებმა აღნიშნეს, რომ ისპაჰანის ბირთვულ ქარხანაში ინსპექტორებმა დააფიქსირეს ურანის მადნის კონვერსიის ახალი ეტაპის დაწყება.

ყოველივე ამან, შესაძლოა, მნიშვნელოვანწილად შეუშალოს ხელი ირანის ხელისუფლებისა და ევროკავშირის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკების პროცესის განახლებას.

# მოკლედ

**დასრულდა** პუშკინის მუზეუმის დაყადაღებული 54 ფერწერული ტილოს ჩატვირთვა მანქანებში და ავტომობილების ქარავანმა შვეიცარიის პოლიციის და ამ ქვეყანაში რუსეთის საკონსულოს წარმომადგენელთა თანხლებით, რუსეთისკენ აიღო გეზი. მართალია, კოლონის გადაადგილების მარშრუტს არ ახმაურებდნენ, რადგან საქმე ეხებოდა მილიარდი დოლარის ღირებულების ტვირთს, მაგრამ იგი მაინც ცნობილი გახდა.

* * *

**საფრანგეთში** გარდაიცვალა გენერალ დენიკინის ქალიშვილი. მარინა დენიკინა დაიბადა 1919 წელს კრასნოდარის მხარეში, 1920 წელს კი მშობლებთან ერთად იგი უკვე ემიგრაციაში აღმოჩნდა. მიმდინარე წლის აპრილში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მარინა დენიკინას რუსეთის მოქალაქეობა მიანიჭა.

* * *

**ჩინეთის** მთავრობამ აკრძალა ამ ქვეყანაში უცხოური ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა. ყოველივე ამის მიზეზია ის, რომ ჩინეთის ხელი-



სუფლებას ეშინია „ფერადი რევოლუციების“, რომლებმაც უკვე დაამხეს ავტორიტარული რეჟიმები საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში, წერს გაზეთი „ფაინენშნლ ტაიმსი“.

* * *

**ევროპის** და ჩრდილოეთ აფრიკის რამდენიმე ქვეყანა სერიოზულად არის შეშფოთებული იმის გამო, რომ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ზოგიერთი სახელმწიფოს სამოქალაქო



აეროპორტებს საიდუმლოდ იყენებდნენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თვითმფრინავები პატიმრების გუანტანამოს საპყრობილეში გადაყვანის დროს. ამ სკანდალში გახვეული აღმოჩნდნენ ბულგარეთი, ესპანეთი, პოლონეთი, იტალია, გერმანია, უნგრეთი, მაროკო, ნორვეგია, პორტუგალია, რუმინეთი და შვედეთი.

* * *

**ჰოლივუდის** მსახიობი მეტიუ მაკკონაჰი გახდა ჟურნალ „PEOPLES“ ვერსიით რიგით მე-20 ყველაზე სექსუალური მამაკაცი. ჟურნალმა ეს წოდება პირველად 1985 წელს მიანიჭა მელ გიბსონს. მაკკონაჰზე არჩევანი შეაჩერეს იმიტომ, რომ მას აქვს „დახვეწილი სამხრეთულ-ტეხასური ხიბლი“.




# კონკურსი ქუჩის და რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებთან მომუშავე სოციალური მუშაკების შესარჩევად

**მთავარი ვალდებულებები:**

✱ იმუშავებთ ქუჩის და რისკის ზღვარზე მყოფი ბავშვების ოჯახებთან, რათა დახმარება გაუწიოთ მათ რეაბილიტაციის საქმეში, ხელი შეუწყოთ ამ ბავშვების ოჯახებში დაბრუნებას და მათი ოჯახებში გამთლიანებას;

✱ მოგეთხოვებათ მონაწილეობა მიიღოთ საგანგებო ტრენინგებში;

✱ მოგეთხოვებათ კვირაში 5-ჯერ იმუშაოთ ქუჩის და რისკის ზღვარზე მყოფი ბავშვების ოჯახებთან მათთვის სოციალური, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების გაწევის მიზნით.

✱ ჯგუფის კოორდინატორთან ერთად მოიძიოთ ინფორმაცია პოტენციურ მოსარგებლეთა შესახებ;

✱ მოგეთხოვებათ, მონაწილეობა მიიღოთ პროექტის დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორიგსა და შეფასებაში.

**მოთხოვნები:**

უმაღლესი განათლება და პროფესიული გამოცდილება შემდეგ სფეროში:

✱ ფსიქოლოგია, სოციალური ან სამედიცინო საქმე;

✱ ბავშვებთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება მინიმუმ 3 წელი;

✱ სასურველია, გავლილი ჰქონდეს ტრენინგი ბავშვთა კეთილდღეობის საკითხები, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების პრობლემებზე და ა.შ.

✱ სასურველია მიღებული ჰქონდეს გამოცდილება სოციალური კონსულტირების მეთოდებში;

✱ ურთიერთობის და ორგანიზებულობის საუკეთესო უნარ-ჩვევები;

✱ კარგი ჯანმრთელობა;

✱ მოქნილი, შემოქმედებითი, ენერგიული და მოსწონდეს ბავშვებთან მუშაობა;

✱ ჯგუფში მუშაობის უნარი.

**გთხოვთ წარმოადგინოთ:**

✱ ავტობიოგრაფია, სასურველია, დაწერილი იყოს რეზიუმეს ან CV ფორმატში;

✱ დიპლომების და სერტიფიკატების ფოტოასლები;

✱ 2 სარეკომენდაციო წერილი, რეკომენდაციის გამცემის საკონტაქტო ინფორმაციით: ტელეფონი, მისამართი;

✱ პასპორტის ზომის 2 ფოტოსურათი (დაგიბრუნდებათ, თუ ვერ გაივლით კონკურსს);

✱ წერილობით წარმოადგინეთ, რა სამუშაოს ასრულებდით უახლოეს წარსულში ან/და რა გამოცდილება გაქვთ ამ ვაკანსიის მოთხოვნებთან დაკავშირებულ სფეროში.

✱ ფურცლის ერთ გვერდზე ჩამოყალიბებული მოსაზრებები, სადაც გადმოსცემთ, რატომ გინდათ ამ თანამდებობის დაკავება.

**გთხოვთ, საბუთები წარუდგინოთ ქ-ნ ეკა ამირაზაშვილს, მისამართზე: ქ. თბილისი, ბესიკის ქ. № 5, მე-2 სართული, ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ ოფისში.**

**საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადა: ხუთშაბათი. 24 ნოემბერი, 2005 წ. 11-დან 18 საათამდე**

◉ გლობუსი

# მერკელი რკინის ქალბატონის მაპირება

(მეხუთე გვერდიდან)

სოციალ-დემოკრატებისა და მწვანეების კოალიციის დამარცხებას, ზოგი სპეციალისტი, არჩევნებში, მათ ცალ-ცალკე მონაწილეობასაც მიაწერს. „წინასაარჩევნო ბრძოლაში თითოეული ჩვენგანი შეეცდება მოიპოვოს ხმათა უმრავლესობა“ — ამბობდა გერჰარდ შრიოდერი. ზოგი კი თვლის, რომ არჩევნებში ცალ-ცალკე მონაწილეობა განპირობებული იყო იმით, რომ არც ერთ მათგანს არ ჰქონდა გამარჯვების რწმენა და დამარცხების შემთხვევაში სახელისუფლებო პორთფელებს სხვა პარტიასთან ერთად გაინაწილებდნენ.

შრიოდერი ხვდებოდა, რომ კარგავდა ძალაუფლებას. ისიც კარგად ესმოდა, რომ მის მიერ დაწყებულ საკმაოდ არაპოპულარულ ეკონომიკურ რეფორმას, საარჩევნო ხმების დაკარგვა შეიძლება მოჰყოლოდა. გერმანიისათვის რეფორმა აუცილებელი იყო, მაგრამ არანაკლებ აუცილებელი იყო თითოეული გერმანელისათვის განმარტების მიცემა. სწორედ წინასაარჩევნო კომპანია ჩათვალა გერჰარდ შრიოდერმა რეფორმატორული პროგრამის განმარტებისათვის შესაფერის დროდ. კანცლერმა თავბრუდამხვევი წინასაარჩევნო კამპანია ჩაატარა. იმოგზაურა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, შეხვდა მოსახლეობას, ესაუბრა ხალხს ეკონომიკური სიკეთეების შესახებ, შესძლო სახელისუფლებო კოალიციის საკმაოდ დაწეული რეიტინგის გაუმჯობესება. გაწეულ საქმიანობას უკვალოდ არ ჩაუვლია. არჩევნების წინ მმართველი კოალიციის რეიტინგი თითქმის გაუტოლდა ოპოზიციის რეიტინგს, მაგრამ სწორედ ამ „თითქმისმა“ გადაწყვიტა მისი და მისი პარტიის პოლიტიკური ბედი. გერმანელები ბოლომდე ვერ დარწმუნდნენ ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობაში.

კანცლერ შრიოდერს, ვერც ქრისტიან-სოციალური კავშირის თავმჯდომარის შტოიბერის სკანდალურმა განცხადებამ უშველა. შტოიბერმა ბავარიაში, ერთ-ერთ წინასაარჩევნო მიტინგზე განაცხადა, რომ გონებრივი თვალსაზრისით ბავარიელებამდე დანარჩენ გერმანელებს ბევრი აკლიათ. „სამწუხაროდ ჩვენთან, გერმანიაში, ყველგან არ არის ისეთი ჭკვიანი ხალხი, როგორც ბავარიაში“ — თქვა შტოიბერმა და მართლაც ბავარია გერმანიისა და ევროპის ყველაზე განვითარებული რეგიონია. ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით იქ შესანიშნავი ვითარებაა — დაბალი უმუშევრობითა და მოსახლეობის მაღალი საგანმანათლებლო, ინტელექტუალური და კულტურის დონით. ბავარიელები იმითაც ამაყობენ, რომ ახალი რომის პაპი მათი მხარიდან არის. მაგრამ მიუხედავად ამისა, შტოიბერის არაკორექტულ განცხადებას გერმანელ პოლიტიკოსთა მწვავე კრიტიკა მოჰყვა. ამან დადებითად იმოქმედა კანცლერ შრიოდერის წინასაარჩევნო კამპანიაზე, მაგრამ არაგადამწყვეტად.

არჩევნების მიხედვით ქრისტიან-დემოკრატებისა და ქრისტიან-სოციალების კავშირმა 35,2 პროცენტი დააგროვა. სოციალ-დემოკრატებმა 34,3 პროცენტი, მწვანეებმა 8,1 პროცენტი მიიღეს. მემარცხენე-დემოკრატიულმა კავშირმა, სადაც დამკვრელ ძალად კომუნისტები არიან — 8,7 პროცენტი დააგროვეს.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიან-სოციალური კავშირის კოალიციამ ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა დააგროვეს, საერთო ჯამში მათ ვერ შეძლეს დამოუკიდებლად ქვეყნის მართვისათვის საჭირო ხმების დაგროვება. ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდნენ მმართველი კოალიციის წევრი — სოციალ-დემოკრატები და მწვანეები. არც ერთ მათგანს არ შეეძლო „მესამე ძალის“ დახმარების გარეშე მმართველი კოალიციის ჩამოყალიბება. მოლაპარაკებებმა უშედეგოდ ჩაიარეს, რის შემდეგ დაიწყო მოწინააღმდეგეთა შორის მძიმე კონსულტაციები. შედეგი თვალნათელია. მომავალ კვირას ბუნდესტაგი ახალ კოალიციურ მთავრობას დაამტკიცებს, რომელსაც უხელმძღვანელებს 51 წლის ქალბატონი ანგელა მერკელი. მან შეძლო წარმატებით გაერთმია თავი გერმანიის გამოცდილი პოლიტიკოსების გამოწვევისათვის. მერკელმა გერმანელებს დაუმტკიცა, რომ მზად არის დაიცვას საკუთარი პოზიციები მძიმე პოლიტიკური ჭიდილის დროს. ანგელა მერკელს გაზეთები უკვე მოიხსენიებენ რკინის ქალბატონად — ისე, როგორც ინგლისის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ქალბატონ მარგარეტ ტეტჩერს.



საგარეო პოლიტიკა ნაკლებად ჟღერდა წინასაარჩევნო ბატალიების დროს, მაგრამ ანალიტიკოსების აზრით ყოფილსა და ახალ კანცლერს შორის განსხვავება ამ დარგში საგრძნობია. თუ ძველისათვის ევროპული საქმეები, საფრანგეთთან და რუსეთთან ურთიერთობებთან ერთად, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ახალი ხაზს უსვამს აშშ-სთან ურთიერთობას.

გდრ-ს ყოფილი მოქალაქე, სკოლაში რუსული ენის კონკურსში გამარჯვებული ანგელა მერკელი რუსეთისადმი მოჭარბებული სიყვარულით ნაკლებად გამოირჩევა. მიუხედავად იმისა რუსეთთან მიმართებაში პოლიტიკური კურსი მკვეთრად არ შეიცვლება, გერმანელი პოლიტიკოსების აზრით გერმანიის რუსეთთან ურთიერთობა განისაზღვრება პრაგმატიზმით. მათი აზრით, გერმანიის ბიზნესი არ დაუშვებს 21-ე საუკუნის ყველაზე ეფექტიანი განვითარების ბაზრის დაკარგვას. ბერლინის პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე, გერმანიის ეკონომიკა, რუსეთთან მიმართებაში, ნაკლებად შეძლებს საკუთარი ამბიციური გეგმების განხორციელებას.

სოციალ-დემოკრატებისა და მწვანეების შვიდწლიან მმართველობას, რომელსაც წარმატებებთან ერთად შეფერხებებიც ახლდა, სხვა პარტიისადმი გერმანელთა ინტერესი გააჩინა. თუ რას მოიმოქმედებს გერმანიის ახალი მთავრობა ახალი კანცლერის ქალბატონ მერკელის მეთაურობით, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ეს მომავალი არა რამდენიმე წლის, არამედ რამდენიმე თვის შემდეგ დადგება. რამდენიმე წელი მხოლოდ საქართველოს ან მისი მსგავსი ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი, სადაც საზოგადოების მოთმინების უნარი ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. გერმანელებისათვის, ისე, როგორც ცივილიზებული დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეებისათვის, მიუღებელია გამოთქმა — დავაცადოთ, ხელისუფლების მიმართ საქართველოში ამ პოპულარულ სიტყვაში იგულისხმება 5 ან 10 წლით, ან მეტით დაცდა. წინა ხელისუფლებას საქართველოს მოსახლეობამ 1992-დან 2003 წლის ნოემბრის რევოლუციამდე დააცადა, რის შემდეგ ხელში შემოგვრჩა მიწასთან გასწორებული ქვეყანა. ცივილიზებული ქვეყნების მოქალაქეები, რომელთაც მაღალი სახელმწიფოებრივი შეგრძნება აქვთ, სიტყვა „დავაცადოთ“-ს არ იყენებენ საკუთარი ხელისუფლების შენდობისათვის, რაც გერმანიის მაგალითიდანაც კარგად ჩანს. გერმანელმა ამომრჩეველმა აღარ დააცადა კანცლერ შრიოდერს და საყოველთაო არჩევნების დროს ყურადღება სხვაზე შეაჩერა.

ახალი მთავრობა მიზნად ისახავს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სამეულში მოხვედრას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, უმუშევრობის შემცირებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას. დაპირებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ხალხის ვერდიქტი მკაცრი და მარტივი იქნება — არჩევნების დროს უნდობლობის გამოცხადება.

როგორც აღვნიშნეთ, გერმანიის მიღწევები საერთო მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ენერგეტიკის დარგში. მსოფლიო ეკონომიკას სტაგნაციით და კოლაფსით ემუქრება ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების თავბრუდამხვევი სისწრაფით ზრდა. ნავთობისა და ენერგეტიკის საკითხები კიდევ დიდხანს იქნება მსოფლიო ქვეყნების განსჯის საგანი. ბევრი მათგანი თვალსაჩინო სამუშაოებს ატარებს ალტერნატიული ენერგიის მოსაპოვებლად. მათ შორის აღნიშვნის ღირსია გერმანიაში მიღწეული წარმატებები ქარის ენერგიის გამოყენების საქმეში. 2003 წელს ქარის მიერ წარმოებული ელექტროენერგია 17,5 პროცენტით გაიზარდა და 18,63 ტეტროვატ საათს მიაღწია (ტეტროვატ საათი უდრის მე-4 ხარისხის ერთ მეგავატ საათს), რაც ქვეყნის მოსახლეობის 5 პროცენტს შეადგენს. ამ მაჩვენებლით, ქარის ელექტროენერგიის წარმოების დარგში, გერმანია მსოფლიო ლიდერი გახდა. ამ ქვეყანაში 1500-ზე მეტი ქარის ელექტროენერგეტიკული დანადგარი მოქმედებს. გერმანიის მთავრობა ხელს უწყობს ალტერნატიული ელექტროენერგიის შექმნას, რისთვისაც სოლიდურ დოტაციას გასცემს იმ საწარმოებსა და კერძო პირებზე, რომლებიც ქარის ელექტროენერგიით არიან დასაქმებულნი.

გერმანელები ისე გაიტაცა ქარის „დაჭერამ“, რომ ისინი მთელ მსოფლიოს მოუწოდებენ შეეშვან „ატომთან თამაშს“ და მთლიანად გადავიდნენ მზისა და ქარის ენერგიის გამოყენებაზე. მათ მიაჩნიათ, რომ ბირთვული ელექტროსადგურების გამოყენება დიდ რისკთან არის დაკავშირებული, ამიტომაც ბუნდესტაგმა 2002 წელს დაამტკიცა ფედერალური მთავრობის გეგმა, რომლის მიხედვით გერმანიამ ხელი უნდა აიღოს ბირთვული ელექტროსადგურების გამოყენებაზე. კანონი ითვალისწინებს ბირთვული რეაქტორებისა და ბირთვული ელექტროსადგურების 2020 წლისათვის დახურვას.

გერმანელები აქტიურად მუშაობენ მზის ენერგიის გამოყენების დარგშიც. მზის ენერგიაზე ქვეყნის 1000-ზე მეტი საწარმო მუშაობს. მზის ენერგიის გამოყენების თვალსაზრისით გერმანიამ გაუსწრო აშშ-ს და მეორე ადგილზე გავიდა იაპონიის შემდეგ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მზის ენერგიის დღევანდელი გამოყენების კოეფიციენტი, სხვასთან შედარებით, მხოლოდ ერთი პროცენტია, მაგრამ გერმანელებს სჯერათ, რომ ეს დასაწყისია და ისინი შესძლებენ მზის ენერგიის გაზრდას.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

◉ ინფორმაცია

## სისხლის სამართლის პროცესის განხილვა გადაიდო

**საქართველოს** პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გუშინ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განხილვა გადადო, რომელიც შიდაპატიმრობის გაუქმებასა და სასამართლო პროცესებზე ჟურნალისტების დაშვების საკითხს შეეხებოდა.

როგორც იურიდიული კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ გიგა ბოკერიამ განაცხადა, აღნიშნული საკითხის განხილვა დამოუკიდებლად შედგება და საკითხის გადადება მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტს საკმაოდ დატვირთული დღის წესრიგი გააჩნია.

## თბილისის აეროპორტში მებაჟეები დააკავეს

**სამსახურებრივი** უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით, ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ გუშინწინ, გვიან ღამით, ორი მებაჟე დააკავა.

როგორც ინტერპრესნიუსს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსმა ლევან მხეიძემ განუცხადა, დაკავებულნი არიან თბილისის აეროპორტის საბაჟოს თანამშრომლები მანჯგალაძე და ჯანიკაშვილი.

გამოძიების ინფორმაციით, მებაჟეებმა 2000 დოლარზე მეტი ღირებულების საყოფაცხოვრებო ტექნიკა არ განაბაჟეს. მათი დაკითხვა წუხელ, გვიან ღამით დასრულდა. მას გენერალური პროკურორის მოადგილეც ესწრებოდა.

დაკავებულები ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილი. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით არის აღძრული, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. კანონმდებლობის თანახმად, მათ სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

## 1717 კოლოფი კონტრაბანდული სიგარეტი

**ფინანსური** პოლიციის ქვემო ქართლის სამმართველომ კონტრაბანდის ბრალდებით მოქალაქე მამუკა თორთლაძე დააკავა.

როგორც ინტერპრესნიუსს ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, იგი უაქციზო სიგარეტის გადაზიდვას ახდენდა. ჩხრეკის შედეგად მას 1717 კოლოფი არამარკირებული სიგარეტი აღმოაჩნდა.



აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება მარკირებას დაქვემდებარებული სიგარეტის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის მუხლით აღიძრა.

## დღეიდან ავტოსამრეცხაოების შემოწმება იწყება

**თბილისის** სანიტარიული ზედამხედველობის სამსახური ხვალიდან ავტოსამრეცხაოების შემოწმებას იწყებს.

როგორც ინტერპრესნიუსს სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურში განუცხადეს, სამრეცხაოების უმრავლესობა უკანონოდ მოქმედებს. დარღვეულია მათი განთავსებისა და მოწყობის პირობები. სამრეცხაოებს არ გააჩნიათ საკანალიზაციო და სანიაღვრე ჭები, რის გამოც წყალი ქუჩაში იღვრება.



ქალაქის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურში არ გამორიცხვენ, რომ არსებული დარღვევების გამო, ზოგიერთი ავტოსამრეცხაოს დახურვის საკითხიც დადგეს.

## საკირეში 9 უნებართვო სახერხი საამქრო აღმოაჩინეს

**საქართველოს** გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსმა შალვა აბუსერიძემ გარემოს დაცვის ინსპექციის სამხრეთ საქართველოს ბიუროსთან ერთად ბორჯომის რაიონის სოფელ საკირეში რეიდი მოაწყო.

აბუსერიძემ სახერხი საამქროები დაათვალიერა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ცხრა სახერხი გარემოს დაცვითი სამსახურების ნებართვის გარეშე მუშაობდა. ფაქტთან დაკავშირებით ადგილზე შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. სახერხი საამქროების მეპატრონეები კი 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ.

გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებმა უკანონოდ მოჭრილი 30 კუბმეტრი წიწვოვანი და ფოთლოვანი 300-მდე გამზადებული მრგვალი მორი აღმოაჩინეს, რომელიც მეპატრონეებს ჩამოერთვათ და ბორჯომის სატყეო მეურნეობას გადაეცა. უახლოეს დღეებში ის აუქციონის წესით გაიყიდება და ამოღებული თანხა ბიუჯეტში გადაირიცხება.

**ინტერპრესნიუსი**

◉ გვეხმაურებიან

# როგორ უნდა ფინანსდებოდეს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო?

(მესამე გვერდიდან)

მარეგულირებელი ორგანოს დაფინანსების წყარო სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მაგალითად, ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოები საკუთარი შემოსავლებიდან ფინანსდებიან მოლდოვაში, ალბანეთში, რუმინეთში, ბოსნია-ჰერცოგოვინაში, ხორვატიაში, ლატვიაში, მაკედონიის რესპუბლიკაში, თურქეთში და სხვა. დაფინანსების იგივე წესზე გადასვლა იგეგმება სომხეთში, ყირგიზეთსა და ბევრ სხვა ქვეყანაში. მათ ჩვეულებრივად დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხიც აქვთ, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი ნიშან-თვისებაა.

დამოუკიდებლობის ხარისხი დაბალია იმ კომისიებში, სადაც დაფინანსების წყარო მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტია. მაგალითად, ჯერჯერობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიები რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში (ნაწილობრივ), ლიტვაში, ესტონეთში, ბულგარეთში და სხვაგან.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისთვის (სემეკ) რეგულირების საფასურის ოდენობა ელექტროენერგეტიკული სექტორისთვის შეადგენს 0,4 პროცენტს და ბუნებრივი გაზის სექტორისთვის კი — 0,6 პროცენტს — რეგულირებადი საწარმოების წლიური შემოსავლებიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის 4 ან 6 თეთრი ყოველი ათასი თეთრიდან, ანუ ათი ლარიდან. ეს ის თანხაა, რომელიც საჭიროა კომისიის დაფინანსებისთვის დაახლოებით საშუალოდარგობრივ დონეზე. კომისიის ფუნქციები კი გაცილებით ფართოა.

სემეკის მიზანი თავის საკურატორო სფეროში მხოლოდ სალიცენზიო-სანებართვო, აგრეთვე ტარიფების დადგენისა და რეგულირების უფლებამოსილების განხორციელებით არ შემოიფარგლება (როგორც ეს კანონშია მითითებული და სტატიაში ნათქვამი). მის ფუნქციებში შედის აგრეთვე სექტორში წარმოშობილი სადავო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა, კონკურენციის ხელშეწყობა, ენერგიის მწარმოებელთა, მიმწოდებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის საქმიანობის ზედამხედველობა და სხვა.



ქვეყანაში ბუნებრივი მონოპოლიების გამსხვილებული მრავალდარგობრივი მარეგულირებელი კომისიის შექმნის საწინააღმდეგოდ მიუთითებს ის გარემოება, რომ ასეთ შემთხვევაში (რომელსაც სტატიის ავტორი გვთავაზობს) საქმე გვექნებოდა მეტისმეტად არაეფექტურ და სამართავად გართულებულ ორგანოსთან. საშუალო ზომის საშტატო შემადგენლობის პირობებში, იგი ვერ იქნებოდა დაკომპლექტებული თითოეული დარგის მცოდნე, კვალიფიციური და ავტორიტეტული თანამშრომლებით, ხოლო ამ საკითხის მოგვარების შემთხვევაში ხელთ შეგვრჩებოდა მეტისმეტად გაზრდილი, ე.წ. „მონსტრი“ ორგანიზაცია. ეს კი გამოიწვევდა კომისიის წევრთა რაოდენობის მექანიკურ გაზრდას და ფუნქციათა აღრევას. შედეგად კი მივიღებდით დაბალეფექტიან და ნაკლებად კომპეტენტურ ორგანოს.

ავტორი მიუთითებს, რომ ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები მხოლოდ „აშშ-ში მოქმედი ანალოგიური ინსტიტუტის მიბაძვით შეიქმნა“. ეს მთლად არ არის ასე. მართალია, დამოუკიდებელი რეგულირების ინსტიტუტის პიონერ ქვეყნად აშშ ითვლება, მაგრამ ასეთი კომისიები შემდგომ სახელმწიფო რეგულირების ნაცადი ინსტიტუტი გახდა მთელი ცივილიზებული მსოფლიოსთვის. ზოგან მათ უკვე ასწლოვანი ისტორია აქვთ. საქართველოში კი მათ ჯერ 10 წელიც არ შესრულებიათ.

მომავალში რეგულირების ინსტიტუტის საქმიანობა, ცხადია, უფრო დაიხვეწება და სრულყოფილი გახდება ცივილიზებული მიმართულებით (როგორც ამას სტატია მოგვიწოდებს). ამის გარანტია განვითარების დემოკრატიული კურსი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ აირჩია.

**დემურ ჩომახიძე,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

**რედაქციისგან: ენერგეტიკის, კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის სფეროებში მოქმედი მარეგულირებელი ორგანოები რომ მრავალ კითხვას აღძრავენ და მათი ე. წ. დამოუკიდებლობის საფასური საზოგადოებას საკმაოდ ძვირი უჯდება, ახალი საკითხი არ არის. იგი, როგორც ცნობილია, არა მარტო მასმედიაში, არამედ სამთავრობო დონეზეც განიხილება.**

**ჩვენს გაზეთში ა. წ. 29 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით ამ გამოხმაურებასაც რედაქცია სავსებით ბუნებრივად მიიჩნევს. იგი, როგორც ჩანს, დაწერილია მარეგულირებელი კომისიის გადასახედიდან და, სავსებით ბუნებრივია, იგი კომისიის საქმიანობის იდეალიზებასა და მისი შენახვის დღეს არსებული პრაქტიკის შენარჩუნების დასაბუთებას ცდილობს.**

**არავინ უარყოფს, რომ მარეგულირებელი ორგანოების არსებობას მათ საკურატორო სფეროებში საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების აუცილებლობა განაპირობებს.**

**მაგრამ, ისე რომ ამ ორგანოებს ამასთანავე იმანენტურად ახასიათებთ რიგი ნეგატიური თავისებურებანი, რასაც დროულად მოთოკვა სჭირდება, საერთაშორისო პრაქტიკითაა დადასტურებული. გაზეთის 29 ოქტომბრის წერილში ძირითადად სწორედ ამაზე იყო ყურადღება გამახვილებული. კერძოდ:**

**მარეგულირებლები ხშირად ექცევიან დარგის „მესვეურების“ ინტერესთა გავლენის ქვეშ, რითაც რეალური რეფორმების გატარებაში პოლიტიკურ ნებას ასუსტებენ, ამით კი არაიშვიათად ცდილობენ საკუთარი გადაწყვეტილებებით მომწიფებული საბაზრო სიტუაციების ჩანაცვლებას;**

**მარეგულირებლების ხისტი დამოკიდებულება არაიშვიათად არაანგარიშვალდებულებაში გადადის;**

**მარეგულირებლების ფუნქციები უნდა იცვლებოდეს დარგში მიმდინარე გარდაქმნებისა და საბაზრო ვითარების გაჯანსაღების კვალობაზე, საჭიროების შემთხვევაში კი, შესაძლებელი უნდა იყოს მათი რეორგანიზაცია და დაშლა;**

**სასურველია, თავი შევიკავოთ მეტისმეტად ვიწრო პროფილის მარეგულირებელი ორგანოების შექმნისგან, რადგან ასეთი ორგანოები, საბოლოო ანგარიშით, ხელს უშლიან დარგთაშორის ინტეგრირებას.**

**აი, მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული ნეგატიური თავისებურებანი და მათი თავიდან აცილების რეკომენდაციები. ეს წინადადებანი და რეკომენდაციები საერთაშორისო ინსტიტუტების შემუშავებულია. რედაქციას მიაჩნია, რომ ისინი სავსებით პასუხობენ ჩვენი მარეგულირებლების საქმიანობის გაუმჯობესების ინტერესებს, მისაღებია და გასათვალისწინებელი.**

**რედაქცია ელოდა, რომ გამოხმაურებაში ლაპარაკი იქნებოდა ყოველივე ამის თაობაზე. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.**

**რაც შეეხება მარეგულირებელი ორგანოების დაფინანსების საკითხს, რომელსაც თითქმის მთლიანად ეძღვნება გამოხმაურება (სიმპტომატურია, რომ როგორც ჩანს, მარეგულირებლებისთვის ეს მთავარზე უმთავრესია), უმჯობესი იქნებოდა, მასში ნაჩვენები ყოფილიყო „რეგულირების საფასურის“ სახით მიღებული თანხების კონკრეტული ოდენობა, კომისიის თავმჯდომარის, წევრებისა და დანარჩენი თანამშრომლების შრომის ანაზღაურება (ხელფასი, პრემიები, დახმარებები), აგრეთვე კომისიის სხვა ხარჯების დასაფარავად გაწეული ხარჯები (სათავსოს რემონტი, ტექნიკური აღჭურვილობა და ა. შ.).**

**ჩვენი აზრით, ყოველივე ეს გულახდილი საუბრის საფუძველს შექმნიდა და საზოგადოებას საშუალებას მისცემდა თავად ემსჯელა, ულირს თუ არა მას ამ ფასად ასეთი ორგანოს შენახვა, ან როგორ ესმით მარეგულირებლებს მათ მიერ გაწეული მომსახურებისათვის „სავსებით კანონიერად დამსახურებული გასამრჯელო“.**

**სამწუხაროდ, ასეთი ციფრობრივი არგუმენტაცია გამოხმაურებაში არ მოიპოვება. მასში ნაჩვენები რეგულირების საფასურის 4 თეთრი და 6 თეთრი თავისთავად სრულიად არაფერს ნიშნავს, თუ აქვე არ მივუთითებთ იმ წყაროს სიდიდესაც, საიდანაც ეს თეთრები მარეგულირებლების სალაროებს ავსებენ.**

**რედაქციას მიაჩნია, რომ მარეგულირებლების თაობაზე ჩვენი გაზეთის 29 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში სავსებით მომწიფებული საკითხებია წინ წამოწეული: საჭიროა მარეგულირებელი ორგანოების რეფორმირება, მათი დაფინანსება კი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე უნდა განხორციელდეს.**

◉ სტაჟირება

# ბევრი რამ გამიკვირდა პოლონეთში

**პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დააფინანსა პროექტი: „დამოუკიდებელი ადგილობრივი გაზეთი, როგორც გადამწყვეტი ელემენტი დემოკრატიისათვის და სტაჟირება“. საქართველოს რამდენიმე რაიონში მომუშავე ჟურნალისტები პროექტის ფარგლებში პოლონეთში მიგვიწვიეს. ამ ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ „ფონდი განათლება დემოკრატიისათვის“ და ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის კავკასიური სკოლა.**

ვარშავიდან გავემგზავრეთ სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. მე სულეივოვკას რაიონის გაზეთ „ლოკალნოში“ მომიწია სტაჟირება. ამ რაიონულ გაზეთს 4 წლის ისტორია აქვს, 28-გვერდიანია, გამოდის ორ კვირაში ერთხელ, 1500 ტირაჟით.

შევხვდი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, დავესწარი მრავალ ღონისძიებას. რედაქცია რედაქტორის სახლშია განთავსებული. სახლი ორსართულიანია, მანსარდითა და აივნით, ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთით. ასეთივე კეთილმოწყობილი სახლები აქვს თითქმის ყველას. ეზოებში მხოლოდ ყვავილები, ნაძვის და რცხილის ხეებია. მიუხედავად იმისა, რომ რაიონია, ეზოში არაფერი მოჰყავთ და არც შინაური ცხოველები ჰყავთ! რატომ? იმიტომ რომ გარემოს დაბინძურებას უფრთხიან.

სულეივოვკამ კარგად დამანახა, როგორ ცხოვრობს პოლონელი პროვინციაში. სულეივოვკა და ორი სხვა რაიონი ადმინისტრაციულად გაერთიანებულია. მოსახლეობის უმრავლესობა დედაქალაქში ან სხვა ახლომდებარე დიდ ქალაქშია დასაქმებული. ყველას პატარა ეკონომიური მანქანა ან ველოსიპედი აქვს. არ უნდა გაგიკვირდეთ, პარლამენტის წევრი ან პოლიციის უფროსი ველოსიპედზე შემომჯდარი თუ შეგხვდებათ: იგი საწვავს ზოგავს.

ვესტუმრეთ პალინოვის რაიონსაც (იგი სულეივოვკასთან ადმინისტრაციულად არის გაერთიანებული), ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა, 24 წლის ადამ ცისკოვსკიმ, მომავალმა ისტორიკოსმა, ხალხის რჩეულმა, წაგვიყვანა ფეკალური მასის გადამამუშავებელ საამქროში, რომლითაც ის და მისი თანამოქალაქეები ამაყობენ. ამ ახალგაზრდა კაცმა საამქროს მოდერნიზაციას მიაღწია. საბოლოო „პროდუქტი“ შესანიშნავი სასუქია. ადამმა მკითხა, თქვენთან მოდერნიზაცია არ მიმდინარეობსო? არ დავიბენი, ახალს ვაშენებთ-მეთქი! ასეთ ფონზე ოცნებაც კარგია!

ადამმა საქართველოს შესახებ მხოლოდ ერთი რამ იცოდა — თბილისის „დინამო“, რომელიც ყოველთვის აგებს. პარლამენტარობა, ანუ ადგილობრივი არჩევითი ორგანოს წევრობა იქ ძალზე საპატიო რამაა. ის არის გარემოს დაცვის ხელმძღვანელიც.

პოლონეთში ბევრი რამ გამიკვირდა.

ეკლესიამ სკოლას, რომელსაც 85 წელი შეუსრულდა, მესა გადაუხადა და გამგებელმა (ბურგომისტრმა) საჯაროდ სახარება წაიკითხა და ილოცა სკოლისთვის, მოსწავლეებისთვის, მოსახლეობისთვის.

ყველგან იდეალური წესრიგი და სისუფთავეა, სოფლებში ძროხა არავის ჰყავს; მიბრძანდი მაღაზიაში და იყიდე ხორცი და რძე!

ტყეში შეშის საჭრელად არავინ დადის, დარეკავ და მოგიტანენ. წლის ბოლოს საგადასახადოში კვადრატურის მიხედვით სახლის, მიწის ნაკვეთის, ასევე გარაჟის გადასახადი უნდა გადაიხადო. თუ არ მუშაობ, მიბრძანდები მერიაში, მოგიძებნიან სამსახურს: შეიძლება ვარშავაში ან კრაკოვში ქუჩა დაგავო და გადასახადი ისე გადაიხადო.

ასჯერ ნათქვამს ერთხელ ნანახი სჯობს. ნახეთ მიცკევიჩის მშვენიერი ვარშავა, სადაც კანონი კანონობს და ბუნებას ადამიანის ხელიდან არაფერი ემუქრება! და ასგზის მიხაროდა, რომ ჩემს მიერ მომზადებულ მასალებს პოლონელები გაზეთ „ლოკალნოში“ კითხულობდნენ.

**ნაზი მეშველიანი,**
**გაზეთ „წალკის უწყებანის“ მთავარი რედაქტორი.**

**სურათზე: ნაზი მეშველიანი (მარცხნიდან მეორე) პოლონეთში სტაჟირებისას.**



◎ აბჯარი

# არმია, როგორიც გვჭირდება და გვეამაყება

**რამდენიმე დღის წინათ მოძრაობამ „ძლიერი ჯარი — ერთიანი საქართველო“ დაუვიწყარი შეხვედრა გამართა ვაზიანის სამხედრო ნაწილში, ერაყში სამშვიდობო მისიით მიმავალი ჯარისკაცებისთვის. შეხვედრის ორგანიზატორებმა ჯარისკაცებს ლევან თუთბერიძის ფილმი „გასეირნება ყარაბახში“ უჩვენეს და ფილმის შემოქმედებით ჯგუფსაც შეახვედრეს.**

ვისარგებლეთ შემთხვევით და ღონისძიების რამდენიმე მონაწილეს სახელდახელო შეკითხვებით მივმართეთ.

**— როგორ შეაფასებდით ჯარისკაცებთან მსგავსი შეხვედრების მნიშვნელობას?**

**თენგიზ მაისურაძე — კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის თეორიის მეთოდიკის ორგანიზაციის სპეციალისტი:**



ახალგაზრდა, დამოუკიდებელი საქართველოს გაძლიერებაში ჩვენც ვმონაწილეობთ.

ძლიერი ჯარი აუცილებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი კულტურა და კულტურული წარსული მისგან გავმიჯნოთ. ვინაიდან ჯარი ემსახურება საზოგადოების უსაფრთხოებას, საზოგადოებამაც არ უნდა განაცალკევოს იგი საერთო ყოფიდან. ჯანსაღი საზოგადოება და ჯარი ერთად ქმნიან ძლიერ სახელმწიფოს. ჩვენ არაერთხელ მივსულვართ მათთან ჩვენივე კონცერტებით, ქართული სიმღერებითა და ცეკვებით. ეს ძალიან საჭიროა სამხედრო ნაწილებისთვის. შემდგომში დაგეგმილი გვაქვს სამხედრო ნაწილებიდან ჯარისკაცების მოწვევა, რათა საღამოები მივუძღვნათ მათ. ჩვენ ერთმანეთს შევუხამებთ ზნეობრივ, პატრიოტულ თემებს, რათა ემოციური ზემოქმედება მოვახდინოთ მათზე. მარტო წვრთნა, ფიზიკური ვარჯიში და გადატვირთული დღის რეჟიმი ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს.

**— თქვენ, როგორც რიგითი მოქალაქე, რას ფიქრობთ დღევანდელ ეროვნულ ჯარზე?**

— ჩემი აზრით, ჯარის ჩამოყალიბება ახლა იწყება. რა თქმა უნდა, ბევრი უცხოეთში გადის და იქ იძენს განათლებას, მაგრამ ნამდვილ პროფესიონალიზმამდე ჯერ კიდევ შორია. ჯარმა უნდა დაიცვას ჩვენი სამშობლო, საზღვრები, ერის უსაფრთხოება. ჯარზეა დამოკიდებული ქვეყნის გაერთიანება. ამაზე დიდი მისია და მიზანი კი არ არსებობს.

**გიორგი ხევიაშვილი — პარლამენტის ყოფილი წევრი, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, მოძრაობა „ძლიერი ჯარი — ერთიანი საქართველო:**

ჩვენ, ისევე როგორც ყველა ქართველს, ერთი მიზანი გვამოძრავებს, — ეროვნული ჯარი, რომელიც დღეს ფეხზე დგება, ჩვენი საზოგადოების საყრდენი გახდეს. ჩვენი სურვილია, რომ ქართული ჯარი ელიტარული იყოს. ჩვენი ორგანიზაციის „ძლიერი ჯარი — ერთიანი საქართველო“ უპირველესი მიზანიც ეს არის. სამხედრო ნაწილებში კულტურულ ღონისძიებებს ვმართავთ, ყოველნაირად ვთანამშრომლობთ თავდაცვის სამინისტროსთან. გეგმაში გვაქვს სამხედრო ნაწილებში კომპიუტერული ცენტრების შექმნა. ისინი ინტერნეტში ჩაერთვებიან და ჩვენს ბიჭებს სრულყოფილი მუშაობის საშუალება მიეცემათ. დაგეგმილი გვაქვს სპორტული დარბაზის, ძიუდოს ცენტრის და „სახლის კინოთეატრის“ მოწყობა. ჩვენი სურვილია, რომ ჯარისკაცის დანახვაზე საქართველოს თითოეულ მოქალაქეს გული სიამაყით ევსებოდეს.

**მამუკა გაჩეჩილაძე — პარლამენტის წევრი, მოძრაობა „ძლიერი ჯარი — ერთიანი საქართველო“ დამფუძნებელი:**

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართული ჯარის სიძლიერისთვის საჭიროა არა მხოლოდ ტექნიკა, არა მხოლოდ ტექნიკური სწავლებები და სხვა ცნობილი სამხედრო მეთოდოლოგიები, არამედ ახალგაზრდულ შემოქმედებით კოლექტივებთან მათი ხშირი ურთიერთობაც. თუნდაც, ლევან თუთბერიძის ბრწყინვალე ფილმის „მოგზაურობა ყარაბაღში“ პრემიერის ჩვენებაც ბევრ რამეზე მიუთითებს. ხელოვნება უდიდესი პოტენციალია, რომელიც უნდა გამოვიყენოთ. მთელი ქართული საზოგადოება უნდა დაუდგეს ჯარს გვერდით. ჩვენ, უბრალოდ, ხელს ვუწყობთ იმას, რომ რეგულარულად ვიაროთ ჯარის ნაწილებში და ამ თანადგომით გავამხნეოთ.

**— თქვენი აზრით, რა ეტაპზეა დღეს ქართული ჯარი?**

— ქართული ჯარი, ისევე როგორც ქართული სახელმწიფოებრიობა ჩამოყალიბების ეტაპზეა, სიძლავრისა და აღმავლობის გზას ადგას და, ვფიქრობთ, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ქვეყანას სჭირდება.

**— რა მნიშვნელობას ანიჭებთ ჯარისკაცებისადმი ასეთ გულითად დამოკიდებულებას?**

**მამუკა ჯავახაძე — ვაზიანის სამხედრო ნაწილის მეთაური:** ეს ყველაფერი ერთობ საგულისხმოა. ჩვენ საზოგადოების ყურადღებას ვგრძნობთ, რომ ჯარი არ არის მოწყვეტილი მისგან და იგი მისი სისხლხორცეული ნაწილია. ჩვენ ხალხს ვჭირდებით.

**ზურაბ სამქანაშვილი — კაპრალი:**

წინანდელთან შედარებით დღეს ქართული ჯარი უფრო მაღალ საფეხურზეა. ჯარში ბევრი რამ გამოსწორდა. საზოგადოებაც ხედავს ამას. ქუჩაში აღარ დადიან ისეთი ჯარისკაცები, როგორიც ოთხი-ხუთი წლის წინათ... მაშინ ელემენტარული მატერიალური საშუალებები არ გაგვაჩნდა, რომ ჯარისკაცს ნორმალური ფორმა სცმოდა. დღეს ეს ყველაფერი მოგვარებულია.

**— საბოლოო სრულყოფისთვის რა აკლია დღევანდელ ჯარს?**

— ჯარში სრულყოფილება ძნელი მისაღწევია. რაც დრო გადის ქართული ჯარი უფრო და უფრო ვითარდება და ყალიბდება, უფრო მეტ გამოცდილებას იძენს და სტრუქტურულადაც იხვეწება. სრულყოფილებისკენ ყოველდღიურად მივიწევთ და იმედია შედეგიც გვექნება. ასეთი ღონისძიებები კი ყოველთვის ძალას გვმატებს და საზოგადოების თანადგომაზე მიგვანიშნებს.

**კახაბერ კადელაშვილი — კაპრალი:** დღეს ყურადღება ჯარისკაცებს ნამდვილად გვჭირდება. ასეთი ღონისძიებები ჯარისკაცს მხნეობას მატებს, მეტი სიხალისე ეძლევა და თავის ყოფასაც სხვა კუთხით უყურებს. მისი ცხოვრება ძალიან განსხვავდება სამოქალაქო ცხოვრებისგან. ბევრ რამეს ვართ მოკლებული, ამიტომ, საზოგადოების ყურადღებას ჩვენდამი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

**— ლევან, რას იტყოდით დღევანდელ მაყურებელზე? ვკითხე მსახიობ ლევან დობორჯგინიძეს, მთავარი როლის შემსრულებელს ფილმში „მოგზაურობა ყარაბაღში“:**

— არ ვიცი. ემოციურად დატვირთული ვარ. აქ მოსვლამდე არ მიფიქრია, როგორ მიმიღებდა ეს მაყურებელი. მოვდიოდი მხოლოდ იმიტომ, რომ აქ სიყვარული და სითბო მომეტანა, რომელიც დღეს ასე სჭირდებათ ჩვენს ჯარისკაცებს. მე, პირადად, გზას დავულოცავ ერაყში მიმავალ ბიჭებს და მიხარია, რომ მათთან მოსვლის საშუალება მომეცა. ჩვენ მარტო მსახიობები არა ვართ, თუ ქვეყანას დავჭირდით, ჩვენც ამ ბიჭების გვერდით დავდგებით.

**— რას იტყოდით, თქვენი ფილმის პრემიერაზე, რომელსაც ასეთი თავისებური მაყურებლის წინაშე უწევს წარდგომა? — ბოლო შეკითხვას ვუსვამ რეჟისორ ლევან თუთბერიძეს.**

— ასეთი მაყურებელი ჩვენ არასოდეს გვყოლია და ალბათ არც გვეყოლება. ყველაზე ალალი, ყველაზე მართალი და ყველაზე ვაჟკაცური ხალხი უმზერს დღეს ამ ფილმს. ჩემთვის საამაყოა ის განცდა, რომ ჯარისკაცების წინაშე დავდექი და მათთან ჩემი სათქმელი მოვიტანე. როგორც დილეტანტი, ვხედავ, რომ ქართული ჯარი ყოველდღე ძლიერდება. ვფიქრობ, მალე მოვა ის დრო, როდესაც საქართველოს მართლა ისეთი არმია ეყოლება, როგორიც გვჭირდება და გვეამაყება.

**ჩაიწერა**
**სოფო ჩიბურდანიძემ**

◎ კომპენსაცია

# დაღუპულის ოჯახს — ერთჯერადი დახმარება?

**სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახს სახელმწიფომ შესაძლოა მხოლოდ ერთჯერადი დახმარება — 10 ათასი ლარი გადაუხადოს და 2000 ლარი დაკრძალვის ხარჯები გაიღოს.**

აღნიშნული მას შემდეგ განხორციელდება, როცა საქართველოს პარლამენტი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებებს მიიღებს.

ცვლილებები გუშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა მამუკა კიკალიშვილმა წარადგინა.

კიკალიშვილის განცხადებით, სამხედრო სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახს 10 000 ლარი გადაეცემა, დაჭრის ან დაინვალიდების შემთხვევაში — 6000 ლარი, მძიმე ჭრილობის შემთხვევაში — 3000 ლარი და მსუბუქი ჭრილობის შემთხვევაში — 1000 ლარი.

ჭრილობის ხარისხს შეაფასებს თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფი.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით ყველა აღნიშნული შემთხვევა კანონში მიბმული იყო მინიმალური ხელფასის გარკვეულ ოდენობასთან.

როგორც მამუკა კიკალიშვილმა აღნიშნა, დღეს სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული თანხა დააზუსტოს და კანონით გაწეროს.

**ინტერპრესნიუსი**

**17 ნოემბერი 2005 წელი** **ქ. რუსთავი**

## განცხადება

**სს„რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ გაკოტრების მმართველი მალხაზ ალბორაშვილი აცხადებს აუქციონს სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ კუთვნილ გაკოტრების მასაში შემავალ ქონებაზე.**

**1. აუქციონზე იყიდება:**

ქ. რუსთავში გაგარინის ქუჩა № 12-ში არსებული კირისა და დოლომიტის საამქროს მოწყობილობა, მანქანა-დანადგარები, შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი 45 926 მ².

**2. ქონების საწყისი ფასია:**

ბ) კირისა და დოლომიტის საამქრო — $ 1 000 000) აშშ დოლარი ეროვნულ ვალუტაში.

**3. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეიტანონ ბეს სახით 500 000 აშშ დოლარი ეროვნულ ვალუტაში სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ სს „თი-ბი-სი ბანკის“ ქვემო ქართლის რეგიონალურ ფილიალში არსებულ ანგარიშზე № 240801;**

**4. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა არანაკლებ საწყისი ფასის, ბიჯის გათვალისწინებით, რომელიც შეადგენს — 20 000 აშშ დოლარს ეროვნულ ვალუტაში.**

5. განაცხადების წარმოდგენისა და ბეს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრის, აგრეთვე აუქციონში მონაწილეობის მსურველის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის, იურიდიული პირის დამადასტურებელი სადამფუძნებლო დოკუმენტაციისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების, ნოტარიალურად დადასტურებული დოკუმენტების წარმოდგენის ვადა განისაზღვრება **2005 წლის 07 დეკემბრამდე** სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ იურიდიულ მისამართზე: ქ. რუსთავი გაგარინის ქუჩა № 12-ში.

6. აუქციონში მონაწილის მსურველის მიერ **ბეს სახით გადახდილი თანხა ბეს გადამხდელს დაუბრუნდება** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის მქონე პირი მიიღებს მონაწილეობას გამართულ აუქციონში და ვერ გაიმარჯვებს (წინააღმდეგ შემთხვევაში ბეს გადამხდელს თანხა არ დაუბრუნდება), ხოლო აუქციონზე **გამარჯვებულს გადახდილი ბე ჩაეთვლება თანხის ნაწილის წინასწარ გადახდაში.**

7. აუქციონზე გამარჯვებულის მიერ თანხა **გადახდილი უნდა იქნეს 2005 წლის 23 დეკემბრამდე.** აუქციონზე გამარჯვებულის მიერ თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს შემოტანილი თანხა უკან არ დაუბრუნდება, არ ექნება უფლება განაცხადოს რაიმე პრეტენზია ქონებაზე და დაინიშნება ხელახალი აუქციონი ქონების რეალიზაციის მიზნით. **აუქციონზე გამარჯვებული ქონებაზე საკუთრების უფლებას მოიპოვებს მხოლოდ თანხის დანიშნულ ვადაში სრულად გადახდის შემთხვევაში.**

**8. აუქციონი დანიშნულია 2005 წლის 8 დეკემბერს, აუქციონი გაიმართება სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ ადმინისტრაციულ შენობაში, ქ. რუსთავი გაგარინის ქუჩა № 12-ში 12 საათზე.**

შენიშვნა: აღნიშნულ საამქროზე 01.06.2001 წელს გაფორმებულია საიჯარო ხელშეკრულება 10 წლის ვადით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ქ. რუსთავში სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ იურიდიულ მისამართზე, ტელეფონი № 824-19-20-10, № 824-19-20-95.

**გაკოტრების მმართველი: მალხაზ ალბორაშვილი.**

◎ ვაი ბურთისაგან

# მარაზმის ზეობა




**სამარცხვინოა, ფიფას რეიტინგში იორდანია 78-ე ადგილზე რომ არის (ერთი თვის წინათ 69-ეზე ყოფილა), საქართველო კი — მე-100-ზე;**

ტრაგედიაა, როცა იქაური ტერაქტებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოსულ მეტოქესთან შენი გაწვრთნილი გუნდი ისე იღლაბუცებს, რომ თანამემამულე გულშემატკივარს „წადი, წადის“ აძახებინებს (თინეიჯერთა „შპანა“ გაცილებით პოპულარულ უზრდელობებსაც სკანდირებდა, რასაც ჩვენი სოლიდური გაზეთის ფურცლებზე, ბუნებრივია, არ გავიმეორებთ);

რადგან ტერაქტები ვახსენე, იმასაც მოგახსენებთ, რომ, როგორც ასეთ შემთხვევებში წესი და რიგი მოითხოვს, საქართველო — იორდანიის საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა წუთიერი დუმილით დაიწყო, სტუმრებს კი შავი სამკლაურები ეკეთათ. გეკითხებით: რატომ არ შეიძლებოდა, „ჯვაროსნებიც“ ასევე მოქცეულიყვნენ? დავიჯეროთ, ბულგარული ფიასკოს შემდეგ მათ სამგლოვიარო საბაბი აკლდათ?

ამაზრზენია, ხალხის „დაბოლებას“ რომ ჯიუტად განაგრძობ და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე დასმულ ერთ-ერთ კითხვაზე ცინიკურად პასუხობ: ისე ვიყავი ჩართული ბრძოლის პერიპეტიებში, არ მესმოდა ხალხი რას მიყვიროდაო.

ბატონო გაიოზ, თავს უფლებას ვაძლევ, შეგახსენოთ, რა პოსტის დაკარგვად დაუჯდა ერთ ჭაღარა და საერთაშორისო თანამეგობრობაში საკმაოდ დაფასებულ ქართველ პოლიტიკოსს ორი წლის წინათ თვისტომთა მოთხოვნის არ თუ ვერმოსმენა (ისე, მაშინაც ნოემბერი იყო). ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ხელისუფლების სათავეში სწორედ ის ძალაა, ვინაც უკვე ნახსენები ჭარმაგი პიროვნება გაუშვა პენსიაზე და არც თქვენი უშუალო შეფის (პირადად თქვენზე რომ აღარაფერი ვთქვათ) უმუშევრად დატოვება გაუჭირდება. ისიც გაითვალისწინეთ, რომ მაშინ, როცა არაბული სახელმწიფოს ქვეშევრდომნი დაწინაურდნენ — 2:1, ტრიბუნებზე მოკალათებული აღშფოთებული ბრბო მზად იყო, ფიზიკურადაც გაგსწორებოდათ — კიდევ კარგი, თქვენგან კარგა ხნის განმავლობაში დაუმსახურებლად ათვალწუნებულმა შოთა არველაძემ პირადი წყენა გულში ჩაიკლა და, როგორც ჭეშმარიტმა პროფესიონალმა, ვითარება არამარტო მინდორზე, ვაკის სტადიონზეც შედარებით განმუხტა — 3:2.

* * *

**დღეს 18 ნოემბერია — სრულიად საქართველოსათვის ღირსსახსოვარი თარიღი.** ტაშკენტიდან 41 წლის წინათ ტრიუმფით დაბრუნებული თბილისის დინამოელები ერის სათაყვანო შვილები არიან. ნუთუ მათი საგმირო საქმეების შესახებ არაფერი სმენიათ ქართული ფეხბურთისა და „ეროვნული ნაკრების“ უფროს-უმცროსობას?

* * *

**მსოფლიო ჩემპიონატის საპასუხო „პლეი-ოფები“.**

სლოვაკეთი — **ესპანეთი** 1:1 (1:5),
**ჩეხეთი** — ნორვეგია 1:0 (1:0),
თურქეთი — **შვეიცარია** 2:0 (2:4),
**ავსტრალია** — ურუგვაი 1:0 (0:1, პენალტებით 4:2),
ბახრეინი — **ტრინიდადი და ტობაგო** 0:1 (1:1).

ამხანაგური მატჩები. კატარი — არგენტინა 0:3, იტალია — კოტ დივუარი 1:1.

**გია პლატონიშვილი**



◎ ოლიმპიზმი

# ხელიხელსაგოგმანები...

**ვიცი, ზედმეტ აღტაცებად ჩამეთვლება, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: როცა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განახლებული „ოლიმპიელი“ — სეოკის ყოველკვარტალური გამოცემა ვიხილე, დიზაინს დავაკვირდი, კონცეფციის ავტორის მხატვრულ-პუბლიცისტური ნააზრევი გავაანალიზე, თვალთაგან ლამის სიხარულის ცრემლები წამსკდა... ჟურნალი ჩავკოცნე და ჩემთვის ჩავილაპარაკე — „თუ ასე გააგრძელეს, შორს არ არის ის დრო, როცა საქართველო ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს“...**

ჩემი სიხარული და ადამიანური აღტაცება ეკუთვნოდა (ეკუთვნის) ჟურნალის მთელ შემოქმედებით კოლექტივს, სარედაქციო კოლეგიას (რუსუდან აფციაური, ელგუჯა ბერიშვილი, კახა ბერიძე, პაატა გელაშვილი, ავთო გურასაშვილი, თამაზ თევზაძე, დავით კინწურაშვილი, კოტე ღლონტი, ვაჟა შუბლაძე), სეოკის საგამომცემლო პროექტების გენერალურ პროდიუსერს და მთავარ კოორდინატორს ემზარ ზენაიშვილს და, რაღა თქმა უნდა, თვით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ბიუროს, კომიტეტის თავკაცის ბატონ ბადრი პატარკაციშვილის ხელმძღვანელობით.

გამოცემის რედაქტორი, განახლებული „ოლიმპიელის“ კონცეფციის და დიზაინის სულისჩამდგმელი გახლავთ ჩვენი კოლეგა, ცნობილი ჟურნალისტი და დიზაინერი პაატა ნაცვლიშვილი. მას მრავალი გაზეთის, ჟურნალის, წიგნის კონცეფცია და გარე იერსახე შეუქმნია, მაგრამ „ოლიმპიელი“ აშკარად ახალი სიტყვაა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

ამ საოცრად ორიგინალურ, მიმზიდველ ჟურნალში იმდენი პოლიგრაფიული (ტექნიკური) ნიუსია, იმდენად ავსებს ერთმანეთს შემოქმედებითი სიტყვა და დიზაინი, კიდევ ერთხელ დარწმუნდები მაძიებელი და გემოვნებიანი რედაქტორის დიდ შესაძლებლობებში.

ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადები, მსოფლიო ჩემპიონატები სამყაროს მილიონობით ადამიანის მომნუსხველი, უპოპულარესი სანახაობებია. ოლიმპიადების და ჩემპიონატების გამარჯვებულნი კი ეროვნული გმირების ტოლსწორი რაინდები არიან. განახლებული „ოლიმპიელის“ ერთ-ერთი მთავარი თემა, ბუნებრივია, მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი ქართველი ოლიმპიელის ვიქტორ სანეევის 60 წლის იუბილეა, რომელიც ახლახან აღნიშნა მთელმა საქართველომ... აქვეა გამოჩენილ ქართველ სპორტსმენთა სახეები, სახე(ლ)ები, ისტორია და თანამედროვეობა, ოლიმპიური ქალაქების წარსული და დღევანდელობა, უიშვიათესი პუბლიკაცია და სპორტული მოზაიკა.



ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, რომ 2005 წლის 22 ივნისს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საგანგებო სესიამ მხარი დაუჭირა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საქართველოში ჩატარების იდეას. ბორჯომი ოლიმპიადისთვის ემზადება, ის უკვე საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ეგრეთ წოდებულ აპლიკანტ ქალაქად დააფიქსირეს და მისი ლოგოც დაამტკიცეს (ბარემ აქვე ვთქვათ, ბორჯომის ლოგოს ავტორიც „ბაკურ თორელი“ ანუ ჩვენი პაატა ნაცვლიშვილი გახლავთ, რაც ჟურნალისტის კიდევ ერთი შესანატრი გამარჯვებაა).

„ოლიმპიელში“ გამოქვეყნებული მასალები რუბრიკით — **„ბორჯომი — 2014, რატომაც არა!“ (დიალოგები ბადრი პატარკაციშვილთან, ზამთრის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტთან გოგი თოფაძესთან, ჟურნალისტ მაია ნადარეიშვილი — დე გრაფის რეპორტაჟი ბაკურიანიდან, ჟურნალის რედაქტორის გამოკვლევა „ბორჯომის თამაშები ანუ ბორჯომიადა — ანტიკური ოლიმპიადების უშუალო მემკვიდრე“) დამაჯერებლად გვიდასტურებენ საქართველოს ამ წარმტაც ზამთრის კურორტებზე ოლიმპიადის ჩატარების შესაძლებლობას.**

**თვით ბადრი პატარკაციშვილი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს: საქართველოში აუცილებლად ჩატარდება ოლიმპიადა!**

ღმერთმა გისმინოთ!..

ჟურნალში ერთი პუბლიცისტური სიახლეც არის: ყველა გვერდის „სარდაფს“, ეგრეთ წოდებული, მორბენალი სტრიქონები გასდევს, რომელიც ასგვერდიან ჟურნალში ზღვა მასალას იტევს.

ერთი სიტყვით, განახლებული „ოლიმპიელი“ უნდა ნახოთ და სულიერად ამაღლდეთ. ეს გამოცემა ჩვენი სპორტის ხელიხელსაგოგმანები მატიანეა.

**სპარტაკ ქოზულია**

◎ კალათბურთი

# მოდაშია დანაკლისები

**„მაქაბის“ ისრაელში გამგზავრების გამო მისი მატჩი თბილისის „დინამოსთან“ 27 ნოემბრისთვის გადაიდო, მანამდე — 22 ნოემბერს კი ვაჟთა XV ეროვნული ჩემპიონატის II წრე დაიწყება.**

რაც შეეხება I წრეს, იგი გუშინ ვერის ბაღსა და რუსთავში გამართული შეხვედრებით დასრულდა.

**თსუ „ნიკორა“ — სსუ 105:71**

წინა ტურში ქუთაისელებთან მომხდარი ინციდენტის გამო მასპინძლებს ვერ ეხმარებოდნენ თითომატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 200-დოლარიანი ჯარიმით დასჯილი ტყეშელაშვილი და საყვარელიძე. მათ გარდა, სარბიელზე ვერც ტრავმირებული მაისურაძე და ბერიშვილი ვიხილეთ, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია გათამაშების ერთპიროვნული ლიდერისთვის ზედიზედ მეშვიდე გამარჯვებასა და I წრის უდანაკარგოდ დამთავრებაში.

ფავორიტმა საკუთარი ქომაგები მხოლოდ I პერიოდში ანერვიულა, როცა თორთლაძემ, გოლეთიანმა, ჯგერენაიამ და პატარაიამ ზუსტი სამქულიანებით ზღვისპირელები 19:15 დააწინაურეს. ეს იყო და ეს — შემდგომში მამუკა ტურაშვილის გუნდს პრობლემები აღარ შექმნია.

**„ავიამშენი“ — ქუთაისი 102:69**

ზემოთ ნახსენები ინციდენტის გამო დასჯილ ნარსიას გარდა რიონისპირელებს უბერებელი გიგანტი შენგელიაც გამოაკლდათ, რომელმაც ძველი ტრავმის მოშუშება გადაწყვიტა, ხანმოკლე დასვენების შემდეგ კი, ალბათ, ავიატორებს დაუბრუნდება. ასეთ ვითარებაში რა გასაკვირია, რომ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა იოლად სძლია მეტოქეს.

**„აზოტი“ — სტუ 85:90.**



**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

◎ მეზობლებთან

# თასი მასპინძლებს დარჩათ

**თავისუფალი ჭიდაობა უდიდესი პოპულარობით სარგებლობს დაღესტანში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი აქ №1 სპორტის სახეობაა. ახლახან, მახაჩყალის მახლობლად, სოფელ ლევაში გაიმართა ხუთი ქვეყნის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, დაღესტნის პრეზიდენტის თასზე. თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გურამ სალარაძე.**

— პრეზიდენტის თასზე პრეტენზიას მასპინძელთა გარდა საქართველოს, ბელორუსიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდები აცხადებდნენ. მე თხოვნით მივმართე ამ საინტერესო ასპარეზობის ორგანიზატორებს, რათა შეჯიბრება წრიული სისტემით გაემართათ. ასეთივე აზრისა იყვნენ ფილას პრეზიდენტი რაფაელ მარტინეტი, ბელორუსიის დელეგაციის ხელმძღვანელი, ლეგენდარული ალექსანდრე მედვედი და რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, ჩვენი თანამემამულე მიხეილ მამიაშვილიც. მაგრამ დაღესტნელებმა ხუთი გუნდი 2 ქვეჯგუფად დაყვეს. „ა“ ჯგუფში მოხვდნენ ამერიკისა და აზერბაიჯანის, ხოლო „ბ“ ჯგუფში დაღესტნის, საქართველოსა და ბელორუსიის გუნდები.

ამერიკელებმა თავის შესარჩევ ჯგუფში დაამარცხეს აზერბაიჯანის მოჭიდავეები და ფინალში გავიდნენ. საქართველოს ნაკრებმა 7:0 სძლია ბელორუსიის ფალავნებს და მძაფრ ბრძოლაში — 3:4 წააგო მასპინძლებთან. ფინალში დაღესტნის ნაკრებმა 4:3 სძლია ამერიკელებს და პრეზიდენტის თასს დაეუფლა. ბრინჯაოს მედლებისათვის მატჩში ჩვენმა მოჭიდავეებმა 7:0 დაამარცხეს აზერბაიჯანელები. საქართველოს ნაკრებში რომ რევაზ მინდორაშვილსა და ლუკა კურტანიძეს ესასპარეზათ, შედეგი უკეთესი გვექნებოდა. პირველი მათგანი ირანში იყო, ხოლო კურტანიძე გერმანიის საკლუბო გუნდში იმყოფებოდა.

**შალვა ქირია**

◎ სპორტულ ორბიტაზე

# ვეტერანის საოკეანო მარათონი

**ინდოეთის ოკეანის ნიჩბებიანი ნავით „უკრაინა“ მარტოდმარტო გადასალახად 66 წლის უკრაინელ გეოლოგ პავლე რეზვოის 57 დღე, 4 საათი და 50 წამი დასჭირდა. ვეტერანი მოგზაური ერთბაშად შეიჭრა ჩვენი პლანეტის საუკეთესო ნიჩბოსან-მარათონელთა პლეადაში და თავისებური მსოფლიო რეკორდსმენიც გახდა. სადღეისოდ არ არის არც ერთი 60 წელზე უხნესი ადამიანი, ნიჩბებიანი ნავით მარტოდმარტო რომელიმე ოკეანე რომ გადაელახოს.**

უკრაინელის შედეგი ასევე საუკეთესოა ინდოეთის ოკეანის ამგვარად გადალახვის მცდელობის მთელ ისტორიაში. აქამდე ნიჩბებიანი ნავით ოკეანე გადალახა ორმა კაცმა — შვედმა ანდრეს სვედლანდმა 1971 წელს ამას 64 დღე მოანდომა, ხოლო 2003 წელს ინგლისელ საიმონ ჩოკს მის დასაპყრობად 107 დღე დასჭირდა.

პავლე რეზვოიმ ავსტრალიის ქოქოსის კუნძულებიდან სტარტი 13 სექტემბერს აიღო, 2800- მილზე მეტი გაიარა და 9 ნოემბერს აფრიკასთან, სეიშელის კუნძულებთან დაამთავრა თავისი საოკეანო მარათონი. ეს ცნობილი



გახდა მხოლოდ ლონდონში საოკეანო ნიჩბოსანთა ასოციაციის წარმომადგენელთა დაბრუნების შემდეგ.

პავლე რეზვოიმ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გეოლოგად იმუშავა შუა აზიაში, ციმბირსა და იაკუტიაში. პენსიაზე გასვლის შემდეგ დასახლდა ლვოვში და დაიწყო ნიჩბოსნობა. შარშან მან ასევე მარტოდმარტომ გადაცურა ატლანტის ოკეანე, კანარის კუნძულებიდან ბარბადოსის კუნძულებამდე, კუბასა და იამაიკამდე.

# უსექსოდ ფეხბურთი წარმოუდგენელია?!

**ყოველ შემთხვევაში ასე ამტკიცებდა აზერბაიჯანის ეროვნულ ჩემპიონატზე კლუბ „ტურანის“ მთავარი მწვრთნელი, თურქი სპეციალისტი ნაჯი შენსოი „ოლიმპიკთან“ მატჩის შემდეგ (0:0). მან პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის ძალზე უკმაყოფილო დარჩა „ინტერთან“ ამასწინანდელი მატჩით — კერძოდ მთავარი მსაჯის მამედოვისა და ინსპექტორ ალიისკანდერ ნაგიბეკოვის მოქმედებით.**

„ჩვენს თამაშზე „ინტერთან“ დანიშნეს ინსპექტორი, რომელიც თითქმის 90 წლისაა, — განაცხადა შენსოიმ, — მე მინდა ფედერაციაში დავსვა საკითხი — შეუძლია თუ არა მას სექსი? თუკი შეუძლია, განაგრძოს მუშაობა, „იმათ კი, ვისაც სექსი არ შეუძლია, ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ფეხბურთში“, — უაპელაციოდ დაასკვნა მთავარმა მწვრთნელმა.

როგორც ჩანს, თურქ სპეციალისტს თავის დროზე წაუკითხავს ზიგმუნდ ფროიდი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადამიანის საქმიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იკმაყოფილებს ის სექსუალურ მოთხოვნილებას. თუმცა ფროიდი იმასაც ამბობდა, რომ კაცი რამდენადაც მეტადაა დაკავებული სექსით, იმდენად ნაკლებად ავლენს თავის თავს სხვა სფეროებში. როგორც ჩანს, მწვრთნელს განსხვავებული აზრი აქვს.



**მოვლენის წინ**

# რას შესთავაზებს მოზეიმე ხალხს რეჟისორი?

**რუსთაველის პროსპექტზე, პარლამენტის შენობის წინ გამალებული მუშაობაა. აქ იწყობა სახელდახელო სცენა, რომელიც 23 ნოემბერს, საღამოს, „ვარდების რევოლუციის" ორი წლისთავის აღსანიშნავი, სადღესასწაულო მოვლენების ეპიცენტრი გახდება. თბილისელებსა და საგანგებოდ მოწვეულ სტუმრებს ამ დღეს ელოდებათ 40-წუთიანი კონცერტი, რომელსაც ამზადებს რეჟისორი დავით დოიაშვილი.**

როგორ არის ჩაფიქრებული საკონცერტო პროგრამა და ვინ წარსდგება ამ საღამოს მოზეიმე ხალხის წინაშე?

როგორც ამ საზეიმო პროგრამის დამდგმელი რეჟისორი დავით დოიაშვილი ამბობს, 23 ნოემბრის პროგრამა ადრე მომზადებულ სხვა სადღესასწაულო კონცერტებისგან განსხვავებით იმით იქნება გამორჩეული, რომ იგი, ძირითადად, კლასიკურ მუსიკაზე იქნება აგებული. ამ დღეს მოსკოვის დიდ თეატრში მსტისლავ როსტროპოვიჩთან რეპეტიციებს შეწყვეტს და თბილისში ჩამოვა სახელგანთქმული ბანი პაატა ბურჭულაძე. იგი საქართველოს ჰიმნს აახმიანებს. შოპენის № 12 რევოლუციურ ეტიუდს შეასრულებს ახალგაზრდა პიანისტი ვახტანგ შიუკაშვილი. ამღერდება ცნობილი მომღერალი ნატო მეტონიძეც.

პროგრამაში ფართოდ წარმოჩნდებიან საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გაერთიანებული შემოქმედებითი კოლექტივები: ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და ნიკო სულხანიშვილის სახელობის საგუნდო კაპელა. ამ საღამოს პირველად აჟღერდება საგანგებოდ ამ მოვლენისთვის კომპოზიტორ ნიკა მემანიშვილის მიერ შექმნილი ნაწარმოები — რევოლუციური ხორუმი. ქართული ცეკვის ეშხს დაატრიალებენ საქართველოს ნაციონალური ბალეტის მოცეკვავეები. ქართული ფოლკლორის ნიმუშებს აახმიანებენ საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორული ანსამბლი „ბასიანი" და ანსამბლი „ფესვები".

საზეიმო კონცერტის საგანგებო სტუმარი იქნება მსოფლიოში საკმაოდ გახმაურებული პოპ-ვარსკვლავი, 20 წლის ქართველი მომღერალი ბრიტანეთიდან ქეთი მელუა. იგი თავისი შემოქმედებით პირველად წარსდგება სამშობლოში ასე ფართო მსმენელთა წინაშე და, ცხადია, დიდ ინტერესს იწვევს. ამ პოპ-ვარსკვლავის სიმღერები ბლუზისა და ჯაზის ერთგვარ თანამედროვე სინთეზს წარმოადგენს. 23 ნოემბერს ქეთი მელუა ორ სიმღერას შეასრულებს გიტარის თანხლებით და უჰონოraროდ, მიუხედავად იმისა, რომ იგი დღეს საკმაოდ ძვირადღირებული ვარსკვლავია.

დაახლოებით ასეთია 23 ნოემბრის საზეიმო კონცერტის პროგრამა, მისი მუსიკალური ხელმძღვანელია ნიკა მემანიშვილი, სცენის დიზაინერი კი თამარ ფოცხიშვილი. 20-21 ნოემბერს კი თბილისში ჩამოასვენებენ ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტს. ლევილიდან თბილისში ნეშტის გადმოსვენების ცერემონიალს ექნება თეატრალური კომპოზიციის სახე, რომელიც ამ გმირის ცხოვრებას ასახავს. ნეშტს 20 ნოემბერს დაასვენებენ სამების საკათედრო ტაძარში, 21 ნოემბერს კი თეატრალიზებული სვლით ჩოხოსნებისა და ცხენოსნების თანხლებით მთაწმინდისკენ წაასვენებენ. ამ კომპოზიციის ავტორიც დავით დოიაშვილია.



**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**სურათზე: საზეიმო საღამოს საგანგებო სტუმარი ქეთი მელუა.**

---

**ჩვენებურები**

# ვალერი «ვია გრამ» დაამუნჯა

**უძმეებზე კრემლში ვალერი მელაძის საიუბილეო კონცერტები გაიმართა, შემოქმედებითი მოღვაწეობის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი. იუბილართან ერთად გამოვიდნენ ნანი ბრეგვაძე, სოფია როტარუ, ეკატერინე გუსევა და გოგონათა ტრიო „ვია გრა".**

მომღერალმა კონცერტი ზეხუთიანზე ჩააბულბულა, იმის მიუხედავადაც, რომ მეორე დღის ბოლოს კაი გვარიანად ჩაეხრინწა ხმა. თანაც მსახიობის იმავე კოსტუმში გამოწყობილს მოუწია გამოსვლა, რომელშიც წინადღეს.

— გადაღებები მიდის და ტელევიზიები ორი კონცერტისგან ერთს აკეთებენ, ამ მიზეზით დავდივარ ჭუჭყიანი კოსტუმით, ყვავილებისგან სულ დაიმტვერა; თორემ კიდევ მაქვს ერთი! — ხუმრობდა ვალერი.

იმ დღეს გულიანად ლაღობდა სცენაზე, სირჩა ღვინოც გადაჰკრა.

— მშობლები ბავშვობიდან მასწავლიდნენ, როგორ უნდა დალევა. თავიდან მეუბნებოდნენ — უყურე და ისწავლეო. მერე ღვინით სავსე ჭიქა მომცეს და მითხრეს: უსადღეგრძელოდ არასოდეს დალიოო. ამიტომაც ვამბობ — გაუმარჯოს ჩემს დედ-მამას, რომლებიც ახლა დარბაზში სხედან!

იქვე იმყოფებოდნენ ალა პუგაჩოვა და ფილიპ კირკოროვიც, ვალერის რომ სიურპრიზი შესთავაზეს — ვეებერთელა თაიგულით მოვიდნენ სრულიად ანაზდად.

„ვია გრას" ჯგუფის გოგონებმა მსახიობთან ერთად იმღერეს ჰიტები — „ოკეანე და სამი მდინარე" და „ასი ნაბიჯი უკან". ყველამ მიაქცია ყურადღება იმას, რომ მზეთუნახავი ნადია გრანოვსკაია ძალიან გასუქდა და თანაც ცოტა ღიად შეიღება

— შავგრემანიო, ვეღარ იტყვი. მას შემდეგ, რაც ლამაზმანები სცენიდან გავიდნენ, ვალერის პატარა მარცხი შეემთხვა — სამჯერ დააპირა მომდევნო სიმღერის დაწყება და სამჯერვე დაავიწყდა სიტყვები! მერე მაინც მოიკრიბა მეხსიერება...

იუბილეს ბედნიერი დასრულება რესტორან „ბისკვიტში" აღინიშნა მახლობლებთან ერთად.

KП



---

**ანეკდოტები...**

**ლუდი** თავად დალიე, არაყი მეგობარს გაუყავი, ბოთლები კი მაწანწალას უწილადე.

* * *

**ჩემი** ცოლისთვის უკვე სამი წელიწადია, ერთი სიტყვაც არ მითქვამს... მას არ უყვარს, როცა ლაპარაკს აწყვეტინებენ.

* * *

— **მამი**, რა არის პრეზერვატივი? — კითხულობს პატარა მიხო.

— ეჰ, შვილო, ახლა კი ვიცი, რაც არის, მაგრამ შენს ასაკში რომ მცოდნოდა, ახლა მე და შენ ვერ ვისაუბრებდით.

* * *

— **ძვირფასო**, დღეს მაწანწალა დავაპურე და დოლარიც ვაჩუქე, — ეუბნება ცოლი ქმარს.

— ეს წვნიანი ჭამა?

— კი, მთელი თეფში.

— მაშინ ნაღდად დაუმსახურებია ის დოლარი.

* * *

— **ოფიციანტო**, თქვენ ყავა მოიტანეთ თუ ჩაი?

— თქვენ რა, ვერ არჩევთ?

— ვერა.

— მაშინ რა განსხვავებაა თქვენთვის?

* * *

— **გაიგე?** მიხოსთვის ორი გული აღმოუჩენიათ, — ეუბნება ნიკა ძმაკაცს.

— მართლა? აბა, ახლა საავადმყოფოებში ატარებენ გამოსაკვლევად!

— საავადმყოფოში კი არა, პოლიციაში წაიყვანეს. გული ხარისა იყო, ხორცკომბინატიდან გამოსვლისას აღმოუჩენიათ მიხოსთვის.

* * *

— **უხილავი** მელნები გაქვთ?

— გვაქვს. რა ფერისა გნებავთ?



---

**უნდა გიგონებდნენ**

# ბიუსტად დაბრუნება

**გამორჩეული ქართველი ფიზიკოს-ექსპერიმენტატორი, მსოფლიო სახელის შესანიშნავი ჯერ მკვლევარი და მერე მეცნიერების ორგანიზატორი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ნოდარ ამაღლობელი...**

მსოფლიო სახელისო — ეს პრეზიდიუმის საგანგებო სხდომაზე გამოსული აკადემიის პრეზიდენტის, თამაზ გამყრელიძის მოგონებიდანაც გამოჩნდა: სანტაფეში (ლოს-ალამოსთან, აშშ) ყოფნისას დიდ ამერიკელ ფიზიკოს-ნობელიანტს, კვარკების „მამასა" და ნათლიას, მიურეი გელ-მანს შეხვედრია და საუბარში ნოდარ ამაღლობელის ქებაც მოუსმენია.

იმავე სხდომაზე დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტიდან გამოგზავნილი, ექვსი იქაური აკადემიკოსის ხელმოწერილი საიუბილეო დეპეშაც წაიკითხეს. ეს მეცნიერული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრად აღიარებული ის ინსტიტუტია, რომლისკენაც თბილისიდან ნოდარ ამაღლობელის მიერ განსვენებულ რევაზ სალუქვაძესა და ჯანმრთელად მყოფ ალეკო თავხელიძესთან ერთად გაკვალული გზით, ამჟამადაც, ყველა სიძნელის მიუხედავად, თამამად, დაჯერებულად მიმოდიან მომდევნო თაობების ქართველი ფიზიკოსები; და კიდევ ის ინსტიტუტია, სადაც ბატონი ნოდარი დუბნის ცენტრის წევრი ქვეყნის, საქართველოს სრულუფლებიანი წევრი გახლდათ მრავალი წელი.



მეცნიერის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი ორდღიურის პირველ დღეს მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტის შესასვლელში ნოდარ ამაღლობელის ბიუსტი გაიხსნა, რომელსაც საერთო მოწონება ხვდა. ავტორს, ჩვენს სახელოვან მოქანდაკეს, აკადემიკოს მერაბ მერაბიშვილს საუცხოოდ გამოუძერწავს მრავალთათვის დაუვიწყარი სახე. ეგებ არცთუ უცნაური ასოციაციით, ვლადიმერ მაიაკოვსკის ტაეპი გამახსენდა „Чтобы, умирая, воплотиться..." პატარა ირინემ პირველმა დასდო თაიგული ბაბუს ქანდაკებასთან...

ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა მიხეილ ნიორაძემ შეკრებილთ სამეცნიერო საბჭოს დადგენილება გააცნო — სათანადო ინსტანციებს ინსტიტუტისთვის ერთ-ერთი დამაარსებლის, ნოდარ ამაღლობელის სახელის მინიჭება ეთხოვა.

მეორე დღეს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში, ნოდარ ამაღლობელის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია გაიმართა.

**თამაზ ეგანოიძე**

---

**ხსოვნა**

## ვლადიმერ ლუკიანეს ძე ჭანტურია



აფხაზეთის ქართველობას გამოაკლდა კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება, ჭეშმარიტი მამულიშვილი, გამოცდილი ხელმძღვანელი და აქტიური საზოგადო მოღვაწე, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, მწერალი **ვლადიმერ ჭანტურია.**

ვლადიმერ ჭანტურია დაიბადა 1935 წლის 13 მაისს. 1952 წელს დაამთავრა გალის რაიონის სოფ. ზემო ბარღების საშ. სკოლა და ჩაირიცხა სოხუმის ა. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1956 წელს მუშაობას იწყებს რეფის რვაწლიანი სკოლის ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, მუშაობდა ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, ოქუმის საშუალო სკოლის დირექტორად. 1962 წლიდან იგი გადაყვანილი იქნა პარტიულ სამუშაოზე. მას ნიშნავენ გალის პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, შემდგომ საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ირჩევენ ბიუროს წევრად. არაერთგზის იყო არჩეული რაიონული საბჭოს დეპუტატად, გალის რაიონის დეპუტატად, გალის რაიკომის წევრად.

1973 წლიდან ვლადიმერ ჭანტურია ხელმძღვანელობს ჯერ პირველი გალის ციტრუსებისა და შემდგომ გალის რაიონის მეურნეობებს, პარალელურად ამთავრებს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით.

ყველგან, სადაც კი უმუშავია ვლადიმერ ჭანტურიას, მან დატოვა თავისი ღრმა დადებითი კვალი, როგორც მაღალი რანგის პროფესიონალმა, საქმისადმი ერთგულმა, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით და პრინციპულობით გამორჩეულმა ხელმძღვანელმა. მისი კეთილსინდისიერი შრომა არაერთგზის აღინიშნა სახელმწიფო ჯილდოებით. ვლადიმერ ჭანტურია ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მოქალაქეობრივი და აქტიური საზოგადოებრივი პოზიციით.

განსაკუთრებით გამოვლინდა მისი საზოგადოებრივი აქტივობა და ორგანიზაციული ნიჭი დევნილობის პერიოდში, როდესაც ის მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლობაში სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში ჯერ წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილედ, შემდეგ კი ხელმძღვანელად. მიუხედავად უმძიმესი სოციალური პირობებისა, იგი ახალგაზრდული ენერგიით და მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით ემსახურებოდა დევნილი თანამემამულეების გაჭირვების შემსუბუქების საქმეს. თავისი დარბაისლობით, საქმისადმი დამოკიდებულებით, დევნილი თანამემამულეების პრობლემებისადმი გულისხმიერი მიდგომის გამო ის სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით და ნდობით, მის აზრს პატივს სცემდნენ საზოგადოებაში.

ვლადიმერ ჭანტურია იყო მრავალმხრივ განვითარებული თავისი კუთხის ძირძველი სამურზაყანოს ღირსეული წარმომადგენელი. ის გახლდათ 7 წიგნის ავტორი.

წიგნისთვის „სისხლიანი დღეები სამურზაყანოში", რომელშიც მან მიუკერძოებელი ობიექტურობით აღწერა გალის რაიონში დატრიალებული ტრაგედია, მას მიენიჭა გ. შარვაშიძის სახელობის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია.

სამწუხაროდ, მისთვის, როგორც მისი ათასობით დევნილი თანამემამულეებისთვის, სიცოცხლეში გადაულახავი აღმოჩნდა ენგურის ხიდი, რომელიც აშორებდა მას მშობლიურ სამურზაყანოს.

წავიდა კიდევ ერთი, საკუთარ კარმიდამოში დაბრუნების აუხდენელი ოცნებით გულმკვდარი ჩვენი ერთგული თანამებრძოლი და მეგობარი.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის მთავრობა.**

---

**გამოიწერეთ**

სანდო, მართალი და ტრადიციული გაზეთი «საქართველოს რესპუბლიკა»

მიმართეთ „საქპრესას" (ტელ: 35.51.40), „მაცნეს" (37.40.49), „უწყებანს" (93.64.72), „პრეს-ექსპრესს" (96.23.11), „პლანეტა-ფორტეს" (93.38.73), „ინფოსერვისს" (34.09.35), „ელვა-სერვისს" (36.35.75) რაიონებსა და ქალაქებში — „საქპრესის" ადგილობრივ განყოფილებებს.

ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი — მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.



ამდენად, გაზეთის გამოწერა ეღირება: ერთი თვით — 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა" — მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.**

---

**სხარტულა**

## ოზონირებული ბიუჯეტი

**დიდთა კაცთა, დიდთა ქალთა თუკი არის მტკიცე ნება, —**
**გუდაურში მუქთად ჩასვლით საქმე უკეთ მოგვარდება!**
**იმ ჰაერზე ხარჯთაღრიცხვა თურმე უკეთ იგეგმება,**
**იქ შექმნილი ბიუჯეტიც ხალხსაც უფრო მოხმარდება...**

**თამაზ ილმელი**

---

**ლარის კურსი**

**18 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1366 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7975 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1112 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0624 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3911 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3907 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5736 ლარი. |

---

**გამოფენა**

# ქარვასლამ უმასპინძლა

**თითქმის მთელი კვირაა, ქარვასლა მასპინძლობს გამოფენას „კავკასია ჩვენი საერთო სახლია". როგორც თავად სახელწოდება მოწმობს, მასში მთელი კავკასიის ხელოვანთ უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ პოლიტიკური თუ ეკონომიკური გარემოებების გამო ის, ძირითადად, ქართველი მხატვრებისა თუ მოქანდაკეთა ნამუშევართა წარმოდგენით შემოიფარგლა, თუმცა უამრავი დამთვალიერებელი მაინც კმაყოფილია ნახულითა თუ აღქმულით. არადა, აქ იმდენი ხელოვანია წარმოდგენილი ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული თუ ჭედური ნამუშევრით, რომ ყველას ჩამოთვლა, შეიძლება, გაგვიჭირდეს კიდეც...**

თუმცა როგორ არ მოიხსენიებ საპატიო თბილისელის **ემილ ბურჯანაძისეულ** დედაქალაქის ემბლემებს, **ბუდუ სირბილაძის** პორტრეტებს, მათ შორის **ქაქუცა ჩოლოყაშვილს,**



**ზვიად გამსახურდიას**, შამილს და ა. შ. **დემურ ბაშალეიშვილის** „აქ აშენდება თბილისი", **მერაბ მეტრეველის** სკულპტურულ ნამუშევრებს, **მიხეილ ცალქამანაძის** ორიგინალურ „დავიწყებულ ღმერთებს", ვაკის პარკში ასაგები ეკლესიის დეკანოზ ალექსანდრე ჩახვაშვილისეულ პროექტს და კიდევ ბევრ სხვა ექსპონატს. ისინი ხომ გამოფენაზე 50-ზე მეტია.



იმასაც დავძენთ, რომ გამოფენის თაოსნები არიან საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლობის, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულო, მხატვართა გაერთიანება „სამეფო პალიტრა", პოლიტიკური მოძრაობა „სამეფო გვირგვინი", ქართველი ერის სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მოვლა-პატრონობისა და აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „გვირგვინი — 2005". ღმერთმა ხელი მოუმართოთ მრავალი ასეთი წამოწყების განსახორციელებლად.

**ვალიკო სიმონიშვილი**

---

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა

ედიშერ ხოშტარია-ბროსე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს პროფესორ მერი ინაძეს მეუღლის, თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს

ედიშერ ხოშტარია-ბროსეს

გარდაცვალების გამო.

---

თბილისის 29-ე საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ცისანა გაბელიას, მეუღლის

რევაზ გიორგის ძე დუნდუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი სპარტაკ ქოგულია.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობა 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.